გიორგი გიგაური

ქართული ეთნო-ასტრონომია და თანამედროვე კვლევები

გიორგი გიგაური

ქართული ეთნოასტრონომია და თანამედროვე კვლევები

თბილისი 2023

წიგნის გამოცემაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას ვუხდით
მალხაზ კაპანაძეს და დავით გოგოჭურს

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ჩიქვინიძე

რედაქტორი – მაკა ბლიაძე
კორექტორი – ქეთევან აბრამიშვილი

© გიორგი გიგაური
© გამომცემლობა „მერიდიანი“

გამომცემლობა მერიდიანი*

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-325-4

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი გახლავთ პირველი ნაბიჯი და პირველი მცდელობა ქართული ეთნოასტრონომიის შესახებ. იმედია მომავალში ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიექცევა. დღევანდელი ასტრონომიული აღმოჩენების ფონზე ძველი ხალხის გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული „ზეციური“, „ღვთაებრივი“ ცოდნა ახალ კვლევას მოითხოვს.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ასტრალურ – კოსმოგონიურ – კოსმოლოგიური ხასიათის ორნამენტების, სიმბოლოებისა და პიქტოგრაფიული ნიშნების გვერდით, ენაში შემორჩენილი შესაფერისი ხასიათის ლექსიკაც არსებობს. ასტრონომიაში ახალი აღმოჩენების ფონზე ბევრ უცხო ობიექტსა და მოვლენას თავისი სახელი დაერქვა. კოსმოლოგიური შინაარსის საკულტო რიტუალების უმეტესობა საგანგებო ლოცვების შემდეგ სრულდებოდა და მათი ნაშთი დღემდეა შემონახული ხალხურ ყოფაში. მათი კომპლექსური კვლევა მოგვცემს გარკვეულ პასუხს. სიტყვა „რწმენა“ ქართულ ლექსიკონშია და ჩემი აზრით, დღეს სხვანაირ მიდგომას მოითხოვს.

იმედი მაქვს, ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს, ხალხში შემორჩენილი ეთნოგრაფიული მასალის განხილვისას და ამასთანავე, გააღვივებს ქართული ენის გაცნობიერებისა და შესწავლის ინტერესს მომავალ თაობაში.

დეკორატიული და აპოტროფიული გეომეტრიული კოსმოლოგიური გამომსახველობა ქართულ ენაში არსებული სხვადასხვა კოსმოლოგიური ხასიათის მდიდარი ლექსიკის ფონზე, ღრმა და სისტემურ კვლევას მოითხოვს.

შეგნებულად ავუარე გვერდი ქართულ ზღაპრებში არსებული კოსმოლოგიური ხასიათის თემას, რომ კვლევა არ გართულებულიყო.

თუმცა ფაქტია, რომ ყველაფერი ურთიერთკავშირშია – „სკნელის“ თემა, ასევე „ქვესკნელში“ ჩასვლის თუ ამოსვლის თემა კოსმოლოგიურია და ახლებურ მიდგომას მოითხოვს. ახალი თემის წარმოჩენა და ახლებური აზრის გამოტანა პასუხს გასცემს ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას.

ქართული ენის თავისებურებანი და მასში არსებული კოსმოლოგიური „ზეციური“ ცოდნა – წარმოდგენების ძიება მომავალში საყოველთაო სამეცნიერო კვლევის საგანი უნდა გახდეს.

საიდან და როგორ გვაქვს ენაში უამრავი ინფორმაცია კოსმოლოგიის შესახებ?

რა მიზანს ისახავდა ამგვარი ლექსიკის არსებობა?

რა დანიშნულება აქვს კოსმოლოგიური წარმოდგენების კავშირს საღვთო კულტურასთან? – და მრავალი სხვა.

წიგნის – **„ქართული ეთნოასტრონომია და თანამედროვე კვლევები“** მიზანია ფართო საზოგადოების დაინტერესება და ჩართულობა, ენის დაცვა, ეთნოგრაფიული კულტურის მიმართ მეტი პატივისცემა.

პატივისცემით გიორგი გიგაური

The first step and the first attempt on Georgian ethnoastronomy is the presented book. In the future, this issue will be brought to the fore. Against the background of today's astronomical discoveries, the unconscious or conscious „heavenly~ knowledge of the ancient people requires new research today. In the Georgian ethnographic life, the astral-cosmogomic-cosmological expression, next to the ornaments, symbols and pictographic signs, is a dictionary of a suitable character preserved in the language. Sacramental rituals where they are obviously of cosmological content and most of them were performed after special prayers and have survived to this day as remnants of folk life. Systematic research will eventually give us some answers. The unique word „faith~ is still in the language today and requires a different approach today, in our opinion.

Decorative and apotrophic geometric cosmological representations, against the background of various cosmological rich dictionaries in the Georgian language, require in-depth and systematic research. We deliberately sidestepped another line in Georgian culture, in particular, the cosmological theme of Georgian fairy tales. We refrained from researching Georgian fairy tales in order not to complicate the research even more and to make it more obscure. The fact is that all of these are interconnected and the topic of „Skneli~ and „Kveskneli~ is cosmological and requires new research. Introducing a new topic and coming up with a new idea raises a lot of unanswered questions. In the future, the knowl- edge of the peculiarities of the Georgian language and its cosmological „heav- enly~ knowledge _ the search for ideas _ should become the subject of univer- sal scientific research. About ?, what was the purpose for the existence of such a dictionary ?, what is the purpose of the connection of cosmological ideas with the divine culture? And others.

The first purpose of the book is to involve more interested people, to preserve the language, to have more respect for ethnographic culture.

Sincerely, Giorgi Gigauri

ქართული ცის მზომელობა და თანამედროვე ასტრონომია

„მით ვისწავლებდით მოგვეცეს, შერთვა ზესთ წყობთა წყობისა“
შოთა რუსთველი

„თუ მოხვდები შავ ხვრელში, გამოსავალი, არის. ინფორმაცია, არ იკარგება“
სტივენ ჰობკინგი

სამეცნიერო კვლევებიდან ცნობილია, რომ უძველეს ხალხთა კულტურაში, ოდითგანვე იყო თქმულებები ზეცის შესახებ. არსებობს ასევე მითოლოგია და სქემატური გამოსახულებებიც, თუმცა ისინი ძირითადად, მხატვრულ გაფორმებად შემორჩენილა და საღვთო ინფორმაციის მთავარ ნაწილად განიხილება. ეროვნულ თავისებურებათა შესაბამისად გამორჩეული თქმულებები ზეცასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც შეიცავს და ამავდროულად, ადგილობრივი ხასიათის იდენტობის თანაფარდიცაა. საღვთო მსახურებასთან მყარად დაკავშირებული სამყაროს აგებულების ცოდნა ბევრგან დამოუკიდებელი სფეროა და მითოლოგიურ სცენარსაც ინახავს. სხვადასხვა ხალხთა ძველმა ენებმა საინტერესო მხატვრული გაფორმებებიც შემოინახა და ზოგი მათგანი დღემდე ისევ სარიტუალო წესებშია ჩართული.

ჩრდილო კავკასიურ ენებში ვაინახურ ხალხთა მითოლოგია დღემდე ინახავს ინფორმაციას ზეცის და ცის შესახებ – „სოროების“ არსებობის შესაძლებლობას ზეცაში – და ერთგვარ კავშირ — ურთიერთობის საშუალებებზე გვიქმნის წარმოდგენას: სამყაროს წარმოშობაზე, დედამიწის ფორმაზე (კვერცხის ფორმა), ვარსკვლავებზე, მოძრაობებზე „ზეცრიელზე“ ან „ქვეცრიელზე“ და ა.შ. კოსმოგონიურ – კოსმოლოგიური ინფორმაცია ძველი დროიდანვე იყო ძველი ხალხის ცხოვრების თანამდევი და ემპირიული ცოდნით (გადმოცემით დაგროვილი) მოღწეული დღევანდლამდე. საყურადღებოა ძველი ინდური გადმოცემები ზეცის აგებულების შესახებ და სიმბოლურად

ცხოველების ჩართულობა ამ აგებულებაში. განსაკუთრებით საინტერესოა აფრიკის აბორიგენი მოსახლეობის დოგონების ცოდნა და ინფორმაცია კოსმოსის, მათ შორის, სირიუსის ვარსკვლავისა და მის გარშემო არსებული სხვა ვარსკვლავების არსებობის შესახებ. დოგონების ცოდნა სირიუსის ვარსკვლავთან დაკავშირებით უხსოვარი დროიდან იყო ხალხში და ბევრი საერთო აქვს დღევანდელ ასტრონომიულ აღმოჩენებთან.

ბევრი მსგავსებაა სარიტუალო წესებსა, ქართულ ენაში არსებულ სათანადო ლექსიკასა და მათ გამოხატვას შორის, – იქნება ეს პიქტოგრაფიული ნიშნები თუ „წალიწადში“ ანუ ახალი წლის დილას სახლის კარში ბორჯღალოიანი კვერების შეგორება ან „აშალების“ გადმოშლა – სპირალური სარიტუალო მოძრაობა, (აშალი, კვერები – პურსაწირები, იგივე შესაწირავი პურებია.).

თანამედროვე ასტრონომიული კვლევებიც არაერთ მსგავსებას ადასტურებს და რა ლოგიკური ახსნა შეიძლება ჰქონდეს? შეიძლება რაიმე პასუხი მოიძებნოს? შემთხვევითი მსგავსებებია თუ რაღაც გაუცნობიერებელი, ძველი კოსმიური ცოდნის ნაშთებია?

ზოგი გადმოცემა იმდენად მხატვრულადაა გაფორმებული, რომ ბურუსშია მოქცეული ან იმდენად სიმბოლიზებულია, რომ გარჩევაც ძნელია, რომელია პირველადი ან მეორადი. ბევრგან სქემატური წარმოდგენა გაფერმკრთალებულია, ზოგს კი დღემდე მოუღწევია, სახელწოდებები, მაგალითად: ქართული „სკნელი“ და სკნელთან დაკავშირებული. ძველ ქართულ გადმოცემებში არსებული სახელწოდებები ადგილობრივი ქართული ენის ძირძველი ლექსიკიდან მოდის და როგორც ჩანს, ძველადაც ასე იყო.

გადმოცემები ცისა და ზეცის სხვადასხვა დონის შესახებ ძირითადად, შუასაუკუნეების ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა.

საერო და სასულიერო ჩანაწერები „ცის მზომელობის“ საინტერესო ლექსიკას ინახავს (ცის მზომელობა მათემატიკა). ეთნოგრაფიულადაც ასევე მდიდარია ქართული კოსმოგონიური ლექსიკა და მათი გამომსახველობაც – აპოტროფიული ნიშნები და დეკორული პიქტოგრაფიული ნიშნები. უძველესი პეტროგლიფები ასევე

კოსმოლოგიური ხასიათისა: ჯვრები, წრეები, სპირალები, მასკვლავი (ვარსკვლავი) და ა. შ.

ეთნოგრაფიულად თასი იყო ზეცის (ცის) სიმბოლო და „თასის მოწოდება ციდან“ საღვთო ტრადიციული კონკრეტული სალოცავის ისტორიულ წარმოშობასაც უკავშირდება. დღემდე ცოცხლობს გადმოცემა, მაგალითად: პირაქეთა ხევსურეთის ლიქოკის ხეობის „კარატის“ ჯვრის დაარსების შესახებ.

ჩვენთვის საყურადღებოა – ძველი ენების კვლევის სტადიური კლასიფიკაციით,– წინაინდოევროპული ენების ფაქტი და ენებში შემორჩენილი კოსმოგონიურ – კოსმოლოგიური სიტყვები, წარმოდგენები, სიმბოლო ნიშნები და სარიტუალო წესები. საქართველოს ტერიტორიაზე და ისტორიული ლაზეთის მიწაზე დიდი რაოდენობითაა დაფიქსირებული კოსმოლოგიური ხასიათის ძველი სიმბოლო – ნიშნები. ამ ნიშნების კვლევის პარალელურად, აუცილებლად მიმაჩნია ენებში შემორჩენილი ასტრალურ კოსმოგონიურ კოსმოლოგიური სიტყვების კვლევა – შედარება – საიდან შეიძლება შემორჩენილიყო ასეთი ინფორმაცია და ასეთი ინფორმაციის შეჯერება და შედარება თანამედროვე ასტრონომიულ აღმოჩენებთან. ფაქტია, რომ მიკროკოსმოსი მსგავსია მაკროკოსმოსის და ძველი ხალხის მიერ გამოხატულ სიმბოლოთა შორის ბევრი მსგავსებაა. ენებში შემონახული „ცოდნა“ საინტერესო ფაქტების წინაშე გვაყენებს.

მე-17 საუკუნის ცნობილი მოღვაწის სულხან-საბას „ლექსიკონში“ ბევრი ისეთი სახელწოდებაა, რაზეც მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. როგორც ჩანს, შუა საუკუნეების ყოფიდან მოღწეული უძველესი ინფორმაცია ნაშთებად შემორჩენილა (მაგ. „წამის“ შესახებ) და ამას „ცის მზომელობა“ ეწოდება.

წამის დანაყოფები: კესი, მასი, არდი, მეყი, წენი, ბლისი, ნვინი.

რა ხელსაწყოთი შეიძლებოდა დაფიქსირებულიყო წამის ასეთი უმცირესი პერიოდები და ამას აქ, მიწაზე კი არ განსაზღვრავდნენ, არამედ ცაში (ცის მზომელობის საშუალებით).

სულხან-საბას ლექსიკონში სხვა მაგალითებიცაა: ქარის 30-ზე მეტი მიმართულებაა აღწერილი, რაც დღესაც ძნელი დასაფიქსირე-

ბელია, რადგან შესაბამისი რთული ხელსაწყოა საჭირო. წამის ასეთ დანაყოფთა დაფიქსირება დღესაც, კვანტური ეპოქის დროსაც კი, რთულია. ეს ტერმინოლოგია ძირძველი ქართულია, მაგ: სვანურ ენაში ზოგიერთი სიტყვა მიწის მონაკვეთსაც აღნიშნავს. ანუ ამგვარი სიტყვები ქართულად ადრე „ცის მზომელობაში“ არსებობდა. ასეთი სიტყვები სხვა ენებში არ იძებნება და არც რაიმე საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ სხვათა ენათაგან გადმოტანილ კოსმოლოგიურ სისტემურ სიტყვებზე.

საინტერესოა, დღევანდელი ასტროფიზიკოსების ტერმინი „პლანირებული დრო“, რომელიც სამყაროს წარმოშობის დროს გულისხმობს. რა მდგომარეობაზეა საუბარი და როგორ შეიძლება ასეთი ინფორმაცია შემორჩენლიყო ძველ ქართულ კულტურაში?

ქართულ ენაში „ცასთან“ დაკავშირებული უამრავი სიტყვა არსებობს რაზეც თქვენი ყურადღების მიქცევა მსურს.

ბევრია ვარსკვლავისა და გრავიტაციის (მიზიდვა) მსგავსი სახელწოდებები, 9 ცის სახელწოდება, რაც გარკვეული მანძილის მიხედვითაა „დაწყობილი“. სასურველია, რომ ამგვარ სახელწოდებათა მიმართ სისტემური კვლევები წარიმართოს და შედარებებიც მოხდეს დღევანდელ ასტრონომიულ აღმოჩენებთან.

ამჯერად დროის განსაზღვრების შესახებ, ასევე „უჟამო ჟამის“ (დროის არ არსებობის ადგილი) ანალოგიური მოვლენების ფაქტებზე გვინდა მივაპყროთ მკვლევართა ყურადღება. ასეთი – „უჟამო ჟამის“ დრო – სწორედ საღვთო უძველესმა ტექსტებმა შემოინახა და საღვთო ადგილთან მოიაზრება: „შენს კარს, შენს კამალას დაიყენენ ჟამსა უჟამოსა, ბნელსა — ცისკარს“ (ხახმატის ჯვარის ლოცვიდან). არამიწიერ, ზეციურ „კარზე“ იგივე „საღვთო კარზე“ ასეთი ადგილის სინონიმური გამოთქმაა. ანუ დროის არ არსებობაზე, ან დროის სხვა მდგომარეობაზე ლაპარაკი. მეორე სიტყვაც „ცისკარი“ იგივე „ცათკარი“ „უხვის“ სინონიმია (ცათკარს ხომ არ ჩამამაყრის – ბარაქას ხომ არ მომცემს?). ანუ შემორჩენილია სიტყვები ზეცაში „კარების“ უხვად არსებობაზე.

ზოგიერთი ისეთი ვარსკვლავის თავისებურების აღწერაც ჩანს,

რაც მხოლოდ 2000 წელს ჰაბლის ტელესკოპის ორბიტაზე გატანის შემდეგ წარმოჩინდა, მაგ. „უღელა“ (ტყუპა) ვარსკვლავი. ასეთი ვარსკვლავი ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე ნამდვილად არსებობდა და არსებობს.

ქართულ ენაში ჩანს ცის სახელთან დაკავშირებული: მოძრაობის (ცაკვალა), ციკლურობის, (ცვალება) ტრიალის (ციბრუტი) და სხვა კოსმოლოგიური აღწერილობის მსგავსი სახელწოდებები. ენაში ჩანს სინგულარულობის მსგავსი მოვლენის აღწერის ფაქტი, სადაც „ცის ჩამახურვაზეა“ (ყველაფრის სიკვდილი) ლაპარაკი. „ცა“ ეწოდება ქუდის ზედა ნაწილს, სადაც სპირალური სიმბოლო ორნამენტებია ამოქარგული და დღემდე ასე ქარგავენ. „გაცამცმული“ (სავსე თასი), დაქუქმაცებული, (დანაწევრებული, დაშლილი), უცნაური, საოცარი, მცავი, საცავი და. ა.შ. ენაში ჩანს ე.წ. „უხილავი მატერიის“ აღმნიშვნელი მსგავსი სიტყვა (არაფერი) და „უხილავი ენერგიის„ (არაძალი „,არაის ძალის ტანება“) მსგავსი სიტყვები. ცის უდიდესი მნიშვნელობის სიტყვაც არსებობს, რაც გონიერი სუბსტანციის მსგავს სახელწოდებას აღნიშნავს: „ცნობიერი“, „ცნობა“, „ცნება“ (რუსული „ნება“ – ცა) და სხვა.

ზღაპრებში ვხედავთ კოსმიური „შავი ხვრელის“ მსგავს აღწერას „ქვესკნელის“ შესახებ და ასევე, მიღმიერ მდგომარეობასაც ანუ ზღაპრულ გადმოცემებში შეტრიალებულ ყოფაზეა (დროის უკუღმა მიმდინარეობაზეა) ლაპარაკი. არის ასევე ძალიან პატარა მოცულობის ნაწილაკის აღწერის მსგავსი სიტყვები: „ციდა“ „ნამცეცა“ „უმცირესი“ და ა.შ. ყველა ესენიც „ცის მზომელობის“ ლექსიკონიდან ჩანს აღებული.

ჩვენი სურვილია ამ ლექსიკას დღეს სრული დაკვირვებით მივუდგეთ, რადგან ბევრი მსგავსებაა დღევანდელ ასტრონომიულ აღმოჩენებთან და კვანტური ფიზიკის კვლევებთან.

დღევანდელი ასტრონომიული კვლევა დაიწყო ჰაბლის და კეპლერის სახელობის უძლიერესი ტელესკოპების ორბიტაზე გატანის შემდეგ. ეს ლექსიკონი ძალიან ჰგავს დღევანდელ აღმოჩენებს. რა ახსნა

შეიძლება მოეძებნოს ამას? ეს ლექსიკა ძველთაგანვე არსებობდა ქართულ ენაში და ჩემი აზრით, აღწერდა ცოდნას „ცის მზომელობის“ შესახებ. ბევრი სიტყვა დღეს მიწიერ სახელად შემორჩა სხვადასხვა ნივთს თუ მოვლენას და მასში ცის სახელის ფუძე ფიქსირდება. „სხვათა ცის“ სახელების გარდა საინტერესოა სიტყვები დროის სხვადასხვა მდგომარეობაზეც: „უკანასკნელი“ „წინსკნელი“ და ა.შ. „გარესკნელი“ და „გარდასკნელი„ თავისი ფერითაც არის შერჩენილი. ქართული „სკნელის“ მსგავსი სიტყვიდან ჩანს ნაწარმოები სხვათა ენაში ცის სახელწოდებაც („სქაი“ – ცა, ინგლისურ ენაზე).

საიდან შეიძლება ცოდნოდა ძველ ხალხს ასეთი კოსმიური ინფორმაცია? რაც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს, იმის აღქმა რა საშუალებით შეიძლებოდა მოსულიყო ადამიანის გონებამდე? ერთი რამ ნათელია, ქართულ ენაში ბევრი გაუცნობიერებელი ინფორმაცია დევს კოსმოლოგიური ფაქტებისა და მდგომარეობის შესახებ. ერთ წერილში ყველა სახელწოდების მოყვანაც კი საკმაოდ რთულია. ამ განხრით ენაში არქეოლოგიური კვლევები არ ჩატარებულა. თუმცა, ბოლო დროს საქართველოში მატერიალური კულტურის ძეგლებზე არქეოასტრონომიული ცოდნის კვალიც დაფიქსირდა.

მეგალითური ძეგლები მზის, მთვარის, ვარსკვლავების მოძრაობისა და პოლარული ვარსკვლავის მიხედვით შენდებოდა და წლის გარკვეულ მონაკვეთში მათზე ახდენდნენ დაკვირვებას. კვლევის ავტორია ბატონი ბადრი ჯეჯელავა (რედ. ასტროფიზიკოსი პროფესორი ირაკლი სიმონია). ძველ საქართველოში იყვნენ დაინტერესებული ცის მნათობზე დაკვირვებებით და მათი მდებარეობის განსაზღვრით (ს. ბედულაძე ეთნოგრაფი). ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეული სპეციალისტი „მემარგე“ არსებობდა ეთნოგრაფიულ ყოფაში და მზის ბუდეებზე დაკვირვებასაც ახდენდა. ეს უკვე გვიან მოღწეული ინფორმაციაა, ხოლო ენაში არსებული სხვა სიტყვები, როგორც ჩანს, „ცის მზომელობის“ ლექსიკიდან უნდა იყოს შემორჩენილი და ჩემი აზრით, უფრო ძველია.

ქართულ ენაში იმდენი კოსმოლოგიური ხასიათის ინფორმაცია

ჩანს, რომ შთაბეჭდილება იქმნება სპეციფიკური ენის არსებობისა და იმ ენიდან შემორჩენილი ცოდნის შესახებ . ქართული ენა მთლიანად კოსმოლოგიური ინფორმაციის მატარებელი ენაა. იმედია, მომავალი თაობა სწორად მიუდგება ასეთ ფაქტს და ყოველგვარი ზედმეტი ან გადაჭარბებული წარმოდენებით არ იქნება აღქმული ასეთი კვლევა. „ცის მზომელობის ლექსიკა“ დღემდე მოღწეული ამგვარი სიტყვების ნაშთებია. ასეთი კვლევა ჩასატარებელია იბერიულ-კავკასიურ ენებში და სისტემაშია მოსაყვანი. თუკი არსებობდა ქურუმების გარკვეული ჯგუფი, რომელიც ასეთ ცოდნას ფლობდა და ინტუიციურად კიდეც „შეიმეცნებდა“, მაშინ ამგვარი მიდგომა, ადამიანის გონების შესაძლებლობის ძველი დროის საშუალებაზე კვლევისკენ მოგვიწოდებს. რა დროს ხდებოდა და რა დაკვირვებას ახდენდნენ ძველი ხალხის რჩეულები და რა საშუალებით გადმოეცემოდათ მათ კოსმიური „ცნობიერება“?.

„უდიდესის შეცნობა უმცირესიდანაც შეიძლება“. დღეს სამყაროს შესახებ კვლევა კვანტური ფიზიკის ფუნდამენტურ ნაშრომებსა და თეორიტიკოს ფიზიკოსთა დასკვნებში გვხვდება. „დღევანდელი კვანტური მექანიკაც ასევე ელექტრონულ ნაწილაკთა სხვადასხვა ადგილზე არსებობას ვარაუდობს“ (დანიელ ჰებერტი კვანტური ფიზიკოსი). რამდენიმე წლის წინ ასეთ აღნიშვნას ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ დღეს, როცა კოსმოსის და ფიზიკის კანონების არაერთი ნაშრომი დაგროვდა, შეიძლება ამის აღნიშვნა და პროფესიულად უნდა მივუდგეთ ძველი ხალხის „ცნობიერების“ ენისა და ცათა აგებულების ანუ კოსმოსის ანალოგიური აღწერის მსგავს მოვლენებს, უნდა მოხდეს კვლევა-დაკვირვება.

კვანტური ფიზიკა სამყაროს სწავლობს, ასევე ბევრი აღმოჩენა გაკეთდა სინათლის ფოტონების საშუალებით და მათზე დაკვირვებით: განისაზღვრა სინათლის სიჩქარე, აღმოჩენილია „უხილავი მატერიის“ მიერ გამოვლენილი ტალღები, აღმოჩენილია სივრცის და დროის გამრუდების ფაქტი, გალაქტიკათა შუაში შავი ხვრელი და ამ ადგილის უდიდესი გრავიტაციის ფაქტი, აღმოჩენილია სხვა პლანეტები და მათ შორის, დედამიწის მსგავსი ბევრი ეგზო-

პლანეტაც {1}. აღმოჩენილია ისეთი ვარსკვლავი, რომელიც უდიდეს გრავიტაციას შეიცავს, „ნეიტრონული“ ვარსკვლავი, აღმოჩენილია მეტაგალქტიკები და ა.შ.

დიდი მეცნიერების ალ. აინშტაინის აღმოჩენები წლების შემდეგაც დამტკიცდა – (ფარდობითობის თეორია), სტივენ ჰოკინგი (ჰორიზონტის სუპერტრანსფორმაცია) და სხვა. ეს უკანასკნელი შავი ხვრელის სიახლოვეს ერთი ფიზიკურ მდგომარეობიდან სხვა უცნობ ფიზიკურ მდგომარეობისკენ გადასვლის ზღვარია. კოსმოსში მოიაზრება დროის შენელების ან საერთოდ, უდროობის არსებობის შესაძლებლობაც. სწორედ ასეთია შავ ხვრელთან „ჰორიზონტის ადგილიც“. მეცნიერები დროის შენელების ან დროის არ არსებობას მოიაზრებენ კოსმიურ „სოროებში“ (ცადკარი) და სინათლის სიჩქარით მოძრაობის დროს. „უდროო დრო“, დროის არარსებობა ან შენელებული მდგომარეობა მოიაზრება დიდი აფეთქების შემდგომ პერიოდშიც (დაახლოებით, 14 მილიარდი წლის პერიოდი დიდი აფეთქებიდან).

„დრო და განზომილება არ არსებობს სამყაროს გარეშე“ (ალბერტ აინშტაინი). კოსმიური აგებულების აქამდე ბევრი უცნობი ფაქტი და მოვლენა წარმოჩინდა თანამედროვე ტელესკოპების საშუალებით. უახლესი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით გამოჩნდა კვანტური ფიზიკის „უმცირესი“ ნაწილაკები და მათ მიერ გამოვლენილი ტალღები. აღმოჩენილია სინათლის ფოტონები, ჰიგსის ფოტონი, ელექტრონული ნაწილაკები და ა. შ. მათ შორის, ძლიერი საკვლევი ობიექტი ამერიკაში, კალიფორნიაში, „პასადენის“ სამეცნიერო ლაბორატორიაში.

საინტერესოა, კოსმოსის გრავიტაციის წარმოშობის შესახებ გამოთქმული აზრიც, რომ ის „ნაწილაკთა ჩახლართულობიდან“ მომდინარე ფიზიკური მოვლენაა. გამოთქმულია სხვა აზრიც, რომ გრავიტაცია კოსმოსში გამოწვეულია ზეკოსმიური ველის ძალით. გალაქტიკათა ურთერთშეხვედრის და გადაკვეთის დროს და ფიქსირებულია უხილავი მატერიის ძალით გამოწვეული ტალღებიც. სინათლის ხაზის გამრუდების (გაცერების) ფაქტებიც.

„კოსმოსში არის ტალღები, რომლებიც მოქმედებს ადამიანზე და

სამყაროზე“ (ჯეიმს ბულოკი, ასტროფიზიკოსი). მეცნიერების კვლევით კოსმოსის 15 ან 20 პროცენტი არის მხოლოდ მყარი მატერია და გაზი (ვარსკვლავები, პლანეტები, მეტეორები, ნისლეული მტვერი), ხოლო დანარჩენი 80 პროცენტი უხილავ მატერიას და უხილავ ენერგიას უკავია. თუკი მყარ მატერიას ამდენი მრავალფეროვნება და მრავალგვარობა ახასიათებს, იოლი წარმოსადგენია რამდენად აღმატებული იქნება უხილავი მატერიის თავისებურება. უხილავი მატერია და უხილავი ენერგია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და კოსმოსის სამყაროს განმსაზღვრელია. იბადება კითხვა, საიდან იღებს ენერგიას ასეთი ყოვლისმომცველი სუბსტანცია? დაკვირვება აჩვენებს, რომ კოსმოსში არსებობს კანონზომიერება, სისტემურობა, სიმეტრიულობა, მოძრაობა (დაბადება, სიცოცხლე, გარდაცვალება, ასეთი თანამიმდევრობაა კოსმოსში და იგი ვარსკვლავებს ახასიათებს. მრგვალი ფორმაც, კოსმიური საერთო ფორმა კვარკების (უმცირესი ნაწილაკები) დონეზეც და მთელი კოსმოსის დონეზეც. საფიქრებელია, რომ უხილავ მატერიას და უხილავ ენერგიას ერთი საერთო წყარო გააჩნია და ეს ძალა, ჩვეულებრივი ფიზიკური მოვლენაც არ იქნება „მუდმივმყოფი“ ძალა (ალ. აინშტაინი). თეორეტიკოსი ფიზიკოსების აზრით, უხილავი მატერიის მაკონტროლებელი ძალა „კოსმიური გონის“ სახელწოდებით მოიაზრეს. კოსმიური გონის“ (ცნობიერების) სხვადასხვა საინტერესო გამოვლინებები და მატერიალიზებური ფორმები ფიქსირდება კოსმოსში, ჰაერში, ოკეანეებში, ხმელეთზე და კვანტურ დონეზეც. ამ კონტექსტში გვინდა აღვნიშნოთ (შემდგომ კვლევაში ასეთ ფაქტებზე გვექნება წერილი) უძველეს პეტროგლიფებზე, გეოგლიფებზე და მოგვიანებით მოკვლეულ პიქტოგრაფიულ გამოსახულებებზე ამოუცნობი ობიექტების გამოსახულებების ფაქტი (ამოუცნობი ობიექტების ფიგურები). რა მოვლენაა ასეთი ფაქტები და რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული? ჩემი აზრით, ეს სწორედ „კოსმური გონის“ მატერიალიზირებული ერთ-ერთი გამოვლინებაა და ადამიანის გონებაზე მოქმედებს უმეტესად დადებითი განწყობით და იშვათად, უარყოფითი შედეგით.

კოსმოსში აღმოჩენილია ეგზოპლანეტები, მაგრამ სიცოცხლის

ნიშანწყალი ჯერ არსად ჩანს. სიცოცხლის მსგავსი რაღაც ფორმა, შეიძლება არსებობდეს (ან არსებობდა), მაგრამ ადამიანის მსგავსი გონებრივი, ხორციელი ქმნილება საეჭვოა, რადგან ასეთი ინფორმაცია ადამიანთა გონებაში ინტუიციურად არსებობს. მაგრამ სხვა განზომილების სხვადასხვა გამოვლინებები არსებობდა, არსებობს და იარსებებს კიდეც. მათ შორის უარყოფითიც იქნება და სიფრთხილეა საჭირო.

„ადამიანის გონება კოსმიური გონის ერთი პაწაწინა უჯრედია ანუ ერთგვარი მიმღებია“ (ს. ჰოკინგი, ასტროფიზიკოსი). დაკვირვებამ აჩვენა, რომ კოსმოსში გალაქტიკებს შორის არსებობს კავშირიც. გარკვეულ მონაკვეთზე ერთნაირადაა მომართული, ხოლო სხვა მონაკვეთზე კი სხვანაირად. დაკვირვებამ აჩვენა, რომ არსებობს „დეტერმინიზმი“ (ს. ჰოკინგი) ანუ ინფორმაციის დამახსოვრება ხდება რაღაც დონეზე. მეტაგალაქტიკაში როგორ ხდება ინფორმაციის „გადაცემა“ ან სხვა გალაქტიკების მიმართ, ეს ჯერ კიდევ აუხსნელია. დაფიქსირებულია შავი ხვრელის შუაგულიდან ამოსული ძლიერი სხივის – „კვაზარი“ – ამოსვლის ფაქტი, რომელიც კოსმოსში ახალი ვარსკვლავების დაბადებასაც უწყობს ხელს. დიდი ვარსკვლავის გარდაცვალების დროს ხდება უხილავი მატერიის უჯრედის გახსნა, შავი ხვრელის დაბადება და გრავიტაციული ველის წარმოქმნაც. ყოველ გალაქტიკას შუაში აქვს თავისი შავი ხვრელი (ქვესკნელი). არსებობს კანიბალი შავი ხვრელები, რომლებიც თავისზე პატარა შავ ხვრელებს ნთქავს. დაფიქსირებულია მოხეტიალე პატარა შავი ხვრელები, რომლებიც კოსმოსში თავისუფლად, თავის გზით გადაადგილ დება. დაფიქსირებულია კოსმოსში ისეთი ადგილი, სადაც არანაირი ვარსკვლავი არაა და არც რაიმე მტვრის ნისლეულია (სუპერვოიდი) ანუ „ცარიელი“ ადგილი. ასეთ ადგილას პერიოდულად ჩნდება ხოლმე გაელვება ხმლის მსგავსად –„კოსმიური ცელი’, (ცისკართგახმნა).

სტივენ ჰოკინგის მიერ დაფიქსირებულია შავი ხვრელის გარშემო „ჰორიზონტის სუპერტრანსფორმაცია“ (გადაცემა, ცვლა, გადაცვლა) – სადაც ხდება სხივის ჩაკეცვა და გადადის შავი ხვრელის

მიღმა, სხვა ფიზიკურ განზომილებაში. ეს ადგილი მოიაზრება „შემნახველ ადგილად“ ანუ ინფორმაციის შემნახველ და გადამცემ განზომილებად. ასეთი ადგილიდან უხილავი მატერიისგან გამოწვეულ ტალღებზე ხდება დაკვირვება. ს. ჰოკინგის მიერ მიკვლეული „მაგნიტური ტალღები“, რომლებიც გაფართოების თანამყოფი ტალღებია, მხოლოდ შავი ხვრელის გარშემო ჩანს. უხილავ მატერიაზე დაკვირვებას ახდენენ „კოსვენური“ მეთოდით ანუ გალაქტიკების შერევის დროს ჩნდება ერთგვარი ტალღისებური მდგომარეობა. უხილავი მატერია მოქმედებს უმცირესი ნაწილაკიდან დაწყებული, უდიდესი მეტაგალაქტიკების ჩათვლით.

კოსმოსში ფიქსირდება „რელიქტური“ გამოსხივება და ტალღებიც. {2}. ასეთი ტალღები ატარებენ თავისებურ ნაწილაკებს, რომლებიც სწორედ ძველი ინფორმაციის ანუ მდგომარეობის გადმოცემას ახდენს. სწორედ ასეთი ტალღები მოიაზრება თეორიტიკოს ფიზიკოსებში და ასტროფიზიკოსებში ინფორმაციის გადამცემ საშუალებებად. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღება შეუძლია გარკვეულ მდგომარეობაში ადამიანის გონებასაც განსაკუთრებულ დროს, განსაკუთრებულ ადგილას, გარკვეული ინტუიციის ჩართვის მონაკვეთში (წინასწარმეტყველება). „უხილავ მატერიაში სწორედ ასეთი ტალღების საშუალებით ხდება ინფორმაციის მობილიზება“ (დანიელ ჰებერტი, კვანტური ფიზიკა). უხილავი მატერიის შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ადამიანის გონებაზე მისი ზემოქმედების საინტერესო ფაქტები მომავალში გამოსაკვლევია.

ერთ ცდაზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. ეს ცდა ჩატარდა ქ. ვენაში, კვანტურ ფიზიკაში – ა. ზაილენდგერის ხელმძღვანელობით, სინათლის ფოტონებზე დაკვირვებით. დაბალი სიხშირის ლაზერულ სხივს წინ ჯერ ლითონის დაფას ახვედრებდნენ. შუა გზაზე ამ სხივს გამჭოლ დაფაში ატარებდნენ ორი გრძივი შვეული გამჭოლი ხაზით. შორს დაფაზე წარმოიქმნებოდა გამრავლებული ვერტიკალური ხაზები. ანუ სინათლის ფოტონები იყოფოდა რამდენიმედ და ამიტომ გამრავლებული სინათლის კვალი ჩნდებოდა. შუა და-

ფას, რომელსაც ჰქონდა ორი ვერტიკალური ჭრილი, გვერდებზე დაუყენეს სპეციალური, მაღალი გარჩევადობის კამერები. უნდოდათ ფოტონების გაყოფა დაეფიქსირებინათ, მაგრამ ამ დროს, შორს, დაფაზე გამოისახა მხოლოდ ორი ხაზი (?). ცდა რამდენჯერმე გაიმეორეს, თანაც სხვადასხვა მდგომარეობაში (ნათელ ოთახში, ბნელ ოთახში, წყალში და ვაკუუმში) და შედეგი ერთი და იგივე იყო. კვანტურ ფიზიკაში მეცნიერებისთვის სხვა მომენტებიც არის აუხსნელი, მაგრამ ამ შემთხვევის დროს ფოტონებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ „ბუნება გვაჩვენებს, რასაც გვაჩვენებს“. აქ ფოტონების თვისება კი არ ვლინდებოდა, არამედ რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რაღაც სხვა ძალა ახდენდა ფოტონებზე ზემოქმედებას და „ინიღბებოდა“ ცდის დროს (საფარველის დადება). ეს შემთხვევა უხილავი მატერიის ერთ-ერთ გამოვლინებად ჩაითვალა. ბუნების მხრიდან „აღქმის“ მომენტი აიხსნება სწორედ ადამიანის გონებაზე ზემოქმედების გამო. ადამიანის გონება განვითარების ხაზით უფრო ღრმავდება და თითქოს საზღვარი არ აქვს, როგორც მიკრო კოსმოსის ხაზით, ისე მაკრო კოსმოსის ხაზითაც. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ადამიანის გონება კი არ ვითარდება, არამედ გონება „იღვიძებს“ ანუ „აღდგენის“ პროცესშია და „იხსენებს“ თავის შესაძლებლობებს. კვანტურ ფიზიკაში და კვანტურ მექანიკაში ბევრია ადამიანის გონებისთვის ჯერ კიდევ შეუსწავლელი და „შესაცნობი“ მოვლენა და გარკვეული გარემო, დრო სჭირდება ყოველივეს, ასეთია მკვლევარების აზრი. ადამიანის გონება თითქოს სპეციალურად არის სიღრმისკენ შესაცნობად მიმართული და ზღვრული მდგომარეობა არც მოიაზრება. კოსმიური ცხოვრებისკენ და უხილავი სხვა განზომილებებისკენ მისწრაფება უდიდესია. ეს შეიძლება „გადარჩენის“ ინსტიქტით ავხსნათ, მაგრამ ჩემი აზრით, ინტუიციურად რაღაც დიდი სამსახურის სამზადისად, შესაცნობად უფრო ჩანს ასეთი მისწრაფება. მთაში შემორჩენილია გამოთქმა: „ცას რაც ეკუთვნოდა მიწამ შეუქცივისავ“ (ანუ პასუხი მიაგისავ – მიწამ უპასუხოსო), უფროს-უმცროსობის ურთიერთობის გამოა ნათქვამი, ანუ ცა – უფროსია, მიწა – უმცრო-

სი. ცა მოითხოვს და მიწა მიაგებს. ასევეა გამოთქმა: „ცა – რვალთ ერჩიან ადამიანები“ (ცას მიესწრაფიან ან „რვალს“ ეურჩებიან და სხვ.

კოსმიური „შემეცნების“ და სამეცნიერო კვლევების სწორად წარმართვა უმთავრესი ჩანს, მაგრამ აქაც მეცნიერები „მშრალი ინტელექტის“ ბევრ უარყოფით მოსალოდნელ საშიშროებაზეც აკეთებენ აქცენტს და არცთუ უმიზეზოდ. „კოსმიურ გონთან“ სწორად ურთიერთობა სამომავლოდ იქნება უმთავრესი და მნიშვნელოვანი. ჩვენ არ ვიცით „კოსმიური გონის“ რაობა და რწმენაშიც უხეში ჩარევა რამდენად სასარგებლოა კაცობრიობისთვის. სამომავლოდ მეცნიერების განვითარება „მარადიული კოსმიური გონის“ (ღმერთის) აღიარებისკენ უფრო მიდის ანუ უახლოვდება და არ არსებობს დაშორება. ასეთ მდგომარეობაზე ამბობდა ა. ჰაიზენბერგიც „ადამიანის გონის განვითარება მიაღწევს ისეთ დონეს, როცა ბიბლიური სიუჟეტი ახლოს მოვა სამეცნიერო კვლევებით“.

დღევანდელ დღეს, ყველაზე თანამედროვე მეცნიერის ს. ჰოკინგის (1942-2018) მიერ აღმოჩენილი კოსმიური მნიშვნელოვანი ადგილის ფორმულირება ასეთია:

$$T = \frac{hc\ 3}{8п\ GMK}$$

შავ ხვრელთან გრავიტაციული ველის შესწავლა კიდევ მიმდინარეობს. „ცნობიერის“, ანუ კოსმიური გონის“ და უხილავი მატერიის გამოვლინების შესწავლა ბევრ ახალ ფაქტს მოუძებნის ახსნას. კვლევა ვიზუალურად უძლიერესი ტელესკოპების საშუალებით მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მეცნიერების აზრით, რაც არ ჩანს ის უფრო მნიშვნელოვანია და სწორედ ის მოქმედებს ყველანაირ ხილულზე. ასეთია მკვლევარების აზრი. იმედია, მომავალი მეცნიერული აღმოჩენები უფრო გაამყარებენ იმ აზრს, რომ ადამიანის გონება, თავის დროზე, ცის მიმართ ინტუიციური „შემეცნების“ ზოგადი და კონკრეტული ცოდნის ნაშთებს დღემდე ინახავს სხვადასხვა ენებში და ეს წარმოდგენები თანამედდროვე კოსმიუ-

რი აღმოჩენების ფონზე ძალზედ საინტერრესოა. ამრიგად, დედამიწაზე არსებობდა და არსებობს ენები, რომელთა ხსოვნაში არის შემორჩენილი კოსმიური აგებულების გაუცნობიერებელი ცოდნა. აფრიკული ენები (დოგონები), ინდური ენები (გუჯარების ენა) და იბერიულ-კავკასიური ენები. მათ შორის აღსანიშნავია ქართულ ენაში არსებული „ცის მზომელობის“ ლექსიკონის სიტყვები. ქართული „ცის მზომელობის“, როგორც კოსმიური ცოდნის ფაქტი, შესასწავლია. გრაფიკული გამოსახულებების პარალელურად (ბორჯღალები, სპირალები ანუ ხვეულები, მბრუნავი ჯვრები, წრეები, რადიალურად გასხივებული წრეები და სხვა). ქართული სიტყვა „მეცნიერი“, ცნობა, ცნება, სწორედ ცის შესახებ სწავლას და ცოდნას აღნიშნავდა და ამ დარგს სამომავლოდ დიდი მნიშვნე ლობა ენიჭება როგორც ქვეყნისთვის, ისე კაცობრიობისთვის.

P.S. ადრე გამოქვეყნებული წერილი „პიქტოგრამები და კოსმოლოგია“ და „კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების წარმოშობის შესახებ“, სადაც მეტ-ნაკლებად აღწერილია ცათა და ვარსკვლავთა ქართული სახელწოდებები და ეთნოგრაფიული სარიტუალო წესები. „ცათა მზომელობის“ ლექსიკონის კვლევა და ამაზე მსჯელობა დღეს ახალი აღმოჩენების ფონზე უფრო საყურადღებოა. რაც მთავარია, პირველი წერილი ამ საკითხზე 2005 წლის 13 მაისს „ლიტერატურულ საქართველოშში“ დაიბეჭდა – **„საკვირველება ქართული ენისა“** – და დაინტერესება დიდი იყო. ქართულ ენაში არსებულ კოსმიურ ცოდნაზე კვლევები და ეთნოგრაფიული ჩანაწერების შეკრება სწორედ აქედან დაიწყო.

თავისებურება, რომელიც ქართულ ენაში გვაქვს კოსმოლოგიურ ტერმინოლოგიათა სიუხვეა, რაც გაუცნობიერებლად სხვადასხვა სიტყვების ფუძეებში სხვადასხვა შინაარსებად შემორჩენილა. სიტყვებთან ერთად ძველთაგანვე ანალოგიური ხასიათის კოსმოლოგიური სიმბოლოებიც და რიტუალებიც არსებობდა და დღემდე ფიქსირდება, ამას კი სერიოზული მიდგომა და პროფესიული კვლევა სჭირდება,

არა მარტო ქართულ ან ქართველურ, ასევე აუცილებელია ინგუშურ – ჩეჩნურ და დაღესტნურ ენებშიც. ასევე მოსაძიებელია ბასკურ დიალექტებში კოსმოლოგიური ინფორმაციის შემცველი სიტყვები და მათი ფუძის კვლევა-შედარება ქართული ენის დიალექტებშიც. ყველაფერი კი მოგვცემს მეტ ინფორმაციას ძველი ხალხის კოსმოლოგიური წარმოდგენების შესახებ.

ჩემი აზრით, ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა „რწმენა“ რაც ენის შესახებ საღვთო წარმოდგენას ეხება (რწმენა – დაჯერება. ს. საბა) და ცის მზომელოების ლექსიკა. „ცის მზომელობა – მათემატიკა (სულხან საბა). „ცის მზომელობა“კოსმოლოგიური სახელტერმინებია ცის და ზეცის განვრცოებათა შესახებ, მდგომარეობის შესახებ. ჩემი აზრით, კოსმიური ცოდნა ძველ ქართველ „მემარგეთა“ ცოდნიდან მოდის და განჭვრეტით შემეცნების ნაკვალევია. ამის თაობაზე მომავალი მეცნიერები უნდა დაინტერესდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stars and Planets: The Most Complete Guide to the Stars, Planets, Galaxies, and Solar System“ – Updated and Expanded Edition Authors: Ian Ridpath and Wil Tirion

2. „The Mysteries of the Universe“ Children (2020) Author: Will Gater Publisher: DK.

გეომეტრიული ფორმების წარმოშობა

(თანაზომიერების პრინციპი და ენერგის ძალა)

სამყაროს ფორმებში ყველაზე გავრცელებულია გეომეტრიული ფორმები:

მრგვალი, სფერული, ელიფსური და ა.შ. დედამიწისეული გეომეტრიული ფორმა და საერთოდ, კოსმიური გეომეტრიული ფორმები მსგავსნია და ბევრგან ჩანს შაბლონის არსებობის ფაქტი. ფორმები და ფერები, დაბადება და გარდაცვალება, მოძრაობები – წრიული, ხვეული, ცენტრიდა ნული და ცენტრისკენული და სხვა.

საიდან მოვიდა ფორმები და რა შეიძლება დღევანდელი კვლევების მიხედვით ითქვას: კვანტურ ფიზიკოსთა აზრით, ყველაფერი დიდი აფეთქებიდან დაიწყო, მაგრამ ამდენი სამყაროს ელემენტი საიდან გაჩნდა“. ენერგეტიკა იყო თავდაპირველი. „ნება“ ანუ „ნებართვა “ იყო და მოხდა გადმოსვლა სხვა განზომილებიდან. „ნება“ თუკი იყო, მაშინ გამოდის, რომ შემთხვევითობის მომენტი უნდა გამოვრიცხოთ.

იყო დიდი აფეთქება და მოხდა სამყაროს წარმოქმნა. მატერიალური სიმყარე კვარკებიდან, ელექტრონებიდან, პროტონებიდან წარმოიქმნა. სინათლის ფოტონები მრგვალი ფორმისაა და ფორმას არასოდეს იცვლის. „დაწყებული დაბადება“ რა ბიძგით მოხდა? ამის შესახებ მკვლევარებში სხვადასხვა აზრი არსებობს. საინტერესოა რა „ნებას“ ეფუძნებოდა გეომეტრიული ფორმები საწყისი სარკისებური სამყაროს ბრანებიდან (სამყაროს ყველზე მცირე ნაწილაკები, „ბრანების, იგივე სიმების თეორია) ფიზიკოსთა კვლევები. კვანტური ფიზიკის მკვლევარები, რომლებიც თანდათან ახალ აღმოჩენებს აკეთებენ, ასკვნიან, რომ გეომეტრიული ანუ სიმეტრიული ფორმების წყობა შემთხვევითი არაა. გეომეტრიულ-სიმეტრიული ფორმების საერთო მახასიათებელია: შუაგული, გარსი, შუალედი. ასეთი ფორმა კი შემთხვევით არ იქმნება, თუნდაც კვარკების ან ელექტრონების დონეზე. გეომეტრიული ფორმების წარმოშობა, როგორც ჩანს, სამყაროს წარმოშობის საფუძველშივე იყო „ჩადებული“. დახვეწილო-

ბა, მოქნილობა და სიცოცხლსუნარიოანობა ენერგეტიკის მიხედვით მოიაზრება.

დავიწყოთ, დედამიწაზე არსებული გეომეტრიული ფორმებიდან. თოვლის ფანტელის ფორმები, კრისტალი, უჯრედი, ყვავილის გვირგვინი, ატომი, ატომგული, პროტონები და ა.შ. ენერგეტიკა არის ყველაფრის საწყისი, მაგრამ ენერგეტიკის შიგნით როგორ მოხდა მრგვალი ფორმების შექმნა ისე, რომ მყარ სამყაროში მახასიათებელი საერთო ყოფილიყო? უხილავი მატერიის და უხილავი ენერგიის გამოვლინებებს კოსმიურ გარემოში ფოტონებზე დაკვირვება გვიჩვენებს. „ცარიელ დაფაზე როგორ დაიწერა“ და როგორ გაჩნდა უპირველესი გამომსახველობა – მრგვალი ფორმები? რა საფუძველი შეიძლებოდა ჰქონოდა სამყაროს აგებულებას დასაწყისში? ასეთი კითხვები დღეს ერთმნიშვნელოვნად არაა ამოხსნილი.

როგორ მოხდა ან როგორ მოიაზრება ბუნებრივი წყობის გეომეტრიულ – სიმეტრიული საწყისი? [იხ. ტაბ 1. ფოტო 1] ამის მიხედვით შეიძლება „წესრიგის კანონის“ საერთო კოსმიურ გონზე ვისაუბროთ. წესრიგი ჩანს პროტონების, ნეიტრონების, ელექტრონების ან კვარკების დონეზეც კი კვანტურ ფიზიკაში.

კვანტურ მექანიკაში ბევრია აუხსნელი ფაქტი, რომლის შესახებ არაერთი კვლევაა ჩატარებული. კვლევები მომავალში უფრო საინტერესო გახდება.

უმცირესიდან გამომდინარეობს ყველაფერი, შემდეგ გადადის ატომგულების, ატომების და უჯრედების, მოლეკულების და კიდევ უფრო დიდ ფორმებზეც. უმცირესიდან წარმოიშვა დიდი და უდიდესი ფორმები, ეს აქსიომა უცვლელია. მაგრამ უმთავრესი კითხვა, საიდან ან რანაირად ხდება ამა თუ იმ თავდაპირველი გეომეტრიული ფორმის დაბადების „პროექტირება“?, კვარკები ასევე მრგვალი ფორმისაა და თითქოს გრავიტაციიდან შეიძლება აიხსნას ყოველივე, მაგრამ გრავიტაცია თუკი „არაგონიერია“, მაშინ საიდან ქმნის ისეთ ფორმებს, რომელიც მხოლოდ „ინტელექტუალურ“ აზროვნებას მიუთითებს სამყაროში? „გრავიტაცია“ კვარკების ჩახლართულობიდან

მომდინარეობს“. ასეთია დღევანდელი ასტროფიზიკოსების თუ კვანტური ფიზიკის მეცნიერთა დასკვნა, მაგრამ თვითონ კვარკების მრგვალ ფორმას რა საფუძველი ედო? ბრანების ანუ სიმების ვიბრირება იწვევს კვარკების მოძრაობას, მაგრამ საწყისი ენერგიის წყარო სად არის? ასეთ კითხვებზე ჯერჯერობით არ არსებობს ერთი აზრი.

გეომეტრიული ფორმების წარმოშობის კვლევის დროს, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ პროტონებზე და აქედან შეიძლება აიხსნას გეომეტრიული ფორმების წარმოშობაც. პროტონებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მათ შეუძლიათ ინფორმაციის გადაცემა და ჩემი აზრით, ეს ფაქტი უკვე საკმაოდ ბევრი რამის ახსნაში შეიძლება დაგვეხმაროს.

პროტონებზე დაკვირვებამ და მათთვის დამახასიათებელმა უცნაურმა თვისებებმა მიიღო სახელწოდება „კვანტური არალოკალურობა“.

შესაძლებელია, სწორედ პროტონების (და არამარტო მათი) „მეხსიერების“ საშუალებით ხდებოდეს გეომეტრიული ფორმების წარმოშობის „დაგეგმარება“. პროტონების მეხსიერების შედეგად მოხდა „დაგეგმარება“ ან სულაც სხვა განზომილებასთან გვაქვს საქმე (ავტ.).

კოსმოსი თითქოს უფრო წესრიგში მოდის და ეს ადამიანის გონებაზეც აისახება. ენტროპია წესრიგში მოდის „ნების“ მიხედვით. ენტროპია დროში მოგზაურთა მოყვარულთათვის ხელის შემშლელი ჩანს. კვანტურ სფეროში შესაძლებელია ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივ სამყაროში შეუძლებლად მიმაჩნია.

სუბატომები ყველგან მოძრაობს და მათი ფორმაც მრგვალია. კვანტური მექანიკა უცნაურია „ამის გაგებას ვინც მოინდომებს, ის მიხვდება, რომ კვანტური მექანიკა აუხსნელია“ (ნილს ბორი).

გეომეტრიული მრგვალი ფორმების წარმოშობა და მათი საწყისი არ ჩანს მხოლოდ ატომების, ატომგულების, პროტონების, ნეიტრონების, კვარკების ან სიმების დონიდან. აქ სხვა მიმართულებითაა საძიებელი და ახალი ხედვა ჭირდება. [იხ. ტაბ. 1 ფოტო 2;3]

დღევანდელ ასტროფიზიკოსთა, კვანტური ფიზიკის მეცნიერთა

საერთო ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ეს კოსმოსი ერთ-ერთია უამრავ კოსმოსთან ერთად და ამას „სუპერკოსმოსი“ მოიცავს. კოსმოსში არსებული გრავიტაცია და ენერგია სწორედ სუპერკოსმოსის ძალით იმართება. ამითი უკვე შეიძლება აიხსნას უხილავი მატერიის და უხილავი ენერგიის წყაროც. ფაქტია, რომ „წყობილი, კოსმიური მდგომარეობა ამ კოსმოსშია თუ სხვა უფრო უდიდეს გარდასკნელში (სუპერკოსმოსში), ყველაფერი ემორჩილება წესრიგს, მსვლელობას და ფორმებს. მცირე – დიდშია, დიდი – უფრო დიდში, უფრო დიდი – უფრო დიდში, უფრო უდიდესი კი – მასზე უდიდესში და ა.შ. „წყობილი“ მდგომარეობა კი კოსმიური გონით შეიძლება აიხსნას, რომლის მატერიალისტური დამტკიცება მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზეა შესაძლებელი. ყველაფერი კი ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივ კავშირშია და თანმიმდევრულია. ეს წყობილი თანამიმდევრობა კი, როგორი ათეისტიც არ უნდა იყოს მეცნიერი, რაციონალური ახსნის გარეშე წარმოუდგენელია. გეომეტრიული ფორმები კი ჩანს, რომ არა მარტო ჩვენი ხილული სამყაროს თვისებაა, იგი სხვა უხილავი განზომილებების მახასიათებლადაც მოიაზრება. რამდენადაც რთულია ჩვენი სამყაროს გარემოში მრგვალი ფორმების ახსნა, იმდენად ურთულესია სხვა განზომილებებში, რომელთა არსებობაც ჰიპოთეზის დონეზეა. ანუ „კანონზომიერება“ არსებობს და არსებობს ფორმების წარმომშობის განწყობა, რითმულობა, სიმეტრიულობა, საინტერესო გამომსახველობა.

დღეს ყველაზე დიდი ასტრონომიული ობექტი „შავი ხვრელია“. ობიექტი ყველა გალაქტიკის შუაშია და უდიდესი გრავიტაციის ძალას ავლენს. მეცნიერების აზრი სხვადასხვანაირია მისი შუაგულის შესახებ. კიდევ უფრო რთულია ამ ობიქტიდან ამოსული სხივის წარმოშობის ახსნა.. როგორც ჩანს, „შავი ხვრელის“ მიერ გამოვლენილი უდიდესი გრავიტაციის წარმოშობის წყარო სხვა განზომილებიდან მოდის. შავი ხვრელის უდიდესი ცენტრისკენული გრავიტაცია ასევე წარმოშობს ცენტრიდანულ კვაზარებს, სხივის ტალღებს. ამ სხივებს გააჩნია ის მასალა, რაც ვარსკვლავებს სჭირდებათ. იქმნება შთაბე-

ჭდილება, რომ შავ ხვრელში მოხვედრილი ვარსკვლავები ერთგვარად გადამუშავდება და კვაზარების სხივების სახით გამოდის. კვაზარების სხივების სიგრძე რამდენიმე ათიათასობით მილიარდი კმ.-ია კოსმოსში. არსებობს მეორე აზრი მეცნიერებს შორის, რომ შავი ხვრელის მეორე მხარე თეთრი ხვრელია და მეტაკოსმოსში გადის (ქართული ბროლის ცა, მეცხრე ცა). სწორედ მეტაკოსმოსიდან, თეთრი ხვრელიდან შემოდის კვაზარების სხივების მასალა. შავი ხვრელიდან ამოსული სხივი კოსმოსში წარმოშობს ახალ ვარსკვლავებს. კოსმიურ მტვერში გრავიტაციით იბადებიან ახალი ვარსკვლავები და მათთან ერთად თანამგზავრი ახალი პლანეტები (უცხო მიწა). ყველაფერი მრგვალი ფორმებით სრულდება. გრავიტაციის ძალა შემკრებია, რაც დაკავშირებულია, ხილული სამყაროს გარეთ არსებულ მნიშვნელოვან ფორმასთან, ზეკოსმიურ უდიდეს გრავიტაციასთან. კოსმოსის გარემოში ყვლაზე დიდი გეომეტრიული ფორმის ექვსკუთხედი პლანეტა სატურნის „ქუდია“. „ქუდის“ ზომა დაახლოებით 25000 კმ.-ია. ამ ფორმის წარმოშობა ბოლომდე არაა ამოხსნილი. გაზებისა და აირების გარემოში ქმნის საოცარ გეომეტრიულ ფორმას. ექვსკუთხედი დედამიწაზეც ბუნებაში ჩვეულებრივი ფორმაა. ბუნების საკუთარი „წყობა“ და ამ თანაზომიერების პრინციპი „ცოცხალია“. კოსმიური ბუნების ანალოგია დედამიწაზედაც შაბლონის მიხედვით ვრცელდება. ჩემი აზრით, გრავიტაციული თანაბარზომიერი ტალღების მატერიალიზებური ლამაზი გამოვლინებები სამყაროს წარმოშობის თანადროულია. სიმეტრიულობა თავისთავად დადებით განწყობას ქმნის. ამას არა მარტო ბუნება „მოიმოქმედებს“. ასეთი „გემოვნებისაა“ ფლორა-ფაუნის ბევრი წარმომადგენელი.

იაპონიის ახლოს ოკეანის წყლებში არსებობს ერთი პატარა საოცარი თევზი, [იხ. ტაბ 1, ფოტო 4] რომელიც თავისი „ქორწილის“ პერიოდში ქვიშაზე აკეთებს გეომეტრიულ „ნახაზს“ მდედრის მოსაზიდად. ლამაზი ნამუშევარი რამდენიმე კვირა„ ცოცხლობს“ და მერე ქრება წყლის მოძრაობის გამო. ამ პატარა თევზის გემოვნებაში გეომეტრიული ფიგურის შექმნა „ჩადებულია“ თავიდანვე, მისი„ სწავლება“ წარმოუდგენელია. გეომეტრიული ფორმის შექმნაში

კოსმიური ზეგავლენა იგრძნობა და ეს „მეხსიერება“ არც წაიშლება არასდროს. ამ თევზისა და ნახაზის უცნაური ისტორია საზოგადოებისთვის იოჯი იოკატას მიერ გადაღებული ფოტოებითა და ვიდეოთი გახდა ცნობილი.

გეომეტრიული ფორმების საერთო თვისებების თანაზომიერება (სიმეტრიულობა) შესამჩნევია. შუაგული ყველგან მნიშვნელოვანია. გარსი სხვადასხვანაირია, მაგრამ ყველგან ჩანს რითმულობის „სიცოცხლე“ ანუ მშრალი სიმეტრია არსად არაა. ეს კი მიუთითებს, რომ გეომეტრიული ფორმები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანის მიმსგავსებული პატარა ფორმებია. დედამიწაზე არსებული გეომეტრიული ფორმები იმეორებს კოსმიურ ფორმებს, ხოლო კოსმიური ფორმები იმეორებს მასზე უფრო უდიდესის ფორმებს და ა.შ. ადამიანის გონება ალბათ ჯერ ვერც მისწვდება ყველა კოსმიურ ფორმათა სიდიდის აღქმას, რადგან ფორმათა სიდიდე მეტაკოსმიურ მოცულობათა სიდიდეებთან ერთად იზრდება. გეომეტრიული ფორმების რითმულობა, გამეორადობა შეუძლებელია სხვა მასზე უდიდესი ზეგავლენის გარეშე. შეუძლებელია, უდიდეს გავლენას თავისი „კანონები“ არ ჰქონდეს და ყველაფერი ეს კი „ნების“ მყოფელობას ადასტურებს. რა სიღრმისეული კვლევითაც არ უნდა დაკავდეს მეცნიერება, მაინც კოსმიური გონის აღიარებამდე მიდის.

გეომეტრიული ფორმების უმთავრესი ხაზი პლასტიკურია და ცოცხალია. თოვლის ფანტელის და კრისტალის მრავალფეროვნება, თითქოს მუდმივად მოძრავია, „სუნთქავს“ და მარადმყოფელია თავისი მოქნილობით. გეომეტრიული ფორმების „პროექტი“ ეძებს ახალ ფორმას და საიდან იღებს სათავეს გრავიტაციის უხილავი ძალა, მოქნილობა და პლასტიკა? ჩემი აზრით, საკითხი ადვილად ამოსახსნელი სულაც არაა. ამდენი გეომეტრიული გამომსახველობა არის უდიდესი ენერგიის გავლენით მიღებული შედეგი. ამ განზომილების სამყაროს ფორმები სხვა განზომილების გამოძახილია. კოსმიური გრავიტაციის ენერგიის ძალა დაუშრეტელი ჩანს, ჩვენი სამყაროს მიმართ კი სულ სხვა სიტუაციაა მოსალოდნელი. კოსმიური გაფართოება და „აღვსე-

ბადობა“ (ავტ.) არ შეიძლება უსასრულო იყოს, რადგან განახლება ყველაფერში ხდება და კოსმოსშიც ანუ სამყაროშიც, ასევე მოსალოდნელია. თუკი გეომეტრიული ფორმები მიკროსამყაროშიც ჩანს, საფიქრებელია, რომ სუპერკოსმიურ განლაგებაშიც მეორდებოდეს. ჩვენს ხილულ სამყაროში გეომეტრიული ფორმები გადმოღებულია ან გადმოსულია უფრო უდიდესი კოსმიური მდგომარეობიდან. სამყარო შეიძლება რამდენჯერმეც დაიბადოს და გარდაიცვალოს კიდეც, მაგრამ კოსმიური „გონის“ მეხსიერება მუდმივია, ჩემი აზრით ამის მტკიცებულება დედამიწისეული გეომეტრიული დახვეწილი ფორმებია. ასეთი ფორმების „შემუშავება“ შემთხვევითი ან 14 მილიარდი წლის ნამდვილად ვერ იქნება – დროში გაცილებით უფრო უდიდესი „მეხსიერების“ გავლენა იგრძნობა. ასეთი დახვეწილი ფორმების შემთხვევითობის პრინციპი 100 მილიარდ წელიწადშიც კი ვერ შემუშავდებოდა. კოსმიური მეხსიერების „საცავი“, „დაცულობა“ ს. ჰოკინგის აზრით, შავი ხვრელის გარშემო „სუპერტრანსფორმირებულ“ გარემოშიც შეიძლება იყოს.

კითხვა სწორად უნდა დაისვას.

რატომ არის გეომეტრიული ფორმები და რა საჭიროებას წარმოადგენს?.

გეომეტრიული ფორმები რომ არ იყოს, ამხელა ოპტიმიზმი ვერ იქნებოდა დედამიწაზე (ავტ). ადამიანთა გემოვნებაში, ფლორაში, ფაუნაში ყველგან ჩანს, რომ გეომეტრიული ფორმები: რითმულობა, სიმეტრიულობა, მთავარი სიცოცხლის გასაგრძელებლად (ავტ). აქაც ადამიანს კოსმიური მისია აკისრია სამომავლოდ „კოსმიური ადამიანის“ შემუშავებაში. მაშინ თანაბარზომიერება (გეომეტრიულ – სიმეტრიული ფორმები) მთავარია და მდგრადი მოცემულობა ჩანს.

კოსმოგონიური და კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების წარმოშობა

სიმბოლო-ნიშნებისა და არქეოლოგიური არტეფაქტების მხატვრული გაფორმების შესახებ ბევრი ნაშრომია შექმნილი.

საერთოდ, სიმბოლო-ნიშნები ჩანს ჯერ კიდევ პალეოლითის დროინდელ გამოსახულებებზე (20 მილიონ. წლიდან ძვ.წ. აღ. მე-10 ათასწლეულამდე). [1] მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კოსმოლოგიურ ნიშნებს. ისინი მეზოლითურ და მოგვიანო პერიოდის არ ტეფაქტებზე უფრო შესამჩნევია.

ქართულ ეთნოკულტურაში კოსმოგონიურ-კოსმოლოგიურ სიმბოლო-ნიშნებს „ღვთაებრივი“ ეწოდებოდა და ისევე, როგორც მსოფლიოს ხალხთა კულტურაში, საღვთო მსახურებაშია ჩართული. ამ სიმბოლო-ნიშნების გეომეტრიული, სიმეტრიული გამოსახვა ზოგადი ხასიათისაა.

საკრალურობასა და სარიტუალო წარმოდგენებზე დაფუძნებულ ასეთ სიმბოლო-ნიშნებს უკავშირდება: ჯვრები, წრეები, წერტილები, სფეროები, ელიფსები, რადიალურად გასხივებული წრეები, ბორჯღალოების ტიპები, სპირალები (ხვეულა), მბრუნავი ჯვრები და სხვა. [იხ. ტაბ 2. ფოტო 1,].

ასეთ გამოსახულებებზე და მათ სისტემურ ჯგუფებზე კვლევები უფრო XIX საუკუნიდან, უფრო ზუსტად კი მე – XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. პროფესიულ ან მოყვარულ დონეზე კვლევები და ნაშრომები სხვადასხვა ენაზეა გამოცემული. საკითხით დაინტერესებულნი არიან თითქოსდა, ერთმანეთისგან განსხვავებული პროფესიის ადამიანები: ეთნოგრაფები, პალეოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, სიმბოლოების მკვლევარები და სხვა. კვლევები მოიცავს კავკასიას, შუამდინარეთს, ინდოეთს, ეგვიპტეს, აფრიკას, ხმელთა შუაზღვისპირეთს, ევროპას, ამერიკას, აზიას და ა.შ. საქართველოში აღმოჩენილია პალეოლითის დროინდელი (მღვიმევი) სიმბოლოები ანუ პეტროგლიფები [1].

კვლევები ძირითადად, მიმდინარეობდა ადგილობრივი ეთნოსის წარმომადგენლებში.

მიწათმოქმედების კულტურა, ძველი ასტრონომიული ცოდნა (არქეოასტრონომია).

მიწათმოქმედმა ადამიანმა ზეცას მიაპყრო თვალი და დაიწყო სიმბოლო-ნიშნების გამოსახვა. ზოგი მეცნიერი ამას ფანტაზიის ნაყოფად თვლიდა, ზოგი კი ფარგლისა და სახაზავის გამოგონებას უკავშირებდა ასეთ სიმბოლოებს. ასეთი გამოსახვა კი ფარგლის და სახაზავის გამოგონებამდე არსებობდა.

კოსმოგონიური (დედამიწის შესახებ) და კოსმოლოგიური (ზეციური) სიმბოლო-ნიშნების გამოსახვასთან ერთად საინტერესოა ასტრალური სიმბოლოების გამოსახვაც, რომლითაც სხვა „განზომილების“ და სხვა სამყაროს ასახვას ცდილობდნენ. ესა თუ ის ნიშანი ადრე გარკვეულ შინაარსს შეიცავდა, შემდეგ კი მხოლოდ დეკორის სახით შემორჩა. სიმბოლო ნიშნები დაედო საფუძვლად დამწერლობის წარმოშობასაც. პარალელური არსებობაც ბევრგან ფიქსირდება – ორნამენტები და დამწერლობის ნიშან-სიმბოლოთა ერთობლიობა ბევრგან დამცველ (აპოტროფიულ) ფუნქციას ითავსებს და ავეჯზე, იარაღ-საჭურველზე, ტალავარზე, დედაბოძებზე იკავებს მთავარ ადგილს. შუამდინარეთის და ეგვიპტის უძველესმა სიმბოლოებმა შემდეგ პიქტოგრაფიული სახით იჩინა თავი სხვა კულტურის ხალხთა ყოფაში.

სიმბოლოების ფუნქცია ძველი საბერძნეთის საღვთო მსახურებაშიც ცნობილი იყო. ჯერ კიდევ პლუტარქეს დროს ღვთაების საკულტო სამსახურში მყოფი ქურუმები სიმბოლოებს იყენებდნენ და ზოგი მათგანი ტრანსში ყოფნისას წინასწარმეტყველებდა. ასე ხდებოდა მაიას უძველეს კულტურაშიც, ინდოეთში და შუამდინარეთში. შუმერულ ტექსტებში, რომელიც შესრულებულია თიხის ფირფიტებზე, ბარელიეფებზე ხშირად კოსმოლოგიური სიმბოლოებიც ჩანს.

ეს სიმბოლოები უამრავია და მათი სისტემური მახასიათებლები ადგილობრივი ხალხის სტილიზებულ გემოვნებასაა მორგებული. მაგ.

ზღვისპირეთის ხალხთა სიმბოლოები ზღვაოსნობის სიმბოლოებთან შენივთებული თავისებური კოსმოლოგიური ნიშნებია, ხოლო ზეგანის ადგილებში მცხოვრებთა მიწათმოქმედების აღმნიშვნელი სიმბოლოები „ზეციურ“ ნიშნებთან მორგებულია. თანადროულია იმ ეპოქისა და იმ პერიოდის ხალხთა წარმოდგენებთან.

ემპირიული ცოდნით მოღწეული უძველესი სიმბოლო ნიშნები უფრო ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა. არქეოლოგიურად საქართველოში აღმოჩენილია ბორჯომის ხეობის ბრინჯაოს ჭვირული მედალიონები (ძვ.წ. მე-2 ათასწლ.) [2]. ამ მედალიონებს აშკარად ეტყობა, რომ ჩვეულებრივი სიმბოლოები და ჩვეულებრივი სამკაულები არაა და სპეციალური სარიტუალო სიმბოლოებია, რომელნიც რიტუალის დროს გამოიყენებოდა. [2] ამ დროს წინარე ინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე ხალხთა კულტურა და მათ შორის, ეთნოკულტურა საინტერესო ფაქტებს ინახავს და მრავალმხრივად საკვლევი თემაა. მითოლოგიაში, თეოგონიაში შემონახული კოსმოლოგიური გამოსახვა ან გადმოცემა საყურადღებოა დღევანდელი ასტრონომიული აღმოჩენების ფონზე. კოსმოლოგიურ გამოსახულებებს და დღევანდელ აღმოჩენებს შორის უამრავი მსგავსებაა. შემთხვევითობა ნაკლებად სავარაუდოა. ამ მხრივ კვლევის წარმართვა ურთულესია, ამიტომაცაა საინტერესო. პროფესიულ დონეზე ასეთი კვლევის წარმოება ბევრ სირთულეს შეიცავს. რატომ ჰგავს უძველეს ხალხთა კულტურის სიმბოლო-ნიშნები, ცოდნა და დღვანდელი ასტრონომიული აღმოჩენები ერთმანეთს? ეს პრინციპული საკითხია, აქ რაიმე ფანტაზიორობა და მეზღაპრეობა უნდა გამოირიცხოს. რა ლოგიკური ახსნა შეიძლება მოეძებნოს და რასთან გვაქვს საერთოდ საქმე?!

ხალხური გამოსახვით ბორჯღალო თითქოს „მზის“ სიმბოლოა, მაგრამ ერთ ობიექტზე რამდენიმენაირი ბორჯღალოს გამოსახვა და თან სახელწოდებაც მზეს არ უკავშირდება. გამოთქმულია აზრიც, რომ სახელწოდება „მზე“ ადრე სხვა უცნობ ობიექტებს ეწოდებოდა და შემდეგ, მოგვიანებით, მნათობს დაერქვა სახელად. ქართულში გვაქვს „ჩემმა მზემ“, შენმა მზემ“ რაც მრავალი მზის შესახებ წარმოდგენას თუ ცოდნას ასახავს (კოსმიური გონის ერთ-ერთი

გამოვლინება, რასაც ძველთაგანვე ხედავდა ხალხი და მფარველ „მზეებს“ უწოდებდა).

დღევანდელი ასტრონომიული მონაცემებით კოსმოსში უამრავი ბორჯღალოს მსგავსი გალაქტიკა თუ მეტაგალაქტიკა ფიქსირდება. მრგვალი და სპირალური მოძრაობის გალაქტიკები, შავი ხვრელები, ნეიტრონული ვარსკვლევები, პლანეტსახის ნისლეულები, სხვა და სხვა ეგზოპლანეტები და ა.შ.. ფიქსირდება კოსმოსის უცნაური ადგილებიც, სადაც კვლევა დღემდე მიდის და ფიზიკის კანონების მიხედვითაც ვერ ხსნიან.

ძველ საქართველოში ასტრონომიული ცოდნა და ცაზე დაკვირვება იცოდნენ (მზის ბუდეები), რასაც წერდა და იკვლევდა ცნობილი ეთნოგრაფი სარა ბედუკაძე [3].

ერთი ვერსიით, ხალხური გადმოცემები, ასტრალურ კოსმოგონიურ – კოსმოლოგიურ სიმბოლოებსა და საღვთო მსახურების წესებს „ღვთიშვილთა“ სწავლებას მიაწერს და მათი გამოსახვაც „საღვთო საქმედ“ იყო მიჩნეული. ხვავის, ბარაქის და მოძრაობის მუდმივობის სიმბოლო სხვადასხვანაირი იყო და ამით ბორჯღალოს უნივერსალურობა ენიჭებოდა. მისი მხატვრული ხასიათი დღემდე აქტიურად გამოიყენება ქართულ და ბასკურ კულტურაში. საინტერესოა უძველესი შუმერული მითოლოგოსების შინაარსიც, სადაც „ანუნაქები“ იხსენიება და მათ ცოდნას უკავშირდება ბევრი რამ, მათ შორის, კოსმოლოგიური ნიშნების გაჩენაც. ანალოგიურადაა მაიას კულტურის სიმბოლოებში, სადაც ყველაფერი „საღვთო მსახურების“ დროიდან მომდინარეობს. ასეთი ახსნა დღვანდელი სამეცნიერო დონეზე ვერაფრით იქნება ბოლომდე სწორი, რადგან ზოგი კოსმოლოგიური სიმბოლო გვიანდელი შუასაუკუნების დროისაა. ერთგვარი „წინასწარმეტყველური“ სიმბოლოები ბევრგან ჩანს და ამა თუ იმ ნიშნის მიწერა, „დაღუპული ცივილიზაციისთვის“ (დავუშვათ, ატლანტების ცივილიზაცია), გულუბრყვილო იქნება და სრულ სურათს ვერ ასახავს. საკითხს უფრო ღრმად და დაკვირვებით უნდა კვლევა და ანალიზი. სწორი გზის მიცემა სწორი კვლევისთვის, უმთავრესია. კოსმოლოგიური სიმბოლოების ფენომენი რაღაც სხვა ფენომენია მსოფლიოს

ხალხთა გამომსახველობით კულტურაში. მეტწილად, სიმბოლოების თავდაპირველი შინაარსი დაკარგულია, მაგრამ ხალხმა ზეპირად მაინც შემოინახა. სხვადასხვა საკულტო ობიექტებზე კოსმიური მოდელის თავისებურ ხელწერასთან გვაქვს საქმე სხვადასხვა ხალხთა ყოფაში. ბევრგან სტილიზებულია გამოსახვა, მაგ. შერწყმულია საყოფაცხოვრებო გარემოსთან (სამსართულიანი ბანიანი ძველი სახლები).

გამოსახვა და წერა ქართულ ენაში კიდევ მისტიური ფუნქციის არსებობასაც მიანიშნებს, მაგ. სიტყვა „ბედისწერა". ძველ ებრაულში, მითებში, აპოკრიფებში, ზოჰარის წიგნში, საღვთო ჩანაწერებში დახაზვა, საღვთო მსახურებასთან იხსენიება: „ღმერთმა დახაზა სიმბოლოები, დახედა და შექმნა სამყარო" (პროექტირება) [4]. ყველა კოსმოლოგიური სიმბოლო მოძრაობის ამსახველია: ცენტრისკენული, ცენტრიდანული, სპირალური (ხვეულა), ტალღური, ტრიალა, გვირგვინული, „გადასვლა" და სხვა. მათი ძირითადი სემანტიკურობა რიტუალის წარმოშობის დროინდელია. ერთადერთი „წრე" „ცის" სიმბოლოდ ენობრივ მონაცემებში შემოგვრჩა: „ცა გარშემოუწერელი არაა, გარშემოუწერელი მხოლოდ ღმერთია" (ს. საბა). ქართული სამყაროს მითიური მოდელია „სკნელი", რომელიც დღევანდელი ასტრონომიული აღმოჩენების ფონზე საინტერესო საკვლევია. დედამიწაზე არსებობს ასევე გეოგლიფები, რომლებიც მხოლოდ ზემოდან დასანახია და უძველეს დროსაა შესრულებული. ამ სიმბოლოების ერთი ჯგუფის ფუნქცია იყო „საუბარი ზეცასთან". ასეთი ნიშნების უმეტესობაც ასტრალურ-კოსმოლოგიურია.

1989 წელს პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი, იგივე „ფარული ნიშნების" მოკვლევის დროს შევხვდი ერთ ასეთ ფაქტს: პირაქეთ ხევსურეთში, ლიქოკის ხეობაში, წინაქრისტიანული სტილის ჯვარ-სალოცავში (კარატის ჯვარი) აღმოჩნდა ძველი სახურავის ნაშთი. ალუმინის დიდი ფურცელი, რომელზეც მონუმენტურად ამოჭედილი სიმბოლები ვნახეთ: ჯვრები, ტირეები, წერტილები. ზომით 2 – 1 მეტრის გამოსახულებები მხოლოდ ზემოდან დასანახად იყო გაკეთებული. მომლოცველთაგან ვერავინ დაინახავდა სახურავის სიმბოლოებს. ოს-

ტატმა ტრადიციულად ამოკვეთა სიმბოლოები, ნაკეთობა 1920-იან წლებშია შესრულებული.

„საუბარი ზეცასთან“ – ასეთი სიმბოლოები სხვაგანაც შემხვედრია და ვფიქრობ, უძველესი საღვთო მსახურების ერთ-ერთი გამოვლინებაა. კოსმოგონიურ-კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნები ერთგვარი საურთიერთო საშუალება იყო და თუ რასთან, ან ვისთან იყო ურთიერთობა, ამაზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო.

ცნობილი მეცნიერი ა. ჰაინი მიიჩნევდა, რომ გეომეტრიული სიმბოლოები თავისთავად წარმოადგენს ხილული სამყაროდან აღებული მოდელის სტილიზაციას. [5]. ასეთი აზრი მეტ-ნაკლებად სხვა მეცნიერებსაც აქვთ გამოთქმული და დღევანდელი გადასახედიდან სიმბოლოების წარმოშობის, მათი გენეზისის კვლევისას ახალი ვერსიები ჩნდება. ყოველი მეცნიერი სიმბოლოების კვლევის დროს წარმომავლობის საკითხს არქეოლოგიური ადგილის მიხედვით და მხოლოდ რეგიონის სხვა ნიშნებთან კონტექსტში იკვლევდა. თითქმის ყველგან აპოტროფიულ ფუნქციად ჩანდა „ზეციური“ სიმბოლოები. ხშირად დეკორთან და პიქტოგრამებთან ერთად პარალელურადაც ფუნქციონირებდა. ჩემი აზრით, კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების წარმოშობის ახსნა იმგვარ მნიშვნელოვან ფუნდამენტურ საკითხს ეხება, როგორიც სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობაა.

ვერსია, თითქოს, სიცოცხლე დედამიწაზე თავისით ჩაისახა და შემთხვევით დაემთხვა ყველაფერი ერთმანეთს, მოძველდა და მნიშვნელობა დაკარგა. დღეს ახალი აზრი წარმოიშვა. სიცოცხლის წარ მოშობის კოსმიური ვარიანტი დღეს აქტუალურია. **„პანსტერმია“,** ანუ სიცოცხლე წარმოიშვა კოსმოსიდან ჩამოვარდნილი მეტეორიტების ნაწილში ორგანული, ბაქტეოროლოგიური უჯრედებისგან. დედამიწაზე ჩამოვარდნილი მეტეორიტების ნაწილში იპოვეს ორგანული ნაშთისა და ბაქტერიების კვალი.

გამოდის, თუკი სიცოცხლის წარმოშობა კოსმიური მოვლენაა, მაშინ ადამიანის გონების განვითარების მომცემი „კოდიც“ ასევე კოსმიური სამყაროდანაა ჩადებული და დღემდე ვითარდება.

ჩემი აზრით, ადამიანის გონების განვითარება „უსაზღვროა“ და მხოლოდ ხილულ სამყაროში სამოღვაწეოდ არ არის გათვლილი. ამიტომაც, მხოლოდ ამ სამყაროთი ვერ შემოიფარგლება. (საფარველის დადება და ახდა).

დედამიწაზე კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების წარმოშობა, სიცოცხლის წარმოშობა, ენებში დაცულ კოსმოლოგიური დასახელების შინაარსთანაც კავშირში ჩანს სპირალურ, მბრუნავ, წრიულ რიტუალებთან და გარკვეულ წესებთან, ანუ სიმბოლო-ნიშნები შემთხვევითი არ არის – ეს ემპირიული ცოდნით დღემდე მოღწეული ნიშნებია.

ფოლკლორში და მითოლოგიაში მრავლადაა ასტრალურკოსმოლოგიური ხასიათის გადმოცემა. ზღაპრებშიც კი, სადაც „სკნელზეა“ საუბარი, ადამიანის „ბავშვობის ხანის“ გონება „საწყისიდან“ უნდა ყოფილიყო შეგუებული ისეთ ფაქტს, სადაც „გადასვლა“ ან „გადმოსვლა“ სხვა სამყაროში და განზომილებებში ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა. ზღაპრები ფსიქოლოგიურად ასწავლიდა „გზებს“ მომავალ კაცობრიობას. სხვადასხვა ხალხებში ასეთი ზღაპრები ეროვნული ნისნებით შემორჩენილა, მაგრამ ქართულ ტრადიციულ მითებში უფრო მონუმენტურ და საინტერესო ცენებს ვხვდებით.

დღეს, როცა ასტროფიზიკაში, ასტრონომიაში და კვანტურ ფიზიკაში იმდენად გაცნობიერდა ადამიანი, რომ ახალი აზრი დაიბადა და გაჩნდა კითხვები კოსმოლოგიური სიმბოლოების წაროშობის, ადამიანის გონებრივი განვითარების შესაძლებლობის შესახებ და სხვა. საიდან მოვიდა გალაქტიკების ფორმის მსგავსი ბორჯღალოები? საიდან მოვიდა ატომგულის გარშემო და (კოსმოსში ანალოგიური მოძრაობის) ნეიტრონების მოძრაობის ელიფსური წრეების მსგავსი გამოსახულებები? საიდან მოვიდა (შავი ხვრელის) გრავიტაციული მოვლენის, „გადასვლის“ მსგავსი ნახაზის სიმბოლოს გამომსახველობა ძველ დროს? საიდან მოვიდა ადამიანის დნმ-ის მსგავსი ძველი სქემის გამოსახულება საღვთო კულტურის ძეგლების გამოსახულებაზე და სხვა მრავალი.

კოსმოლოგიური სიმბოლოები სიღრმისეულად საკვლევი თემაა და საკმაოდ პრინციპული მიდგომაა საჭირო. ზემოთ აღნიშნულ „ღვთიშვილებთან“ დაკავშირებული გადმოცემა და მათ მიერ ნასწავლი კოსმიური ცოდნა და ამ პრინციპით საღვთო მსახურებაში ჩართულობა ერთგვარი დადებითი ენერგიის „მოსახმობად“ ჩანს, მაგრამ არის ერთი მომენტიც, რაზეც მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო. ადამიანის გონება ასეთ საგანზე ფიქრის დროს უფრო აქტიურია საკუთარი როლის მიმართ და ზეპირად არ იმეორებს ტრადიციებს, ანუ რაღაცით იგი თანამონაწილე ხდება. არის კიდევ სხვა აზრიც, რომელიც ზოგიერთ მკვლევართა შრომებში იჩინა თავი და ამაზე ერთგვარი, თეორიებიც“ კი წარმოიშვა, ე.წ. „სხვა ცივილიზაციათა“ ფაქტების შესახებ (ზ. ზიჩინი). თითქოს ყველაფერი სხვა პლანეტიდან მოსულებმა (პალეოკონტაქტი) ასწავლეს კაცობრიობას და გონებრივი განვითარებაც მათი ჩარევით მოხდა. აფრიკაში ცხოვრობს ეთნოსი დოგონები, რომელთა კოსმოსის ცოდნა ბევრი მკვლევარის საგანი იყო და არის დღემდე. მათი ინფორმაცია სირიუსის ვარსკვლავის შესახებ ბოლომდე ამოუხსნელია. დოგონებისთვის ეს ცოდნაც ასევე, საღვთო მსახურებასთან ერთად მოიაზრება. გულუბრყვილობად ჩანს კოსმიური ცოდნის მომდინარეობა აიხსნას მხოლოდ ოდესღაც არსებული გამქრალი ცივილიზაციების შედეგად, ან დაღუპული, ასევე უძველესი კუნძულოვანი კულტურის, „მუს“ არსებობითა და სხვა. კოსმიური ცოდნის გარკვეული ნაშთები ჩანს სხვადასხვა კულტურის ხალხთა ყოფაში: ინდოეთი, ჩინეთი, სკანდინავია, კავკასია და ა.შ. საკითხი მოითხოვს პროფესიულ დონეზე კვლევას და ანალიზსს. მიკროსამყარო და მაკროსამყარო ერთმანეთს ჰგვანან და ეს შემთხვევითი არაა. ფაქტია, მთელ დედამიწაზე ფლორაში თუ ფაუნაში, რაც კი გეომერტიული ფორმები და ფერებია, კოსმიური ფორმებიდან და ფერებიდან არის აღებული. ფიქსირდება უჯრედოვანი, ბუტკოვანი, გვირგვინისებრი, სპირალური, ელიფსური, წრიული და სხვა შაბლონის ფაქტი. ასევე, გეომეტრიული სიმბოლოებიც ვარსკვლავთა ჯგუფებისა თუ სხვა უდიდესი ობიექტების კოსმოლოგიურ ფორმებს

იმეორებს. მხატვარი ხატავს ტილოზე საგნებს და იგი იმეორებს იმ ფორმებს, რასაც ხედავს გარემოში და რაც მის გონებაშია აღბეჭდილი. ასეთია ადამიანზე, სამყაროზე დაკვირვება და დედამიწაზე სიცოცხლის ფორმების ანუ ბუნების გეომეტრიული ფორმების მიმართ დაკვირვება ანალოგიურ აზრს წარმოშობს. კოსმოგონიურ – კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნები ადამიანთა გონებაში მხოლოდ საკუთარი გემოვნებით ან შემთხვევით არ მოვიდოდა. ადამიანის გონება ერთგვარი, „გამტარია“ კოსმიურ გონთან მიმართებაში.

რას ნიშნავს ეს?

ამას ადრეც აღნიშნავდნენ (ნ. ბორი, ს. ჰოკინგი). ამ დროს შეიძლება კოსმოლოგიური სიმბოლოების წარმომავლობა ავხსნათ. ადამიანის გონება ავითარებს ტექნოლოგიებს და სამყაროს უშორეს, უმცირეს ფორმებს და ნაწილაკებს აღწერს და ამით საბოლოო „საზღვარი“ ცოდნის გამდიდრებისა ჯერ არ ჩანს, ეს საოცრება არ მთავრდება, თითქმის უსასრულოა როგორც მიკროსამყაროს მიმართ, ასევე მაკროსამყაროსთან მიმართებაში. ადამიანის გონება ახლა იწყებს იმის გაგებას, რომ „ოთახში“ სადაც გაიზარდა, არსებობს სხვა „ოთახები“ და სხვა „სახლები“, სხვა „სახლებშიც“ შეუძლია გადავიდეს და გააგრძელოს ფიზიკურად სიცოცხლე. სამყარო იმდენად უსაზღვროა, რომ ადამიანმა დაინახა უშორესი ობიექტები, წარმოიშვა ახალი თეორიებიც ანუ იგი გადადის სხვა განზომილებებშიც: შავი ხვრელი, გრავიტაციული სოროები, უხილავი მატერია, ტყუპების თეორია, სხვა განზომილებების თეორია და ა.შ. ადამიანისთვის ბოლომდე აუხსნელია კოსმიური გრავიტაციის წარმოშობა და წყარო. ცნობილი ფიზიკოსი ჯულიანა სონერა თავის ჰიპოთეზაში ამბობს: მიზიდულობა (გრავიტაცია) უკუჩვენებაა იმ ეფექტის, რომლსაც კვანტური ჩახლართულობის კვარკები ანუ ნაწილაკებს შორის წარმოქმნილი ჩახლართულობა იწვევს. ეს მდგომარეობა წარმოშობს გრავიტაციას და გეომეტრიული ფორმებისკენ (მრგვალი) განწყობას. მიზიდულობის ძალით ხდება გეომეტრიული მრგვალი ფორმების ჩამოყალიბებაც. საინტერესოა უმცირეს კვარკებს ვინღა აიძულებს გეომეტრიულად მრგვალი ფორმისა დარჩეს?! რაც კი რაიმე უმცირესი ნაწილაკია:

ელექტრონები, კვარკები ყველა მრგვალი, შეკრული, ფორმითაა მოცემული. –„კოსმოსი“, ჩარლზ შაგანი.

ზოგიერთი მეცნიერის თეორიაში გრავიტაციის წყარო ამ სამყაროში არაა, იგი პარალელური უდიდესი განზომილებიდან მოდის და შავი ხვრელებიც სწორედ ამის დასტურია. უხილავ მატერიას, სადაც გამოკვართულია მთელი ჩვენი კოსმოსი, აქვს უწვრილესი „გასასვლელები“ (კვარკები, ელექტრონები და სხვა) და აქვს უმსხვილესი გასასვლელები – შავი ხვრელები. სწორედ ამ გზით ხდება სამყაროს გრავიტაციული ველის შენარჩუნება და თავად სამყაროს გარემოშიც ვარსკვლავები და პლანეტები პარალელური განზომილების გავლენით მოძრაობენ.

რას ამბობს თანამედროვე კვლევა ე.წ. „კვანტური ჩახლართულობის“ შესახებ: „კვანტურად ჩახლართული ნაწილაკების უცნაურობა ის არის, რომ როგორც კი ჩახლართული წყვილიდან ერთ-ერთი ნაწილაკის რაიმე თვისებას გავზომავთ, მეორე დაწყვილებული ნაწილაკი გამოვლენილი თვისების საწინააღმდეგო მდგომარეობას დაუყოვნებლივ მიიღებს, თუნდაც ის მილიონობით სინათლის წლით იყოს დაშორებული.“

ამას აინშტაინი უწოდებდა „საშიშ დისტანციურ ქმედებას“/დისტანციაზე/დისტანციურად/ მოქმედი საშინელება, თუ ერთ ნაწილაკზე ჩახლართულ წყვილში რაიმეს გავზომავთ, მაშინვე აღმოვაჩენთ ამ რაიმეს მეორე ნაწილაკზე, თუნდაც ისინი მილიონობით სინათლის წლით იყვნენ დაშორებულნი. ეს უცნაური კავშირი ორ ნაწილაკს შორის არის მყისიერი, როგორც ჩანს, სამყაროს ფუნდამენტურ კანონს არღვევს. ალბერტ აინშტაინმა ამ ფენომენს ცნობადად უწოდა „საშინელი მოქმედება დისტანციაზე“. „დისტანციურად მოქმედი საშინელება“ უდიდესი ვარსკვლავის აფეთქებით ხდება ახალი „გასასვლელის“ (შავი ხვრელის) წარმოქმნაც ანუ უხილავი მატერიის უჯრედის „გახსნა“.

თემა კვანტური ფიზიკის საკვლევია და ასტროფიზიკოსთა კომპეტენციაა. მეცნიერული თეორია, ადამიანის შესაძლებლობის მაღალი

ინტელექტის გამოვლინებაა და ისტორიულ გამოცდილებას იშველიებს. ის საფეხური, რასაც დღეს მეცნიერული მიღწევა გვთავაზობს, ჯერ კიდევ დასაწყისია და ფიზიკის სფეროში აღმოჩენები ჯერ კიდევ წინაა.

ჩემი აზრით, ისტორიულ წარსულში, ადამიანთა ყოფაში, კოსმოლოგიური სიმბოლოების წარმოშობის ერთგვარი ვერსია ისევ ადამიანის გონების შესაძლებლობის „საზღვრების“ გააზრებაზე მოდის. თუკი ადამიანის გონება ძველ დროს, რაღაცით „განჭვრეტდა“ და „შეიმეცნებდა“ კოსმიურ მოვლენებს (ან ფორმებს), მაშინ ძველი კოსმოლოგიური სიმბოლების „გამომგონებლობა“ შემთხვევითი არ ჩანს. დღეს რაც შეუარაღებელი თვალით უხილავია, სახილველი გახდა ხაბლის სახელობის ტელესკოპის საშუალებით (2000 წელს გავიდა ორბიტაზე), დღეს შეიძლება დავინახოთ კოსმოსის ფორმები: გალაქტიკები, მეტაგალაქტიკები, შავი ხვრელების გრავიტაცია, პლანეტსახის ნისლეულები, ვარსკვლავები, პლანეტები, მეტეორი ტები და სხვა.

ძველ დროში კოსმიური სიმბოლოების ცოდნა და ამ ცოდნის წარ მოშობა დღეს შეიძლება აიხსნას ერთი ჰიპოთეზით და კვლევით, რაც პროტონებზე დაკვირვებამ აჩვენა. საინტერესოა, რომ კვანტურ ფიზიკაში პროტონებზე დაკვირვებამ აჩვენა: პროტონები „იგებენ“ ზემოქმედებას და დაკვირვებასაც კი აღიქვამენ. მათ შეუძლიათ ინფორმაციის გადაცემა სივრცეში და დროშიც [6]. იმის ახსნა, თუ როგორ შეუძლიათ, ეს ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. ამ მოვლენას უწოდეს „კვანტური არალოკალურობა“. კვანტურ ფიზიკაში ბევრი ისეთი მოვლენაა, რომელთა მეშვეობითაც ჯერ კიდევ სამომავლოდ ახალი „კარის“ გახსნას უნდა ველოდოთ. მარტო პროტონებზე და ფოტონებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მთელი სამყარო ე.წ. „უხილავი მატერიით“ და „უხილავი ენერგიით“ ერთგვარი „გონის“ მდგომარეობაშია და „გონიერი“ ნაწილაკებით სავსეა კოსმოსი. სამყაროს 80 პროცენტი უკავია უხილავ სუბსტანციას და მხოლოდ 20 პროცენტია გალაქტიკები, ვარსკვლავები, პლანეტები, მეტეორიტები. კოს-

მიური „გონის“ მდგომარეობა მატერიალიზებური ფორმით, თითქმის ყველა ადგილას გამოვლინდება: კოსმოსში, ატმოსფეროში, ოკეანეში, მცენარეებში, ცხოველებში და რაღა თქმა უნდა, ადამიანებში. ჩემი აზრით, კოსმიური გონი არა მარტო ჩვენს სამყაროში, სხვა განზომილებებშიც იქნება. ლოგიკური ჩანს, რადგან თუკი არსებობს კოსმიური „გონის“ სხვადასხვა განზომილებათა მდგომარეობა, მაშინ არსებობს „ზეკოსმიური მარადიული გონიც“ (თეოლოგები ღმერთს უწოდებენ, ხოლო ალ. აინშტაინი „მუდმივმყოფელს“). ადამიანის გონებაც, ჩვენი სამყაროს კოსმიური გონის მიკროუჯრედია და კონტროლდება კიდეც. გამოდის, რომ კოსმიური „გონი“ ერთგვარი ინფორმაციის გადაცემის რეჟიმში მუშაობს და გამორჩეული ადამიანის გონებაზეც ინფორმაციულად მოქმედებს ანუ „მიღების რეჟიმში“ ამუშავებს. ჩემი აზრით, ქართული სიტყვა „მეცნიერი“ სწორედ „ცასთან“ და „ზეცასთან“ სწავლულსაც მიანიშნებდა ძველად. უძველეს შუმერულ მითოლოგოსებში ერთი უცნაური ფაქტი ფიქსირდება.მათ ქურუმებს არ ჰყავდათ მასწავლებლები, ადიოდნენ მთებზე, მარხულობდნენ, ლოცულობდნენ და მერე ჩამოდიოდნენ გარკვეული ცოდნით (მე – საიდუმლო, მარადიული დვრიტას შემეცნება). ინტუიციური თვითგანსწავლა ჩვეული მოვლენა იყო ძველად. ასეთი განსწავლა ცნობილია ტიბეტშიც, სადაც ინტუიციური განათლების სპეციალური დროა მოცემული. ცნობილია ქრისტიანი წმიდა ბერების განდეგილი ცხოვრება და ინტუიციური თვითგანსწავლაც. ასევე დოგონების საღვთო მსახურთა „ხაგონთა“ თვითაღზრდა და თვითსწავლება ჩვეულებრივი ამბავია. თვითგანსწავლა სწორედ კოსმიურ უმცირეს „გრძნობისმიერ“ ნაწილაკებთან სწორად ურთიერთობით ხდებოდა, ჩემი აზრით. ამისთვის ადამიანთა გარკვეული კატეგორია არსებობდა და ასეთ მდგომარეობაში მყოფები იგებდნენ კოსმოსის შესახებ ზოგიერთ მოვლენებს ან ფორმებსაც. „შიგნითკენ“ მიმართული ადამიანის გონების შესაძლელობა აღწერდა უდიდეს განზომილებებს. შემდეგ ხალხში იხვეწებოდა და მკვიდრდებოდა, როგორც „ღვთაებრივი“ სიმბოლოები. ჩანს, არა მარტო ჩვენი კოსმოსის შესა-

ხებ იგებდნენ, სხვა „ცათა შინა“ ანუ ასტრალური სხვა განზომილებების შესახებაც „ცალკე“ შეუცნობლად „ცნობდნენ“.

ჰიპოთეზები კოსმიური „გონის“ შესახებ აქვთ თანამედროვე კვანტური ფიზიკის მკვლევარებს და თანდათან მყარდება აზრი, რომ ყველაფერი ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია [7]. კვანტური ფიზიკის მკველართა თეორიით ელემენტარული ნაწილაკების დამორჩილება შეიძლება აზრების კონცენტრაციით. იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად იმისა თუ განვითარების რა საფეხურზე იყო ძველი ადამიანი, ტექნიკურად ბევრ რაიმეს ინტუიციურად ხვდებოდა, აზრობრივად სამყაროს სწავლობდა და შეიმეცნებდა. იმ დროს სიტყვიერად და მხატვრულად რაიმე მოცემულობის შექმნა საღვთო გამოვლენად აღიქმებოდა. ე.წ. „განდობილთა“, „ქადაგთა“ ინსტიტუტის არსებობა ძველად, საღვთო მსახურებად იგივდებოდა და დღემდეც ასე ითვლება. გამორიცხული არაა, რომ ძველ საქართველოშიც არსებობდნენ ქურუმთა ჯგუფები, რომელთაც ინტუიციური, სწორად თვითგანსწავლა შეეძლოთ და კოსმიურ „გონთან“ ურთიერთობდნენ. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგაც ეს სწავლება რაღაც დონით გაგრძელდა და ჩემი აზრით, დავით აღმაშენებლის დროს შექმნილი გელათის აკადემიაში, ასტრონომიის შესწავლასა და კოსმიური დადებითი ენერგიის „მოპოვებაზეც“ მუშაობდნენ. წმიდა ბერების მიერ შენახული ქართული ცოდნა გადმოცემით მოდიოდა და ქრისტიანულ კულტურას შეერწყა. ასტრალურ კოსმოგონიურ-კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების მდიდარი სისტემური კვალი ჩანს პიქტოგრაფიულ ხაზოვან ნიშნებშიც. ასევე ჩანს დახვეწილი ასომთავრული ასოების შექმნაშიც. ამრიგად, გეომეტრიული სიმბოლო-ნიშნების წარმოშობა მეცნიერულ დონეზე შესაძლებელია ავხსნათ კვანტური ფიზიკის კვლევებისა და ადამიანის გონების შესაძლებლობის (ზღვარის) საშუალებით, რომელიც ძველ დროს განსაკუთრებულ ადამიანთა ჯგუფების ინტუიციურ თვითგანათლებას შეიძლება მივაწეროთ. უმთავრესია, რომ კოსმოლოგიური სიმბოლოების გამოსახვა მხოლოდ დეკორის ან აპოტროფიულ საშუალებად არ შემოიფარგლებოდა. მთელი რიგი რიტ-

უალები და ენაში შემორჩენილი კოსმოლოგიური სახელწოდებების მდიდარი მონაცემები ამის თქმის საშუალებას გვაძლევს. ჩამოთვლილი ზოგიერთი სახელწოდება, რომელიც დღეს ადამიანთა, საგანთა ან მოვლენათა სახელებად შემორჩენილა და თავი მთავარი ძირი „ცასთან“, სხვათა ცასთან (მეტოცა, ცალკე), კოსმოსის მოვლენებთან, შავ ხვრელებთან და მიღმიერ სხვა მდგომარეობის სუბსტანციებსაც კი აღწერს. ასევე უხილავი მატერიის ცოდნა (არაფერი, ყველაფერი, უფერი) და ამ ცოდნით რაიმე ენერგიის გამოხმობაზეც კი იცოდნენ „არაის ძალის ტანება“. ქართული სიტყვებია: ღვთისკარი და ცისკარი, ცადკარი (ბევრი), ცა (ქუდის ზედა ნაწილი), მარაგიანი ცა, ორჯელ ცაგამობრუნვილი, სამჯერ ცაგამობრუნვილი (უდიდესი სიკვდილის გადარჩენა), ცისკართგახმნა (უცხო ნათება), ცისკართგაღმა, ცარვალი, ცის გიდელი, ცის კიდელი, ცის ტატანი, ცალრქა, ცისკარუზა, ცაკუნობა (ხტუნვა), ცალბარიტი, ბრუციალი, ცალია, ცალკე, ცამცუმი, საცალო, ცის ქვეთი, ცაცია (მემარცხენე), ცალფა, ცარაფი, ცათ დახურვა (დიდი სიკვდილი), ცარიელი, მცავი, ცანცარი, ცაში შახდომა (შექება ქმნა), ციბრუტი (ტრიალი), გავაცილე (სტუმარი), გაცამცმული (სავსე თასი), ბნელის პირი, საბნელო, ბოდოშალნი, მასკვლავ ჩამადის (გლოვა), მასკვლავბრუტი (ნეიტრონული ვარსკვლავი), მერუყე მასკვლავი (მოხეტიალე ვარსკვლავი), მასკვლავსაბუდარა, მასკვლავკუდედი, მცხრალი, სამალი, სიგირგალი, ნალი, ბორგალი, ბორჯღალი, გირგველი, გვირგვინი, გირკალი, გიდელი, ბორბალა, ბორიალი, ობობა, ბობ ბოწიალი, ფართქნალი, ბოძალი, ბღრუჭიალი, ბრუტიალი, ორომტრიალი, მირგვლივმავალი (მოუსვენარი), პრიალი, სკვნა. გვაქვს ცასთან დაკავშირებული ან რაღაც სამსახურის დანაშთი გვარებიც: **ცისკარიძე, ცისკარაული, ცალანი, ცანავა, ცაგურია, ცაავა** და სხვა. ცის მდგომარეობის აღმწერი სიტყვებია: სკნელი (სკვნილი, განას კვული, გამოსკვნილი), ქვესკნელი, ზესკნელი, წინსკნელი, უკანას კნელი, გარესკნელი, გარდასკნელი, უსკნელი (მიუწდომელი). (იხ. ინგლისური „სქაი – ცა), უკუნითი უკუნისამდე (მარადისობა), 9 ცის სახელწოდებები, ტარაბუა

(გაუთავებლად ტრიალი), ტრიამული, (მინდორი), ტუალი, უჟამო ჟამი, წამის ყოფა (წამის დანაყოფები კი კოსმიური აღწერაა), წატიალა, (წა ინგუშურად „ცა“), წავა, წაეწია, დაეწაფა, სწრაფა, წამოვიდა და სხვა. ცანგალა, მეტოცა, ცადა, ცალბითა, ცაგანი, იქაცა, აქაცა, ამოცანა, გამოცანა, ცაკვალა, დაცალა, ქაცაბუნა, ატაცა, ცაბაურა, ცროლნი, ზეცრიელნი, ქვეცრიელნი, კაცრიელნი, საცავი, სალოცავი, ცალკე, სცადა, ნაცარი, ბეცა, ტკოცა. მოცადი (ინტერესიანი) და სხვა არის სხვა განზომილების მსგავსი ამსახველი ინფორმაციის სახელების ნაშთებიც: წინაშე, ზედაშე, ქვეშე, შეგონებული, შუაში, შიგითით, შიგანი, ცათაშუ, საშუალნი, ცათასჩი, წყობანი, საწყობნი, (თავის ქალაზე ძვლები), შემეცნებული, შევიდა, შეეცადა, იქაური, სხვაგნიური, უცნობი, ნაცადნი, და სხვა.

ჩემი აზრით, ასეთი სახელწოდებები „ცათა მზომელობის“ ლექსიკონიდან შემორჩა, მაგ. კოსმოსის საწყისის წინარე პერიოდის ერთგვარ აღწერად ჩანს „დაქუცმაცებული“ (და ნაწევრებული, ჯერ აუწყობელი მდგომარეობის აღმწერი მოვლენა), ასევეა, პირიქით, გავსებულის ანუ „გაცამცმული“ (სავსე თასი) სიტყვა, რომელიც ბოლომდე შევსებულის მდგომარეობას აღწერს და ეს „ცას“ უკავშირდება.

არის კოსმიური უხილავი მატერიის და უხილავი ენერგიის ცოდ ნის კვალიც: არაფერი, ყველაფერი, არაცანი, არაისყოფა, არაისძალი, არამცთუ, უცადი, საუფროო (ცუდის მყოფი), ცარიელნი (სუპერვოიდ), უხილავი, მახილვა, სახილველი (სანატრელო) და სხვა. აღმოჩენილია უხილავი პროტონების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ მატერიაში მოძრაობაც, „ნიტრინები“. ეს უკანასკნელი კი მოიაზრება სწორედ უხილავი მატერიის ერთ-ერთ ნაწილაკად. უხილავი მატერია „არაფერი“ სწორედ შუქს ატარებს და არ რეაგირებს, ანუ ფერი არ აქვს.

ენაში გვაქვს, კოსმიური ადგილის შავი ხვრელის და „დიდი ატრაქტორი“-ს აღწერის ნაშთებიც: „საბნელოს შეჯდომა „ქვესკნელში ჩავარდნა, „ნათელ ბნელი“, შუკუნი (თახჩა ქვის კედელში), ორომტრიალი, შენახული, დამარხული და სხვა. ასეთი აღწერები ზეცაში ანუ კოსმოსში მოიაზრებოდა.

არის ზესკნელის საპირისპირო ანუ გასასვლელის სახელწოდებები: ასასვლელი, ზემყრელო (ქორბეღელა), ზენითი, ზევითა, ზეთუკა, საზეო, ზეცათანი, ზეცისკარი და სხვა.

ქართული „ცის მზომელობის“ ლექსიკიდან ჩანს კოსმიურ სხვა ცათა ამსახველი მსგავსი აღნიშვნა სიტყვებში: ცალკე, ცალკეული, ცალკ-ცალკე, სულთოხანი ანუ ორიონის თანავარსკვლავედი და ა.შ.

ენაში გვაქვს, „უცხო მიწა“, რაც დღევანდელ აღმოჩენებით ჰგავს ეგზოპლანეტების შესახებ ცოდნას.

ენაში გვაქვს დაპირისპირების შესახებ კოსმოლოგიური სიტყვა – „ცილობა, საცილობელი.“

ენაში არის ძალიან მცირე კვანტური დონის, ნაწილაკების აღმნიშვნელი სახელწოდებებიც: ნამცეცა, უმცირესი, ციდა და ა.შ.

არის სამყაროს სინგულარობიდან და სასრულის ამსახველი შინაარსის მსგავსი გამოთქმები: გაჩენა, ცათ ჩამოხურვა (ყველაფრის სიკვდილი), უკუნითი უკუნისამდე და ა.შ.

საინტერესოა სხვა ენებთანაც ცასთან, სკნელთან და ზეცასთან დაკავშირებული სახელები და ამ სიტყვათა კავშირი ქართულ ენასთანა: სკაი – ცის ბოძი (ბასკური), ნება – ცა (რუსული). „ცნება“ ქართული „ცის მზომელობის ლექსიკონი“), წა – ცა (ინგუშური), ზე რუა – ცა (ბასკური), ზერურა – ზეცა (ბასკური), არასო – უცნაური (ბასკური) და სხვა.

ბოლოს, რაც უმთავრესია, ქართულში არის, კოსმიური უდიდესი გონის (ღმერთის) სამყოფელის ადგილის სიმბოლური სახელებიც: კამალა, ბროლის ცა „(მეცხრე ცა), ბროლისკალო, ნათლის ნათელი (მეტაკოსმოსი, თეთრი, ყოველი ფერის მომცველი), საღიანი, დაუსაბამო (მთელი, მთლიანად) და სხვა.

P.S. როგორც ვხედავთ, ქართულ ენაში არის რაღაც ზეციურ, იგივე კოსმოლოგიურ სახელწოდებათა ან ცოდნათა მთელ სისტემათა ნაშთები და ამ ფაქტს, – ისე, როგორც სიმბოლოებს, – უფრო ღრმად კვლევა და სისტემატიზაცია სჭირდება. ქართულ ენაში და ქართველურ ენებში, ასევე იბერიულ — კავკასიურ ენებში უმდიდრესი ინ-

ფორმაცია დევს ეთნოასტრონომიის კუთხით და თუკი იქნება იმის შესაძლებლობა, რომ ენებში „არქეოლოგიური“ კვლევები (ჰ. შუხარდტის გამოთქმა ენების კვლევის დროს.) წარიმართოს და ამ გზით მოხდეს ურთიერთშედარება, საინტერესო ფაქტები წარმოჩნდება (ცათა მზომელობის ლექსიკონი).

არსებობს კიდევ სხვა აზრიც, რომ დღევანდელ წინაინდოევროპულ ენებში სხვა ანუ პრეისტორიული ცი ვილიზაციის ცოდნის ნაშთებია შემონახული. ამის დამადასტურებელი ფაქტებია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი გაურკვეველი კულტურის (პრეისტორიული), რამდენიმე მილიონი წლის არტეფაქტები (ამერიკა, ევროპა, ციმბირი, ინდოეთი, აფრიკა).

პრეისტორიული არქეოლოგიური ნივთების შესახებ ჯერჯერობით, მეცნიერება დუმს და ამოხსნა ურთულესია. მსოფლიოს ენები ინახავს უძველეს ცოდნის ნაშთებს და მათ შორის ქართული ენაც, თავისი მონუმენტური თვისებით ყურადღებას იქცევს. გამომსახველობაც ანალოგიურია კოსმიურ ფორმებთან. [იხ. ტაბ. 2 ფოტო 2. 3].

წიგნში დართულია სპეც. თავი – ქართული ეთნოასტრონომია და თანამედროვე ასტრონომიული აღმოჩენები. ეთნოგრაფიაში გამომსახველობა შინაარსსაც რომ შეიცავდა, ფაქტია და დღეს მხოლოდ დეკორად შემორჩენილა. [იხ. ტაბ 2. ფოტი 4]. ქართული ენის და ეთნოგრაფიული მონაცემების კოსმოლოგიური სიმბოლოების ახლებური და შესაფერისი დაფასება აუცილებელია მოხდეს მსოფლიოს სხვადასხვა ენებთან მიმართებით.

ეთნოგრაფი, ხელოვნებათმცოდნე გიორგი გიგაური

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. კლდიაშვილი, მ. იზორია. ხელოვნების ისტორია მოზარდებისთვის, გვ. 5 „საქართველო“ უძველესიდან გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანამდე.
2. ი. ღამბაშიძე სამცხე ძვ.წ. 11 ათასწ. შუა ხანებში (ბორჯომის ხეობის არ-ქეოლოგიური მასალების მიხედვით) სადისერტ. ნაშრომი თბ. 1999 გვ. 26. 34
3. ს. ბედუკაძე დროის განსაზღვრის ხალხური სისტემა და მისი ანარეკლი ვეფხისტყაოსანში. 1968
4. Х. Фарбридге Иследования в библейские и семитских симболизма. 1960 გვ.24
5. R. A. Hein mai oder. K renze hackrenkenze und arinotlin ische wirbelorad-nente in Amerika wien 1891. 35.
6, Бронштейн М. П. Атомы и электроны. — М.: Наука. — 1980. — 152 с
7. Перина Я. Квантовая статистика линейных и нелинейных оптических явлений. — М.: Мир, 1987. — 368 с
8. „Hyperspace: A Scientific Odyssey Through Parallel Universes, Time Warps, and the Tenth Dimension“

Author: Michio Kaku

Publisher: Oxford University Press (1994)

კოსმიური გონი და ზოგიერთი პიქტოგრაფიული ნიშნის შინაარსი

პალეოგრაფიაში ყველაზე ძველია პეტროგლიფური გამოსახულებები ქვებზე ან კერამიკულ ნაშთებზე, სადაც არაერთი ნიშანია საინტერესო კოსმოლოგიურ თემაზე მუშაობისას.

ჩვენამდე მოღწეული პიქტოგრამები, ზოგი რამდენიმე მილიონი წლისაა, ზოგი კი – გვიანდელი. პეტროგლიფური კოსმოლოგიური სიმბოლოები თუ ნიშნები თავისებურებებით გამოირჩევა. საქმე ეხება ფიგურებს ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ და მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა გადმოცემებსა თუ ფაქტებს.

გამოსახულებები ყველაზე მრავალმხრივად უძველეს შუმერულ და აქადურ პიქტოგრაფიულ სიმბოლურ იეროგლიფურ არტეფაქტებში ჩანს. სხვადასხვა სახელწოდება იმ ეპოქის დამახასიათებელი თავისებურებებით ფიქსირდება. ამ წერილში არ შევუდგები იმ ამოუცნობ მფრინავ ობიექტთა სხვადასხვა დასახელებათა აღწერას, რაც სხვადასხვა ერში არსებობდა.

ინდურ ჩანაწერებში პირდაპირაა აღწერილი თუ როგორ შეიძლებოდა აეწყოთ „ვიმანები“. ეგვიპტურ იეროგლიფებში საღვთო წარმოდგენებს უკავშირდებოდა და სხვადასხვა სახელწოდებებით ახასიათებდნენ.

ტიბეტში და ჩინეთში ძველთაგანვე იცოდნენ ასეთი მფრინავი ობიექტების შესახებ, რაც სხვადასხვა გამოსახულებებშიც ფიქსირდება. ამერიკის კონტინენტზეც, მაიას კულტურაში ჩანს ასეთი „ფრინველის“ გამოსახულება ქვაზე დატანილი, რომელიც საღვთო წარმოდგენებს უკავშირდებოდა.

ევროპის ტერიტორიაზეც ბევრგან ცნობილია უძველესი პეტროგლიფები ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ. ძველი ხალხი ხედავდა ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს და მათ მიმართ გარკვეული პოზიტიური სახელწოდებები და წარმოდგენებიც ჰქონდა. ზოგან სამკუთხა სიმბოლოს პირდაპირ „უფლის თვალი“ უწოდეს, მაგ. ახლო

აღმოსავლეთის ან ხმელთაშუა ზღვისპირეთის ძველი ხალხის წარმოდგენაში. გამოსახულება იმდენად მყარად იყო ფესვგადგმული, რომ ქრისტიანულ კულტურაშიც კი გადმოვიდა და მაცხოვრის გამოსახულებებთან ჩანს (სამკუთხედის ფიგურა). ასევე საყურადღებოა კავკასიურ ვაინახურ გადმოცემებში არსებული მითოლოგიური არსი. „ანკი“, უდიდესი ფრინველი, რომელიც მოვიდა დედამიწაზე და გაჩნდა სიცოცხლე.

ქართული მითოლოგიაც ზღაპრულ ფერებშია გადასული და „ფასკუნჯის“ სახელწოდებით შემორჩენილი, რომელიც „ქვესკნელშიც“ ჩადის იქ ჩავარდნილი ადამიანის ამოსაყვანად. მითოლოგია შელამაზებული ისტორიაა.

ამოუცნობი ობიექტი „თვალი“ [იხ. ტაბ 3, ფოტო. 1].

კიდევ უფრო საინტერესოა, ეთნოგრაფიული წარმოდგენები, სადაც უფრო გასაკრალურებულია ასეთი ფაქტები და პირდაპირ საღვთო წარმოდგენებს უკავშირდება. ეთნოგრაფიული წარმოშობის სახელწოდებები უფრო საღვთო სახელწოდებებთან ასოცირდება: „ან გელოზთა ბურთაობა“, „მობურთვალნი“, „გუშაგნი“ და სხვა.

მთაში, სადაც ადამიანები ხედავდნენ ასეთ ფაქტებს, მათზე დაკვირვება, ფოტოს გადაღება და მსჯელობაც არ იყო მიღებული. საკითხის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების და ადამიანთა გამო, ასეთი ფაქტების შესახებ მსჯელობაც კი აკრძალული იყო და დღემდე ასეა. ზოგს თავის სუბიექტური მდგომარეობით აქვს ახსნილი და მათზე ხშირად ფსიქოლოგიური გავლენაც ხდებოდა. შუასაუკუნებშიც ასევე შემორჩა გადმოცემები და ჩანაწერები. ბევრგან მცდარი დაკვირვებებით შემორჩა, სამწუხაროდ. ვისაც არასდროს უნახავს და ვერც შეუმჩნევია რაიმე ასეთი ფაქტი, მათთვის ძნელია იმის წარმოდგენა თუ რა ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს ეხება საუბარი. სხვადასხვა რელიგიათა წყაროებში – ქრისტიანული იქნება, ისლამური, იუდაიზმი თუ ბუდიზმი, – ამ ფაქტების სხვადასხვაგვარი დახასიათება არსებობს და სამწუხაროდ, უფრო მეტად უარყოფითი.

სამეცნიერო წრეებში კი ან დუმილით პასუხობენ ან ფანტაზიის

წარმოშობის საფუძველია (მ. ზიჩინი), იქნება ეს მხატვრული ნაწარმოები თუ ფილმი.

ფილმებში კი „უცხოპლანეტელთა“ თემა გამოჩნდა (პალეოკონტაქტი) და ფანტაზიას საზღვარი აღარ აქვს. ჩემი აზრით, მიუღებელია ასეთი მიდგომა და საერთოდ, ასეთ თემასთან არასერიოზული დამოკიდებულება მიუღებელია. ამაზე რატომღაც მცდარი წარმოდგენებია შექმნილი. ცივი ომის პერიოდში ეს თემა უფრო საინტერესო სფეროში გადავიდა და ამერიკელები და საბჭოთა დაზვერვა რატომღაც ერთმანეთს აბრალებდა.

აღმოჩნდა, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები არამარტო ჰაერში, არამედ სხვაგანაც ჩნდებოდნენ და ახლაც ჩნდებიან. კოსმოსში, ჰაერში, ოკეანეებში და გამოქვაბულებში. ანუ ასეთი გამოვლინება თითქოს ჩვეული ამბავი ჩანდა და ადამიანებისთვის ამოუცნობი. ამერიკელმა და საბჭოთა წყალქვეშა გემების კაპიტნებმა სახელწოდებებიც მოუფიქრეს „კვაკვარები“, „ფანტომები“ და სხვა. წყალქვეშა ნავებთან ჩნდებოდნენ რაიმე განსაცდელის წინ ან შემდეგ. წყალში გამოჩენილი მანათობელი ამოუცნობი ობიექტები ზოგჯერ წყლიდანაც ამოდიოდნენ და კოსმოსში უჩინარდებოდნენ. მათი გადაადგილების სისწრაფეც წარმოუდგენლად აღემატებოდა თანამედროვე ტექნიკის შესაძლებლობას. ირანელი, რეაქტიული თვითმფრინავის მფრინავი, რომელიც 2003 წ. უდაბნოში გამოუდგა ასეთ ობიექტს ვერაფრით დაეწია და პირიქით, მის მანევრებზე ფანტასტიკურ ამბებს ჰყვებოდა. სამხედრო რეაქტიული თვითმფრინავის რაკეტის სასროლი აპარატიც გაითიშა. იყო ალიასკის მოვლენები და სხვა.

ასტრონომების მიერ აღწერილი ასეთივე შემთხვევა და ვიდეოც არსებობს, სადაც ამოუცნობი მფრინავი ობიექტი მანევრირებს კოსმოსში და მის გზაზე მეტეორის შეხვედრისას, მკვეთრად, 90 გრადუსით უხვევს. ხშირად შეუსაბამო სახელები დაერქვა ასეთ ფაქტებს: „მფრინავი თეფში“, „უცხოპლანეტელნი“, „ბუგრები“ და სხვა. მომავალშიც იქნება მსგავსი მოვლენები და საჭიროა ასეთ თემაზე სწო-

რი წარმოდგენის შემუშავება და შეძლებისდაგვარად, სწორი კვლევის დაწყება.

ყველაფერი ადამიანებზე ახდენს გავლენას და თუ რამდენად სწორად აღიქვამს ამას, ისეთივე „გამოწვევას“ იღებს (ბრაზილიის შემთხვევა) და ამიტომ სჯობს სწორი დასკვნების გაკეთება. ხშირად კითხულობენ: „ჩვენთან რატომ არ გამოდიან კონტაქტზე“? (ნებართვა არ აქვთ). სჯობს ფაქტებზე სიღრმისეული დაკვირვება მოხდეს. ვინ უნდა გამოვიდეს კონტაქტზე? ან შეიძლება „გამოდიან“ კონტაქტზეც, მაგრამ ვერ ვიგებთ, ან როგორ გაიგებს ადამიანი ისეთ გამოვლინებას, რომელსაც რაღაც ისეთი ფორმა აქვს მიღებული, რომ შეიძლება ადამიანმა სწორად ვერ აღიქვას... მცირე გულუბრყვილო წარმოდგენა სამყაროზე და კოსმოსზე ადრიდანვე იყო, მაგრამ ახლა, ტექნიკური ცივილიზაციის ეპოქაში უფრო გაიზარდა. ასეთი წარმოდგენა არასწორია და ადამიანთა საზიანოც, ჩემი აზრით. არანაირ „კონტაქტზე“ არ გამოვლენ ასეთ მდგომარეობაში და ადვილად ასახსნელიც არ იქნება.

სამყარო იმდენად ურთულესი და იმდენად სიღრმისეულია, რომ ადამიანებს ამის შეცნობაც კი გვიჭირს, სამწუხაროდ. უხილავი მატერია რაც დღევანდელმა ასტროფიზიკოსებმა დააფიქსირეს ძლიერი ტელესკოპებით და ფიზიკური კვლევებით, ამოუწურავი თემაა და მომავალში კიდევ ბევრი საინტერესო რამე გაიხსნება. კოსმიურ ანუ ზეციურ მოვლენებს უკავშირდება. ასეთია ამოუცნობი მფრინავი ობიექტების არსებობაც.

ამ კონტექსტში, არ შეიძლება არ აღვნიშო თეოლოგიაში სხვადასხვა აზრი ამ საკითხის შესახებ. სარწმუნოებრივ ტერმინებში შეფარულად შენახულია კოსმიური გონის ერთ-ერთი თავისებური სახელწოდება. ეს კარგად ჩანს ქრისტიანობაში და სხვა და სხვა კონფესიებში: „სული წმიდა“, „ღვთის გუშაგნი“ და სხვა.

ჩემი აზრით, „სული წმიდა“ სულ არსებობდა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობამდე და ახლაც და შემდეგაც იარსებებს.

მაცხოვრის მოსვლის შემდეგ კი უფრო დიდი ძალით გადმოვიდა „სული წმინდა“. „რაც ახლოს იყო, მაგრამ შორს იყო ჩვენგან, მაცხო-

ვრის შემდეგ შორეული ახლოს მოვიდა ჩვენთან“ (გ. ფერაძე). ასეთი აზრი რამდენიმე მკვლევარს აქვს გამოთქმული.

კოსმიური გონის თავისებური სახელწოდება არსებობს სხვადასხვა რწმენაში: იუდაიზმში, ბუდიზმში და ისლამშიც. სამეცნიერო კვლევებში უფოლოგია ეწოდება ასეთ კვლევას, რომელიც ამოუცნობი ობიექტების შესახებ აგროვებს ინფორმაციას, მაგრამ სიღრმისეული ძიება შეზღუდულია. საკითხი ეხება ისეთ მნიშვნელოვან გამოვლინებას თვალხილულად, რომლისადმიც ზუსტი სახელწოდების მინიჭება რთულია.

რას ამბობს გენიალური მეცნიერი ალ. აინშტაინი ღმერთზე ან კოსმიურ უდიდეს მდგომარეობაზე? ის მიიჩნევდა, რომ არსებობს „მარადმყოფელი“, იგივე „მუდმივმყოფელი“, მაგრამ პერსონიფიცირებას გამორიცხავდა. აქ ახალი კითხვა ჩნდება, თუკი მუდმივმყოფელი ანუ ღმერთი არსებობს და განაგებს, მაშინ რატომ არ შეიძლება მომხდარიყო რაიმე სახით გამოვლინება? ადამიანთა ისტორიაში ძველ ჩანაწერებში ჩანს მითოლოგოსებში ნახევარღმერთისებური პერსონები, რომლებიც ადამიანებისთვის რაღაც სიკეთეს აკეთებენ, მაგ. შუმერული „გილგამეში“, რომელმაც დაიჭირა და ქვესკნელში – ხაროში ჩააგდო ბოროტი „ხუბაბა“ – ანუ ხორცქმნილი ღვთაებრივის მოსვლის შემთხვევა უშორეს წარსულშიც ჩანს და ახალ აღქმას ემიანება. სამეცნიერო ხაზით ბევრი მკვლევარის ნაწერებშია აღნიშნული, რომ ქრისტეს მოსვლა ზებუნებრივი ძალით მოხდა. დაბადების დროს ჩნდება ვარსკვლავი ცაზე (შესაძლებელია მთლად ჩვეულებრივი ვარსკვლავიც არ იყო). გარდაცვალების მერე აკლდამის თავზეც ჩნდება ასევე ვარსკვლავი და ხდება აღდგომა.

საინტერესოა რას ამბობს იოსებ ფლავიუსი. როდესაც ქრისტე დაასვენეს აკლდამაში, „რაბინებმა დაგვავალეს, რომ ცხედარი არავის მოეპარა და ამისთვის ყურადღება მიგვექცია ღამე. ღამე დარაჯობდნენ. დარაჯები იდგნენ დაახლოებით 30 მეტრის მოშორებით. აკლდამიდან შუაღამით, როცა ცაზე ზუსტად აკლდამის თავზე ზემოთ გაჩნდა ვარსკვლავი, უცებ ჩამოეშვა ძლიერი შუქი აკლდამაზე. შუქი რამდენიმე წამს იყო და იმდენად ძლიერი ძალით, რომ „შუქმა

ჩვენ დაგვაბრმავა და გონს გვიან მოვეგეთ. როცა ციდან დაშვებული შუქი გაქრა, მივედით აკლდამის კართან და ღია დაგვხვდა. შიგნით აღარ იყო ცხედარი და მხოლოდ სუდარა იყო დახვეული ცარიელი ქვის ზედაპირზე". დარაჯები წამოვიდნენ და უამბეს რაბინებს. მათ კი არც დაგვიჯერეს მომხდარი."

ზებუნებრივი ძალით გამოვლენილი მატერიალური შემთხვევები ზოგჯერ ჩნდება ადამიანთა ცხოვრებაში. უფრო ხშირად დადებითი ემოციით. შესაძლებელია ადამიანთა გონის განვითარება ასეთი მოვლენების ძალითაც ხდებოდა და ხდება დღემდე, რომლის ბოლომდე ახსნა ურთულესია.

სადაც სიკეთეა და დადებითი ენერგიაა, იქვე უარყოფითიც უნდა არსებობდეს, ლოგიკურია.

არსებობს კოსმოსში ასეთი ადგილი?

შავი ხვრელები თითქოს ვარსკვლავებს ჭამენ და უარყოფითი კუთხით ჩანს ასტროფიზიკოსების თვალთახედვიდან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შავი ხვრელები ასევე ბადებენ ვარსკვლავებს და იქიდან გამოსული შუქის „კვაზარების" ძალით ახალი ვარსკვლავების დაბადება ხდება. კოსმოსში უამრავი დამანგრეველი ვარსკვლავიც არსებობს, მაგ. ნეიტრონული ვარსკვლავი, უდიდესი გრავიტაციის მქონე ვარსკვლავი. ნეიტრონული ვარსკვლავები დღეს კოსმოსში სხვა გალაქტიკების ან ვარსკვლავების ადგილმდებარეობის განსასაზღვრად გამოიყენება და პულსირებადი შუქი სასარგებლო ჩანს.

არსებობს მოხეტიალე „შავი ხვრელებიც" (ქვესკნელი, უკუნი, შუკუნი (თახჩა ქვის კედელში), საბნელო და სხვა). აღმოჩენილია კოსმოსის მართლა უარყოფითი ადგილიც და ჩემი აზრით, ასეთია „სუპერვოიდი" ქართულად „ცარიელი" ზუსტად შეესაბამება ზეცის ერთ-ერთ „უცნაურ" ტერიტორიას. კოსმოსში არსებობს ადგილი, სადაც თითქმის არაფერია. [1]. არანაირი გალაქტიკები ან ვარსკვლავები ან რაიმე პლანეტარული ნისლეული.

როგორ წარმოიქმნა ასეთი ადგილი?.

აუხსნელია, თუმცა აქ ჩნდება „ელვახმალი", რომელიც თავის გზა-

ზე რაც შეხვდება, ყველაფერს „კეცავს“– რაც კი შეხვდება ობიექტს აქრობს ანუ „დაკეცავს“.

სწორედ ეს მოვლენა არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ სუპერვოიდში არ არსებობს რაიმე მყარი მატერია. თეორიტიკოს ფიზიკოსებისგან გამოთქმულია აზრი, რომ კოსმოსში ჩნება ერთგვარი ბზარები, რომელიც ყველაფერს „ნთქავს“ ანუ „კეცავს“ და არის ერთგვარი უარყოფითი მოვლენა, რომლისგან არანაირი სასარგებლო არ ხდება. სუპერვოიდის ანუ ქართულად „ცარიელი“ ადგილის შესწავლა კოსმოსში დღემდე მიმდინარეობს და მომავალში ახალი კვლევები წარმოჩინდება.

თანამედროვე უძლიერესი ტელესკოპების საშუალებით შესაძლებელია რამდენიმე მილიარდი სინათლის წლით დაშორებული ობიექტების კვლევა. დღეს საინტერესოა „დიდი ანტრაქტირის“ თემაც, რომელსაც თეორიტიკოსი მეცნიერები იკვლევენ. აღმოჩენილია, რომ მთელი კოსმოსი მოძრაობს, „მიცურავს“ სხვა კოსმოსებთან ერთად და ერთიანდებიან სხვა დიდ ნაკადში, სადაც უფრო მეტი კოსმოსია. ბოლოს კი კოსმოსის შენაკადები მიემართებიან „დიდ ანტრაქტირში“. იქ რა ხდება ამოუხსნელია. უხილავი მატერია ყველაფერს მოიცავს და ამ სუბსტანციის კვლევაც ურთულესია. ყველაფერს ამათ კი კოსმიური გონი განაგებს, რომლის შესახებ აშკარად საუბრობენ ასტროფიზიკოსები. კოსმიური გონის დადებითი ენერგია და პოზიტიური ხასიათი კოსმოსის აგებულების და მოვლენების დროს შესამჩნევია. მთელი კოსმოსის „განწყობა“, დაბადება – სიცოცხლე – გარდაცვალება – დაბადება... ასეთი მიმდინარეობაა და ეს ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ქართული სიტყვა „ცვლა“ „ცვალება“.

ჩემი აზრით, „გარდაცვალება“ ცის მზომელობის ლექსიკიდან უნდა იყოს მოცემული. უხილავი მატერიის და უხილავი ენერგიის დაპირისპირებაც „ცის ძალი“ (კოსმიური გონის) ძალით ხდება, ჩემი აზრით.

ქართული სიტყვა „ცნობა“ და „ცნობიერი“ კოსმიური გონის ძველი სახელწოდებაა, რომელიც ადამიანის გონებაზე და ცნობიერებაზეა დღეს გადმოტანილი. ცნობა და ცნობიერება ცის სახელიდან ჩანს,

ასევეა „ნება“, „ნებართვა’, „ნებისყოფა“ „ცილობა“. მატერიალურ სამყაროში ადამიანს გონებას იმდენი „ცნება“ მოეწოდება, რამდენიც ნებადართულია. გავიხსენოთ, კვანტური ფიზიკის ცდები ფოტონებზე დაკვირვების დროს, წყლის წვეთებზე და სხვა.

„ცნების“ – „იგივე კოსმიური გონის გავლენით ხდება სხვადასხვა მატერიალიზებური ანუ აუხსნელი მოვლენებიც, რომელიც რაიმეს გაფრთხილებისკენ მიუთითებს. ხშირად სადმე დაძაბულ გეოპოლიტიკურ არეალშიც ხდება ამოუცნობი ფაქტების გამოვლინება.

ეთნოგრაფიულ კულტურაში ასეთი ამოუხსნელი მოვლენებს მიმათ საკრალური დამოკიდებულება აქვთ, ან მირედებით საუბრობენ ან ერიდებიან საუბარს (ღვთის გუშაგნი, ზეცრიელნი, ღვთისნაბადებნი და სხვა), მათი ნახვისას სამეცნიერო კვლევა ან ფოტოგრაფირება გამორიცხულია, თან თავისი სიტყვიერი ტექსტი ახლავს და ეს უნდა წარმოთქვას ადამიანმა: **„თავის წესითა და რიგითამც დაილოცები, რაიც ხარ და რახელომც ხარ, ჩემად საღონები ნურც იქნები.“,** და სხვა.

ასეთ დროს სწორად წარმოთქმული სიტყვა მნიშვნელოვანია. ანუ ამას თავისი „წესი და რიგი“ აქვს, ეს იცოდა ძველმა ხალხმა.

ქართულ ენაში შემორჩენილია „სხვა ანუ არაამქვეყნიური, „ზეცრიელი“ ან „ქვეცრიელი“, რომელიც რაიმე არსების მიმართ ითქმებოდა და სახელწოდებებიც ცის მზომელობის ლექსიკონიდან ჩანს აღებული. ძველი ქართული სამყაროს გარემოს იქით, სხვადასხვა „შრების“, ანუ სხვა განზომილებების შესახებაც აფიქსირებდა თავის აზრს. „გასვლა“ ან „გადმოსვლა“ ასევე შესაძლებლად მიაჩნდათ და ამაზეა ინგუშური მითოლოგიით ცის „სოროების“ შესახებ გადმოცემებიც. ასეთი აზრი დღევანდელ ასტროფიზიკოსებსაც აქვთ და ძველ ხალხს კი „გონების თვალით“ ჰქონდათ ცოდნა. განსხვავება გახლავთ ის, რომ თანამედროვე მეცნიერების მიღწევაა აღმოჩენა იმისა, რაც ძველად მხოლოდ საღვთო მსახურთა ან განდობილთა წრეებისთვის იყო ცნობილი. მაშინ ცის მზომელობის ცოდნა ჩაკეტილი იყო ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ჩემი აზრით, ცოდნის დაცვა გარკვეულ წრეებში ხდებოდა იმ მიზეზით, რომ არასწორი ინტერპრეტირებით შეიძლება შებილწულიყო. ბიბლიაში საინტერესო ადგილია, სადაც

ციდან მოსულმა „ღვთიშვილებმა“ მიწიერ ქალებთან კავშირის შემდეგ წარმოშვეს ნეფილიმები. ძლიერი, დიდი აღნაგობისა და ცოდნის ადამიანები. მაშინ ნეფილიმების ცოდნა შერისხული იქნა და მათი მოდგმა განადგურდა კიდეც. ბიბლიაში ღვთიშვილებთან დაკავშირებული თემა ყველაზე რთულად ასახსნელი თემაა. კავკასიის მითოლოგიაში კი ღვთიშვილების თემა ყველაზე მნიშვნელოვანია, როცა დევკერპთა მოდგმა გაანადგურეს. დაცემული ანგელოზების შთამომავლები – დევები ჩანან უძველეს ინდურ მითოსებშიც. არსებობს გადმოცემა, სადღაც კავკასიაში როგორ დაამარცხეს ეს უარყოფითი ენერგიის მიერ გამოვლენილი ხორციელი მოდგმა.

ჩნდება კითხვა, კოსმიური გონი იგივე „ცნობიერი“ ენერგიაა, დადებითი ენერგიის მატარებელია, როგორ დაუშვა უარყოფითი ენერგიის გამოვლენის მატერიალიზებური ხორციელი ქმნილებების დაბადება?.

პასუხი აქვთ ასტროფიზიკოსებს. წონასწორობის დაცვის პრინციპი, როგორც მიკროკოსმოსშია, ასევეა მაკროკოსმოსშიც. ჩანს, ასეთი დაპირისპირება აუცილებელია განვითარებისთვის. კოსმიური გონის „ცნობიერების“ მატერიალიზებული, უცები ანუ „უნებური“ გამოვლინება საინტერესოა, რადგან ასეთი გამოვლინების დროს ხდება უხილავი მატერიის „სუსტი“ ადგილების აღმოჩენა და გარკვეული სამსახურის საჭიროებისამებრ ხილული ხდებიან.

ჩემი აზრით, შემთხვევით არაფერი ხდება და ადამიანის გონება, ჩანს, დიდი კოსმიური სამსახურისთვის ემზადება. სამსახური ისევ გამრავლებას და გონების განვითარებას, სხვადასხვა პლანეტებზე და სხვადასხვა გალაქტიკებზე გადასვლას ეხება. ადამიანი მიაღწევს გადაადგილების ისეთ საშუალებას, რომელიც სინათლის სიჩქარის მსგავსი იქნება და უფრო მეტიც, ადამიანს შეეძლება სხვა განზომილებებში გადასვლაც და გადმოსვლაც. ტექნიკური და ფსიქოანალიტიკური აზროვნების განვითარება ახალ საინტერესო მომავალს გვისახავს. როგორც ფუტკარი, რომელიც საკვების გამო ყვავილზე ჯდება და ნექტარს მოიპოვებს, თან ყვავილების დამტვერვაშიც, გამრავლებაშიც იღებს მონაწილეობას, ასევეა ადამიანი კოს-

მიურ სამსახურისთვის მომზადებული. სიცოცხლის გამავრცელებელი ზეცაში და სწორად განვითარებადი პერქსპექტივით.

სიტყვიერი გადმოცემა და აზრობრივად – „მიხვედრა“ – ასევე ჩვეულებრივი იქნება. მთავარია რწმენა არ დაიკარგოს, ასეთია ნამდვილ მეცნიერეთა ვერსიები.

როცა დედამიწაზე რწმენა შესუსტდება და აუცილებელი გახდება ზებუნებრივი ჩარევა, მოხდება კოსმიური გონის „ცნობიერების“, ზებუნებრივი პერსონის მოვლინება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არის ერთი ადგილი უკანა ფშავში „ცაბაურთა“. სალოცავი უძველესია და საკმაო სიმაღლეზეა. სახელწოდების კვლევისას აღმოჩნდა, რომ „ცისბარებული“ და „ცასმაარულო“, ძველი ლოცვის სახელიდან მომდინარეობს (ინფ. ხევისბერი ხვთისო პატარაშვილი 81 წ. ბულაჩაური 2005 წელი). ცის ძალების მიმართ მნიშვნელოვანი წარმოდგენა არსებობდა უძველესი დროიდან და მთიანეთმა შემოინახა თავის ძველ ლოცვის ტექსტებში. უკა ნაფშავში „ცაბაურთას“ სალოცავის კედელში არის პიქტოგრაფიულ – ხაზოვანი დამწერლობიანი ქვაც. ორი ღვთიშვილია სტილიზირებულად გამოსახული და შუაში „წმიდა ჯვარი“ ორმაგ წრეშია. ჩემი აზრით, ნიშნები კონკრეტულ სალოცავს უკავშირდება და ასეთი ორმაგ წრეში ჩასმული „წმიდა ჯვრის“ სიმბოლო ლოკალური ჩანს. [იხ. ტაბ. 3, ფოტო 2]. ჯვარი ოთხი წერტილით გრაკლიანის (3000 წლის) არტეფაქტებშიც ფიქსირდება.

კოსმიურ გონთან ანუ „ცნობიერთან“ საკონტაქტოდ ჩანს ძველი სალოცავების სიმეტრიული გეგმარებაც და უფრო მეტიც, პირაქეთ ხევსურეთის უძველესი ხასიათის „კარატის“ სალოცავის ალუმინის ფირფიტის სახურავზე ამოჭედილია სიმბოლოები, რომელიც მხოლოდ მაღლიდან, ციდან დასანახია (საუბარი ზეცასთან). ასეთ არტეფაქტებს გაფრთხილება უნდა, სპეციალური კანონიც უნდა იცავდეს მთის სალოცავებს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს.

პიქტოგრაფიულ ხაზოვან ნიშნებში ჩანს კოსმიური გონის წრიული გამოსახულება, რომელიც ხაზით ადამიანის მსგავს ფიგურასთა-

ნაა დაკავშირებულია (იხ. ფარული ნიშნები აღმოსავლ. საქართველოს მთიანეთში. სოფ. ლებაისკარის ნიშნები). ნიშანი სხვა ფიგურებთან ერთად არის გამოსახული. [იხ. ტაბ. 3, ფოტო 4].

საინტერესოა, დღევანდელი თეორტიკოსი ფიზიკოსების აზრი კოსმოსში „ტყუპების“ არსებობის შესახებ ანუ სამყაროს შეიძლება სხვა განზომილებაში განმეორებული „ცალი“ ჰყავდეს. {2}. ეთნოგრაფიული დედაბოძის მსგავსი გამოსახულებები ხშირად გვაქვს. [იხ. ტაბ. 3. ფოტო 3].

ქართულ ენაში სიტყვა „ცალი“ და ტყუპისცალი, ჩანს, რომ ცის მზომელობის ლექსიკონიდან გვაქვს. სხვა განზომილების აღსანიშნავად არსებობს სიტყვა „ცალკე“. ტყუპების შესახებ სხვადასხვა ვერსია ჩანს სწორედ ამოუხსნელი ხილული ფაქტებიდან. სხვა განზომილებიდან გადმოსვლა ანუ „ცადჩენა“, წარმოჩენა, ხილულად გამოჩენა რაიმე ისეთი მოვლენის, რასაც ადამიანი ვერ ხსნის, არის სწორედ კოსმიური სხვადასხვა მდგომარეობის მიმანიშნებელი.

საინტერესო ჩანაწერებია შემონახული ხევსურეთში, ლიქოკის ხეობაში, – ხუცესი გიორგი ლიქოკელის სახლში დაცული ძველი რვეული, სადაც გასული საუკუნის 30-იანი წლების ჩანაწერები იყო და ინფორმაცია უფრო ძველი ჩანაწერიდან გადმოტანილი ჩანს „ცათ კარი“-ს შესახებ და ნახაზები. „ცათკარი უამრავია ცაში და უხილავი ას-თვალით“... სხვა „ცალკე ადგილებში გადასასვლელები და მარტო „ზეცრიელნ მოძრაობენ ესრ“... იხ. ნახაზი „ცათ კარი“. ნახაზზე სხივები სხვადასხვა განზომილებებია და შუაში „ცათ კარი“, სადაც ხდება გადასვლა ან გადმოსვლა. „ცათ კარი ბევრი ას და თან სხვადასხვა ზომისანი ას“ (ჩანაწერი 1981 წ. ლიქოკის ხეობა. ქობულო.) „ცათკარი“ ბევრი (ალ. ჭინჭარაული. ხევს. ლექსიკონი. 2005 წ).

საიდან და როგორი „განჭვრეტით“ იგებდნენ ხალხის რჩეულები ასეთ კოსმიურ ცოდნას?. „,ცათ კარისა“ და უცხო კოსმიურ ციმციმთან დაკავშირებით საინტერესო მსგავსი აღმოჩენა გააკეთეს კანადელმა ასტრონომებმა. რადიოტალღური უცხო ნათება კოსმოსში.

ერთ-ერთი უცხო ნათება ჩვენს გალაქტიკასთანაც ახლოს შე-



ნიშნეს. (ციმციმი) ნათება თითქოს არამატერიალურია და წამისმიერი მოვლენაა. შესაძლოა, ეთნოგრაფიაში „ცისკართგახმა“ სწორედ ასეთ ნათებას ეწოდებოდა. „ცისკართგახმა“ და „ცათკარი“ საინტერესო შესადარებელია. მიმაჩნია რომ, ჩვენს ცივილიზაციაში არსებობდა გონიერების ისეთი მდგომარეობა, როცა „გონება“ მიჰყვებოდა კოსმიური გონის „ნებას“ და იგებდა უშორეს და დაფარულ კოსმიურ განზომილებათა შესახებ, „ცალკე“ ანუ ზეცის სხვა მდგომარეობაში მყოფადობას, „ცალკეცად“ (ცალკეული, ცალფა) მყოფადობას, რაც მნიშვნელოვანი იყო.

სხვადასხვა განზომილებათა შესახებ დღეს ხშირადაა საუბარი თეორეტიკოსი ფიზიკოსების მხრიდან. კოსმიური გონის ანუ ცის ძალის გამოვლინებები ადამიანებში ჩნდებოდა წინასწარმეტყველების და გენიალურ შემოქმედთა წარმოჩენით.

კოსმიურ გონთან ანუ ზეციურ ძალთან საკონტაქტოდ ხდებოდა ძველ ხალხებში მიწაზე დიდი გამოსახულებების შექმნაც. ნასკას და ლიმას ტერიტორიაზე, რუსეთში ურალის მთებთან ძველი ხალხის ნანაების კოსმოლოგიური პეტროგლიფები და პელიგლიპტი „ლოსის“ გამოსახულება. ასევე ამიერკავკასიაში, საქართველოში არის მიწაზე გამოსახულებები და მათ შორის, შირაქში „ნაზარლების“ ნახაზი (ამ უკანასკნელზე ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე ადამიანს აქვს და სამწუხაროდ, მკვლევარები არც დაინტერესებულან).

საინტერესოა ნასკას და ლიმას (პერუ) გამოსახულებები „საუბა-

რი ზეცასთან“, რომელიც ღვთისმსახურთა, ნაყოფიერების სათაყვანებელი საშუალებები იყო ძველად. {3}. გამოსახულება იკითხება მხოლოდ ზემოდან და წარმოადგენს ცხოველების, ფრინველების, მწერების, გეომეტრიული ნახაზების გამოსახულებებს. მლოცველი ხალხი დგებოდა ნახაზის ბილიკებზე ჩირაღდნებით ან სპეციალური სითხით, რაც გამოაჩენდა გამოსახულებას. ლოცვა-სიმღერით ისინი „იწვევდნენ“ გარკვეულ განწყობას და „იღებდნენ“ სასარგებლო ენერგეტიკას, რაც ცხოვრებაში სჭირდებოდათ. ქართული სიტყვა „შეწირვა“ წერასთან კავშირშია და საღვთოდ გადაცემული ნივთი ან ცხოველი ადრე „წერით“ აღინიშნებოდა. წერა შეიძლება მიწაზედაც ხდებოდა და ახლაც საღვთოდ გასახელებულ ცხოველზე ან ქადებზე ჯვრებს გამოსახავენ. „შეწირვა“ იყო უძველეს ხალხთა საღვთო სარიტიულო უმთავრესი ტრადიცია. ძველად სხვადასხვა ცხოველი იყო სხვადასხვა ხალხის წარმოდგენის საღვთო არსება და ასეთის გამოსახვით ისინი ცდილობდნენ კავშირს, ურთიერთობას ზეცასთან. პოლიგლიფების გამოსახვისთვის არსებობდნენ სპეციალური ადამიანები, ვისაც ეს ცოდნა ჰქონდათ და აკეთებდნენ გამოსახულებებს მიწაზე. შირაქში უძველესი დროის ბევრი საინტერესო არქეოლოგიური ობიექტი აღმოჩნდა. მაგ. თავწყაროს არქეოლოგიური აღმოჩენები ძვ.წ. 16 ს. და დიდნაური, ძვ.წ. XXIII ს.. დიდნაურიდან დაახლ. 8 კმ. არის ნაზარლები. წრიული კედლების ნაშთები და დიდი გეომეტრიული გამოსახულება. გამოსახულება გაკეთებულია ქვის წყობით მიწაში. ქვის წყობის სიგანე 3 მეტრია. გეომეტრიული ნახაზი სიგანით 600 მეტრია და სიგრძით 2 კმზე მეტია. ეს „ნახაზი“ მიწაზე შესრულებულია ისე, რომ „წრიულ“ კედლებთან კავშირშია. ნახაზი კარგად აღიქმება ზემოდან, ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე. გეომეტრიული დიდი ნახაზები მიწაზე მსოფლიოს ძველი ხალხის ღვთისმსახურებისთვის იყო დამახასიათებელი და „შეწირვის“ რიტუალი წერით ანუ გამოსახვით ხდებოდა. მიმაჩნია, რომ ასეთ ძველ ობიექტებს გაფრთხილება და კონსერვაცია სჭირდება, რათა მომავალ თაობებს სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ ისტორიულ თეო-

გონიურ წეს-ჩვეულებათა და ხელოვნების მნიშვნელობა ძველი ხალხის დასახასიათებლად.

კოსმიური გონის პირდაპირი გამოვლინება არა მარტო ვიზუალურად ხდება გენიალური ადამიანების წარმოჩენით, ასევე ცხოველურ სამყაროშიც შეიმჩნევა ასეთი აუხსნელი ფაქტები. მაგ. აფრიკის ცხოველთა სამყაროში შემჩნეულია სხვადასხვა მოვლენები, რაც ზოოლოგებისთვის ან ბიოლოგებისთვისაც ძნელად ასახსნელია. ზოგჯერ, ლომი ან ლეოპარდი იჭერს პატარა ანტილოპას და იწყებს მის „დაცვას“ და „პატრონობას“. ზოოლოგების აზრით, ამ დროს ლომში იღვიძებს მშობლის ინსტიქტი. უცნაურია, რომ ლომი საერთოდ წყვეტს საკვების მიღებას და მშიერი კვდება. პატარა ანტილოპას იცავს და მასთან ერთად რჩება და პატრონობს. ჩაატარეს ექსპერიმენტი, ლომს მიუტანეს საკვები, ხორცი, მაგრამ მან არ შეჭამა, ანუ ლომმა საერთოდ უარი თქვა კვებაზე. რაღაც სხვა ძალით მტაცებლური ინსტიქტი სრულიად „ჩაიკეტა“. აქ ლომი კი არაა უმთავრსი, არამედ მსხვერპლის „დღე“, რომელსაც განაგებს და იცავს. ამოუხსნელი ფაქტია ფრინველებშიც, კერძოდ, მიკიოტი მიდის მომაკვდავი ადამიანის სიახლოვეს და „მოთქვამს“. როცა გარდაიცვლება ადამიანი, მიკიოტი აღარ ჩნდება. უცნაური გამოვლინებები დაფიქსირებულია დელფინებში, ვეშაპებთან, ძაღლებთან და სხვა. კოსმიური გონის პირდაპირი გამოვლინება და ადამინური გონისათვის ახსნა რთულია. „ცის ძალი“ გენიალურ „ვეფხისტყაოსანშიც“ ჩანს (423, 447). „აფიცებს ღმერთსა და ცათა“.

სად მოიაზრება „ცის ძალის“ იგივე კოსმიური გონის არსებობა? მიმაჩნია, რომ უხილავი მატერიის და უხილავი ენერგიის მიღმა, ანუ მთელი კოსმოსი ცოცხალი ორგანიზმივითაა, სუნთქავს, იბადება, იზრდება ცოცხლობს, იცის გარდაცვალება და ისევ დაბადება (იყო და არა იყო რა...). სიტყვა „ცვლა“ იგივე „ცავლა“ მოდის ასევე კოსმიური მოვლენებიდან, რაც „გარდაცვალების“ ძირია. კოსმოსს აქვს თავისი დინება და აქვს „შესაკრებელიც“. მთელი კოსმოსის შიდა არსი მუდმივ მოქმედებაში და აღდგენაშია. ამას ყველაფერს კოსმიური გონი აკონტროლებს, რომელსაც რაღა თქმა უნდა, მუდმივმყოფე-

ლი განაგებს. მიზიდულობის ძალაც ასევე კოსმიური გონით მოქმედებს და ყოველ დინებას და გალაქტიკათა გრავიტაციას მოიცავს.

რას აფიქსირებს ეთნოგრაფიული გადმოცემა კოსმიური გონის გამოვლინებებზე და „ღვთის გუშაგებზე“: **„ღვთის გუშაგნ გამოვიდოდან, ღვთისაგან გამაოშობილნი, ხორციელთ ღბეგრევდან, ყალანს** (გადასახადი) **იღებდან“.** (ხევსურული ლოცვიდან). **მოდიან, მოიძახიან... შაიძახებენ ვეშაგნი** (გუშაგნი სხვა ვარიანტში), **დრო რო მოვიდა ბინდისა, ცისკიდურთ შამაივლიან, დრო რო არ იყოს მოვლისა. ვეშაგთ ნადენთა მთაწევრთა თან ბურს დაადებს ნისლისა.** (ხალხური პოეზია, ტ I, გვ.123.) გუშაგები არიან უხილავნი, დადიან სიმღერით და ნისლს უშვებენ. იგივე ფუნქცია აქვთ „რუდრებს“ რიგ ვედაში (ინდ) და „კაბირებს“ ბერძნულ მითოლოგიაში..

ღვთის გუშაგნი სხვაა და ღვთიშვილნი სხვაა. ხვთის გუშაგნი ადამიანებთან ნაკლებად კონტაქტობენ და კონტროლი ევალებათ, ხოლო ღვთიშვილნი კი ზოგჯერ კონტაქტობენ კიდეც, ასეთია ეთნოგრაფიული წარმოდგენა.

არ შევუდგებით იმის კვლევას თუ მსოფლიოს სხვა კულტურებში როგორ აღიქვამდნენ კოსმიური გონის არსებობას და რა ადგილს ანიჭებდნენ მას, მაგ.: ინდოეთში, ძველ ეგვიპტეში, შუმერულ მითოლოგოსებში, ძველ საბერძნეთში და სხვა. აქედან მხოლოდ ორი პიროვნების აზრს მოვიხმობთ, ყველაზე კარგად რომ აჩვენებს წარმოდგენას კოსმიური გონის არსებობის შესახებ.

რას ამბობს პლატონი: „უნდა ვაღიაროთ, ჩვენი კოსმოსი არის სულით და გონიერებით მოსილი ცოცხალი არსი“.

უდიდესი თანამედროვე მეცნიერი ალბერტ აინშტაინი კი ამბობს: „არსებობს კოსმიური იდუმალება, რომლის ინტუიციური შემეცნება წარმოადგენს მეცნიერების, ხელოვნების და რელიგიის წყაროს“.

ამრიგად, არსებობდა გარკვეული წარმოდგენა კოსმიური გონის შესახებ (4) და დღემდე არსებობს და იარსებებს მომავალშიც ისევე, როგორც ზეციურ ძალთან საკონტაქტოდ სხვადასხვა ტრადიციები არსებობდა და დღემდე არსებობს (ტაძრების გეომეტრიული გა-

მოსახულებები, გეომეტრიული ნახაზებით სპეციალური რიტუალები და სხვა). კოსმიური გონის მატერიალიზებური გამოვლინებებიც ასევე საინტერესოა და ძველი ხალხი ცდილობდა მათთან კონტაქტს, „ზეცრიელნი“ – ეთნოგრაფიულ ყოფაში ასეთ გამოვლინებათა მიმართ საკრალური მიდგომა ძველთაგანვე დაცული იყო. ღვთისმსახურების შესრულება აუცილებელი იყო წერის ანუ გამოსახვის თანხლებით და ასეთი „აუცილებელი წესი“ დღემდე დაცულია. კოსმიური გონის (ცის ძალის) მატერიალიზებური გამოვლინებების მიმართ უფრო სერიოზული მიდგომაა საჭირო და უფრო მეტი კორექტულობაა აუცილებელი. ეს წარმოაჩენს ადამიანთა ეთიკის ნორმებს და ჩვენს მიმართ შესაბამისი წარმოდგენების სწორად ჩამოყალიბებას მთელ კოსმიურ განზომილებებში. ადამიანის დამახასიათებელი ერთ-ერთი საზომია ასეთი მოვლენების მიმართ კორექტულობა და მეტი დახვეწილობა. გაცემული უარყოფითი ემოცია ან ენერგია, ლოგიკურია, ოდესმე ასეთივე მუხტით უკანვე გვიბრუნდება, ჩემი აზრით. იყო უძველესი ხალხი რომელიც სწორედ კოსმიურ გონთან არასწორი მიმართვის გამო დაისაჯა და გაქრა ისტორიიდან, მაგ. ძველი ეგვიპტელები, მაიას და ინკების ხალხი, აქადის, მოხენჯოდაროს, ანკორის და სხვა ხალხები. ახლო აღმოსავლეთის ზეგანზე დღემდეა შემორჩენილი უცნობ ხალხთა და მათ მოგვთა მიერ მიწაზე შესრულებული გეოგლიფური ქვის ნახაზები ვარსკვლავების, მზისა და მთვარის მოძრაობასთან საკონტაქტოდ, მათი საშუალებით ზეციური ძალის მოხმობა და ენერგეტიკის მართვა. ჩემი აზრით, კოსმიურ გონთან „ზეცასთან“ ურთიერთობა მხოლოდ საღვთო კულტურით არ განისაზღვრებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო საომარი კულტურა, ეთიკა, საცხოვრებელი კერის კულტურა, საქორწინოდ განკუთვნილი ნაყოფიერების წესები, ბუნების მიმართ კულტურა, მიცვალებულის მიმართ დაცული წესები და სხვა. ცის და ზეცის იგივე კოსმიური გონის მიმართ დამოკიდებულება დღესაც და მომავალშიც მნიშვნელოვანი იქნება და ყველაფერი გასაფრთხილებელია. როგორც ჩანს, რასაც გრძნობს ადამიანთა მოდგმა ამ კოსმოსში ცხოვრებით, ისევ ადამი-

ანთა გონებრივი და ტექნიკური განვითარებისთვის არის ერთგვარი „გამოცდა“. სწორი კვლევა და ანალიზიც ასევე აუცილებელია და ადამიანთა ცხოვრების უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. A. Kovács et al. (the DES Collaboration): “The DES view of the Eridanus supervoid and the CMB Cold Spot~, MNRAS, December 2021. DO
2. Do parallel universes exist? We might live in a multiverse. Vicky Stein, Daisy Dobrijevic published November 03, 2021
3. Sebastian Dorsch; Jutta Vinzent (2017). SpatioTemporalities on the Line: Representations-Practices-Dynamics. Walter de Gruyter GmbH & Co KG. pp. 97–. ISBN 978-3-11-046578-5.
4. Harmless, William (2007), Mystics, Oxford University Press, ISBN 9780198041108

მემარგეთა საქმიანობა მზის ბუდებთან და ქვა-ჭორტებთან

ქართული ენის თავისებურებების შესახებ ბევრი კვლევა აქვთ, როგორც ლინგვისტებს, ასევე ეთნოგრაფებს, ხოლო მასში სპეციფიკური სახელ-ტერმინთა სავარაუდო წარმომავლობის მოკვლევა, პირველი ცდაა.

იმედია, პირველი ნაბიჯი არ იქნება ისეთი მოუხერხებელი, რომ გაურკვევლობა წარმოქმნას დაინტერესებულ მკვლევარებში. საკითხი ეხება ქართულ ენაში არსებულ ჯერ კიდევ შეუსწავლელ ფაქტს, ასტრალურ კოსმოლოგიურ სახელ-ტერმინთა საკითხს და ეთნოგრაფიულ ყოფაში მათ სხვადასხვა გამოხატვას. თუ რის საფუძველზე მოხდა სახელტერმინთა წარმოშობა, ამის ამოცნობა დღეს ძნელია, მაგრამ აუცილებელი. ფაქტია, ქართული ენის სპეციფიკური ხასიათში ჩანს მკვიდრი კოსმოლოგიური ლექსიკა. ჩვენ პირობითად, სულხან საბას ლექსიკონის დამოწმებით „ცის მზომელობის“ ლექსიკა ვუწოდეთ ანუ „ცის ძალთა“ აღმწერელი ლექსიკა. სახელ-ტერმინების სიუხვე მიუთითებს, რომ ძველად გაცილებით უფრო მდიდარი ლექსიკა იყო და დღეს ნაშთებად შემორჩა. გაუცნობიერებელი კოსმოლოგიური „ცოდნის“ ლექსიკა-ენაში იმდენად მყარად არის, რომ ბევრი მათგანი მიწიერ სახელწოდებებშია ჩართული. კოსმოლოგიური ცოდნა საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა და იხვეწებოდა. ძველი ეთნოგრაფების კვლევით – გ. ჩიტაია, ს. ბედუკაძე, – ძველ საქართველოში არსებობდა „მემარგეთა“ ხალხური ინსტიტუტი და სწორედ მათ მიერ მოტანილ ლექსიკას მოიცავს დღეს ენაში შემორჩენილი მდიდარი კოსმოლოგიური სახელ-ტერმინები. „განჭვრეტით დამნახავი“, ხალხთა, რჩეულთა ცოდნა დღევანდელი ასტრონომიული აღმოჩენების ფონზე უფრო საინტერესო ჩანს. სხვადასხვა სახელ-ტერმინთა მოფიქრება და ენაში დამკვიდრება განსაკუთრებული მოვლენების კვალდაკვალ ხდებოდა, ჩემი აზრით. ცა, ზეცა, საცალო, ცალკე, ცალკეული, ცალია, ცარიელი, ცალი, ცარგი, ცათკარი, შეკვეცა, კეცა, ცახე და ა.შ.

განჭვრეტით და ინტუიციური გრძნობით კოსმოლოგიურ სახელ-ტერმინთა მოფიქრება შემთხვევით არ ხდებოდა. დღეს მთაში შემორჩენილი „ხატის ენის“ მსგავსად ძველ საქართველოში მემარგეთა ან მათ მსგავს გამორჩეულ ქურუმთა მსახურებიდან შემორჩენილია კოსმოლოგიური ლექსიკაა. ქართულ ენაში „ცის მზომელობის“ მდიდარი ლექსიკის კვალდაკვალ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ თითქმის აღარაფერი ვიცით ძველი ადამიანის ინტუიციური ცოდნის მიღების (ეთნოასტრონომიული ცოდნა) და ამ ტრადიციების წესთა მსვლელობების განჭვრეტით ხედვით შესახებ, მხოლოდ ასეთი მეცნიერული ახსნა შეიძლება ვუწოდოთ „ცოდნას“, რომელიც საღვთო წარმოდგენებთან ერთად გამოიყენებოდა ღვთისმსახურებისას. საღვთო წარმოდგენების დამოუკიდებლად ასეთი ლექსიკის მოფიქრება წარმოუდგენელია და ამის დასტურია სიტყვა „რწმენა“, რომელიც საღვთო წარმოდგენას და ქართულ ენას ერთად მოიცავს, სიტყვის აგებულებას დიდი წინაპირობა აქვს. ქართული ენა, მდიდარია მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის აღმწერი სახელ-ტერმინებით, ლექსიკა საინტერესოა დღევანდელი ასტრონომიული აღმოჩენების ფონზე და ეს მომენტი სხვა კატეგორიაში გადადის და მეტ-ნაკლები მიმსგავსებით ბევრი თავისებურებით ხასიათდება. მაგ. „ბროლის ცა“,– რომელიც მეცხრე ცაა „ნათელის ნათელია“, საიდანაც ყველაფერი იმართება და მითიური სამყაროს ქართული მოდელია. მაგ. ოთხი სიტყვა: ქვესკნელი, ცათკარი, ციბრუტი, ცარიელი. ამ სახელ ტერმინთა თავსებურება აშკარად კოსმოლოგიურია და ძალიან ჰგავს კოსმოსში დღევანდელ ასტრონომიულ აღმოჩენათა მსგავს აღწერილობას. სახელწოდება ქვესკნელი ძალიან ჰგავს ე.წ. „შავ ხვრელს“, ფერიც ასევე ფიქსირდება „ქვესკნელი“ შავი ფერისაა. ასტროფიზიკოსების მიერ მიკვლეულია „თხუნელის სოროების“ არსებობა კოსმოსში და ეს ძალიან ჰგავს იგივე ქართულ „ცათკარს“. ასევეა „ციბრუტი“, რომელიც აშკარად კოსმოსურ ობიექტს აღწერს და კოსმოსში ბევრია ასეთი ვარსკვლავიც ე.წ. „ნეიტრონული“ვარსკვლავი. საინტერესოა სახელწოდება „ცარიელი“, ასევე კოსმოლოგიურია

და კოსმოსში ნამდვილად აღმოჩენილია მსგავსი „სუპერვოიდი“ (ერდანის თანავარსკვლავედთან) ადგილი სამხრეთ ნახევარსფეროში, სადაც „ცარიელია“ და გალაქტიკები არ არსებობს. იქ ფიქსირდება „ელვა ცელი“ ანუ “ხმალი“, რომელიც ყოველი გაელვებისას „კეცავს“ ყოველივე მატერიალურს მის გზაზე. სიტყვა „დაკეცვა“„კვრეცა“ იგივე ცისმზო მელობის ლექსიკიდან მოიაზრება.

ჩემი პირველი დაინტერესება ასეთი ფაქტების მიმართ სულხან საბას ლექსიკონში ნახსენები „ცის მზომელობის“ (წამი) ტერმინოლოგიის გამო დაიწყო. პიქტოგრაფიულ ხაზოვანი დამწერლობის ნიშნების კვალდაკვალ, სადაც 80 პროცენტი ასევე კოსმოლოგიური სიმბოლოებია, საინტერესო იყო ფხოურ არქაულ ენაში ზოგიერთი სახელ-ტერმინის აღმოჩენა და მათ შორის „უღელა“ ანუ ტყუპა ვარსკვლავის (მასკვლავის) სახელწოდება. ასეთი ვარსკვლავი ნამდვილად აღმოჩენილია ხაბლის სახ. ძლიერი ტელესკოპის დედამიწის ორბიტაზე გატანის შემდეგ 2000 წელს. „ტყუპა“ (უღელა) ვარსკვლავი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ნამდვილად არსებობს და ხალხურად ძველი დროიდან იცოდნენ საქართველოში (იხ. „ტყუპა“ — უღელა ვარსკვლავი. ალ. ჭინჭარაული, „ხევსურული ლექსიკონი“ 2000 წ.) საინტერესოა, „ცის მზომელობის“ ლექსიკონის მიკროკოსმოსური აღწერილობებიც, სადაც კვანტური ნაწილაკების სახელებიც ჩანს: ნამცეცა, ციდა, დაცალკევებული და სხვა. ასევეა უხილავის განზომიელბის მსგავსი აღწერილობებიც და უხილავი ძალის (უხილავი მატერია) სახელწოდებები: „არაფერი“, „არაძალი“, წინაშე“ და სხვა.

სახელ-ტერმინთა მდიდარი მონაცემები მიუთითებს ენის შიგნით არსებულ სისტემაზე და გარკვეულ ცოდნაზე. საერთოდ, ენის წარმოშობის შესახებ თავდაპირველ ფუნქციაზე – საკომუნიკაციო საშუალებაზე განსხვავებულ აზრს წარმოშობს. ენა ინახავს ინფორმაციას (კოდირებულია) და ჩემი აზრით, სპეციფიკური ცოდნა რაღაც კონკრეტული სამსახურისთვის გამოიყენებოდა.

ამ შემთხვევაში ქართული ენის გარდა აუცილებელია იბერიულ-კავკასიურ ენებთანაც მოხდეს ასეთი მოკვლევა. მათ შორის, ენებ-

თან, რომელთაც თავისი დამწერლობა არ გააჩნია. ინგუშურ და ნახურთან. კოსმოლოგიური ლექსიკონის მოკვლევა ასევე საინტერესო იქნება კავკასიის გარეთ, ბასკურ ენაში. იმ ენების კოსმოლოგიურ სახელ-ტერმინთა შედარება ქართული ენის კოსმოლოგიურ სახელ-ტერმინებთან მოგვცემს გარკვეულ წარმოდგენას ძველი ხალხის ცოდნის შესახებ.

ენაში“ ცის მზომელობის“ ლექსიკონის არსებობა, როგორც ჩანს, ძველ მემარგეთა ლექსიკონიდან მოდიოდა, მაგრამ თვითონ ენის სპეციფიკა კიდევ სხვა მხრივაც საყურადღებოა. თვითონ ენას შესაძლოა აქვს ე.წ. „დამკვირვებლის უნარი“, რომელიც მსახურების გარდა თვითონ აფიქსირებდა ასეთ სახელ-ტერმინებს. მაგ. როგორც ჩანს, სიტყვა „რწმენა“- ში მთელი საიდუმლო ჩაიდო და პრაქტიკული და მისტერიული შინაარსი ურთიერთს შეერწყა.

არსად არ არის დაფიქსირებული, მთაში „მზის ბუდესთან“ და ბარში „ქვაჭორტებთან“ რა დონის მსახურება არსებობდა და რა განჭვრეტა ხდებოდა კოსმიურ გონთან კონტაქტით [იხ. ტაბ 4, ფოტო 1]. კოსმიური გონი, იგივე „ცის ძალი“ ძველ ქართულად. კოსმიურ გონთან სწორი კონტაქტი და განჭვრეტა იყო მემარგეთა უმთავრესი სამსახური. მემარგეთა ინსტიტუტი მთელ საქართველოში არსებობდა, რადგან ცის მზომელობის ლექსიკონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფიქსირდება და ასევე ქართველური ენებისთვისაც არაა უცხო.

არსებობდა „ცის დღე“ და რიტუალიც იცოდნენ. სამყაროს შემოქმედის, ღმერთის გარდა „ცის ძალის“ არებობა ჩვეულებრივი ცოდნა იყო. „ვეფხისტყაოსანშიც“ შემთხვევით არ ფიქსირდება და მნიშვნელოვნად მიიჩნევა „ცის ძალი“ – აფიცებს ღმერთსა და ცათა„ (223). მემარგეთა საქმიანობა მზეზე, მთვარეზე, ვარსკვლავებზე და ბუნების მოვლენებზე დაკვირვება იყო და ჩანს, ზეციურ სახელ ტერმინთა შემუშავება რაღაც „ჭვრეტის“ მდგომარეობაში ხდებოდა. განჭვრეტა იგივე გონებით ხედვა, რა რიტუალების თანხლებით ხდებოდა და რა დონის მდგომარეობას აღწევდა გონებრივად, დღეს ძნელია თქმა – გარემოება, მარხულობა, რწმენა, გეოგრაფიული გა-

რემოს სწორად გამოყენება, ვარსკვლავთა მოძრაობის ცოდნა და სხვა. მემერგეთა მიერ მოტანილი სახელწოდებები ენაში მკვიდრდებოდა მყარად და ზოგი საყოფაცხოვრებო საგანთა სახელწოდებად შემორჩა: ცალფა, ცალგანი, ცანდი, ცალი, ცალბარიტი, ცაკურა, ცანცარი, ცის გიდელი და სხვა. მათი „განჭვრეტა“ რამდენად იყო გააზრებული და თვითონ თუ გრძნობდნენ სახელ-ტერმინთა განზომილებას, შეუცნობელია დღეს. მემარგეთა საქმიანობა მიუთითებს ხალხურ ასტრონომიულ უდიდეს სამეცნიერო ინსტიტუტს და იმას, რომ ვიზუალური ხედვის გარდა, შინაგანი სხვა „განჭვრეტაც“ შეეძლოთ. ამ სამსახურმა შუა საუკუნებამდე მოაღწია საქართველოში. ბევრია დღემდე ქვაჭორტების ადგილები. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მთაში „მზის ბუდეების“ ადგილები. სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში მოხსენიებულია ადგილები სახელწოდებით „მზის ბუდენი“ (იგივე „მზის ბუდეები“). ესაა ცნობა ანუ „ცით მოსული“ ინფორმაცია, რომელიც შინაგანი შეგრძნებით აღიქმებოდა. ასეთი სახელ-ტერმინები ჩანს დადებითი ენერგეტიკის გამოყენებისთვისაც არსებობდა. სიმბოლოების გამოსახვა ქვაზე, ხეზე, იარაღზე, ტანსაცმელზე, შენობის დედაბოძებზე და კიდობნებზე. ღვთაებრივი სიმბოლოების და სახელტერმინთა გამოყენება ხდებოდა დალოცვის დროს: საქორწილო რიტუალების, სამეურნეო საქმიანობის დაწყების წინ, საომარი მოქმედებების დაწყების წინ და სხვა. ყოფითი ნივთებისთვის კოსმოლოგიურ სახელ-ტერმინთა მინიჭებით ცის ძალის ენერგეტიკის მოხმობისთვის იყენებდნენ, მაგ. ხმალი, ცელი, საცერული, გაცრა, ნაცარი და სხვა. ასევე კოსმოგონიურია მოძრაობის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ მიწიერ სახელებად დარჩა: ცანცარი, სიგირგალი, ბორბალა, ცალფა და სხვა. შემთხვევითი არაა საქართველოს ჩრდილო საზღვართან (ინგუშეთი) „ჩურტების“ იგივე „ქვა-ჭორტების“ არსებობა. მემარგეთა სამსახური, როგორც ჩანს ინგუშურ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც იყო, მაგრამ ინფორმაცია დაკარგულია. მემარგეები ასეთ ობიექტებთან კონტაქტობდენ წლის გარკვეულ დროს, გარკვეულ მდგომარეობაში და ვარსკვლავ-

თა გარკვეული მდგომარეობის შესაბამისად. დღეს არ ვიცით „მზის ბუდეების“ ან „ქვა-ჭორტების“ ენერგეტიკული ველის შესახებ, მათი საერთო ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი არეალის გაგებაც უცნობია. ასეთ ობიექტებს მემარგეები მარკერის მსგავსად იყენებდნენ და ჩანს, ამისთვის ცის მზომელობის ლექსიკის იყო საჭირო. ადამიანის ბედი ვარსკვლავის ბედთან იყო დაკავშირებული, ანუ სიცოცხლე, გონებრიობა „ცის ძალის“ გავლენით ხდებოდა.

ქართულ ენაში „ცის მზომელობის“ ლექსიკის კვლევა სერიოზული სამეცნიერო კვლევის საგანი უნდა გახდეს. კოდირებული ენის თვისება სისტემურად საკვლევია თუ გვინდა სწორად გავიგოთ ერთ-ერთ ძველ მცოდნეთა, მემარგეთა რწმენა-ცოდნის შესახებ, რათა მიახლოებითი წარმოდგენა მაინც გვქონდეს ძველ კულტურაზე.

არის კიდევ ერთი აზრი, ასეთი ცოდნის წარმომავლობის შესახებ და ამაში გაურკვეველი კულტურის პრეისტორიული არტეფაქტების აღმოჩენა, რაც პროტო ცივილიზაციის კვალია, ანუ კოსმოლოგიური ცოდნა, სწორედ პრეისტორიული ცივილიზაციის ნაშთებიდან მიღებული ცოდნით მოიაზრება. მსოფლიოს სახვადასხვა ადგილას აღმოჩენილია გაქვავებული არტეფაქტები, რომლებიც რაღაც გაურკვეველი მექანიზმის ნაშთებია და რამდენიმე მილიონი წლით თარიღდება. ამერიკაში, ევროპაში, ციმბირში, აფრიკაში და სხვაგან. ასეთი არტეფაქტების სპეციალური მუზეუმიც არსებობს და კვლევა მიმდინარეოს, რაც ურთულესია და ჯერაც შეუსწავლელია. ფაქტია, ძველ ენებში ჩანს მითოლოგური, ზღაპრული (მფრინავი ხალიჩა, უჩინმაჩინის ქუდი, ჯადოსნური სარკე, ბეწვის ხიდი, საფარველის დადება და სხვა) და კიდევ ინტუიციური წარმოდგენები, რომელიც რაღაც ცივილიზაციის ანარეკლად გადმოვიდა კაცობრიობის მეხსიერებაში. არის მეორე აზრი, „ზეპური“ მეხსიერება მოდის კოსმოსიდან და მას იღებდა გარკვეული ცოდნით შეიარაღებული და გარკვეულ მდგომარეობაში მყოფი ქურუმი, ხოლო საერო ყოფაში მითოლოგიად, მხატვრულ დეკორად და აპოტროფიულად გამოისახებოდა.

მიმაჩნია, რომ დიდი რწმენის მქონე ადამიანის გონება, გარკვეულ

დიაპაზონზე აღიქვამდა (ადრე უფრო მეტად..) კოსმიური გონის მიერ მოწოდებულ შეგრძნებებს, რომელიც ეროვნულ ენაში სიმბოლიზდებოდა, ლექსიკონში რჩებოდა და თაობებში გადმოდიოდა ემპირიულად.

ასევე საინტერესოა გეომეტრიული სიმბოლოების გამოსახვა მიწაზე, სახლებზე, ტანსაცმელზე, ავეჯზე. გეომეტრიული სიმბოლოების გამოსახვით ძველი ადამიანი ცდილობდა „საუბარს“ და კონტაქტს ზეცასთან ანუ კოსმიურ გონთან. სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე ნასკას გარდა აღმოჩენილია უცნობი კულტურის ხალხთა ნაშთები. გეომეტრიული ფიგურების გამოსახვა მიწაზე. ზომები 700 მეტრი, დიამეტრი და ზოგიერთი 3 კმ. სიგრძის. ადამიანი თავისი გონებით ცდილობდა ესაუბრა კოსმიურ გონთან და მიეღო პასუხები. უდიდესი პელიგლიფტებიც საღვთო კულტურასთან იგივდებოდა და სიმბოლურად დამცველი იყო ეთნოსისთვის.

იბადება კითხვა, საიდან იღებს სათავეს მიწაზე გეომეტრიული ფიგურების გამოსახვა და რა მოხდა ამ კულტურის მატარებელი ხალხის ყოფაში? ძველად ასეთი გამომსახველობა მხოლოდ გასართობად ან უბრალო შეჯიბრისთვის არ გამოიყენებოდა. ასეთი კულტურა საღვთო მსახურებასთან იგივდებოდა. დღეისათვის ეს აზრია დამკვიდრებული მეცნიერებაში. მაგრამ არის ერთი მომენტი, ასეთი „საუბარი ზეცასთან“ რამდენად სწორია და რამდენად გარანტირებულია, რომ დადებითი ენერგიის მიღების მაგიერ პირიქით, უარყოფითი ენერგია არ მიიღოს ხალხმა? ურთულესი ასახსნელია, ისევე როგორც სიზმრის ახსნა და ამაზე დანდობა. მიწაზე გეოგლიფების გეომეტრიული მოხაზულობების გარშემო მაცხოვრებელი ხალხი დღეს სრულიად გამქრალია და ინფორმაცია დაკარგულია.

ცის ძალთან ანუ კოსმიურ გონთან სწორი კონტაქტი და სწორი ურთიერთობის სურვილი დღემდე იგრძნობა და ადამიანთა აზროვნებაში „მუშაობს“. თანამედროვე ტექნოლოგიები, ძლიერი ტელესკოპები (განმჭვრეტები, საჭვრეტები) კოსმოსს იკვლეენ ისევ ადამიანის გონების მოთხოვნილების გამო. ეს უკანასკნელი კი განპირობებუ-

ლია ინტერესით და ინფორმაციის ამოხსნით. კოსმოსის შეცნობა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და სასიკეთო მიმართულებას იცავს.

ძველად, გამორჩეული ქურუმები ან „მემარგენი“ ინტერესს ზეცის შესახებ საღვთო მოვალეობით ხსნიდნენ. [3]. დროის მანძილზე ინტერესი უფრო მოთხოვნადი ხდებოდა და ადამიანის კოსმოსში ფიზიკურად გადაადგილების ინტერესთან ერთად იზრდებოდა.

ისტორიული, ცოცხალი ორგანიზმის განვითარების დრო, ანუ წყლიდან ამოსვლის ეპოქა და დღეს კოსმოსში ადამიანის გასვლის ეპოქა ურთიერთმსგავსია, რამდენად სწორად წარიმართება ეს პროცესი, რწმენაზე და ეთიკაზეა დამოკიდებული.

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილია „ქვა-ჭორტები“, მენჰირები [იხ. ტაბ. 4, ფოტო 2; 3], უხსოვარი დროიდან ჩადგმული სამანის ქვები [1]. ასეთი არტეფაქტები საკულტო დანიშნულებისაა. ბევრი მათგანი სწორედ გარე-კოსმოლოგიურ საკონტაქტო საშუალებად უფრო წარმოგვიდგება დღეს. როცა ამდენი კოსმოლოგიური სახელტერმინების სიმდიდრეა ენაში, გეოგრაფიული ადგილების და სპეციალური ობიექტების მიმართ სწორი კვლევები უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთი ასეთი ადგილია ხვამლის მთის თავი და გელათის ტაძრის ეზოში მდგარი „ქვაჯვარი“. ეს ხაზი რა კოსმოლოგიურ დატვირთვაზე მუშაობდა და რა ინფორმაციას ან წარმოდგენას ითვალისწინებდა (განგება, განდობა, განჭვრეტა, განვრცობა, განთქმა, და სხვა) გასარკვევია. შემთხვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სწორედ გელათში ძველად ასტრონომიის სასწავლებლის დაარსებაც. ჩემი აზრით, ასტრონომიული ვიზუალური დაკვირვებების გარდა „განმჭვრეტითი“ სამსახურების არსებობაც გასათვალისწინებელია.

მემარგეთა სამსახური დღეს თითქმის გაფერმკრთალებულია და დავიწყებულია. ქართული ენის კოსმოლოგიური ლექსიკის მდიდარი მონაცემები, სიმბოლოები, რიტუალები არის მხოლოდ ერთადერთი მტკიცებულება, რომ საქმე გვაქვს უძველეს ხალხთა, რჩეულთა განსაკუთრებულ ნიჭზე და უნარზე.

სამხრეთ საქართველოს ადგილებში ქვის სვეტებზე „მენჰირებზე“ ზოგან გამოსახულებები გვხვდება, რასაც ადგილობრივი წარმოდგენების კვალი ეტყობა – ვერძი, ხარი, ფრინველი და სხვა. გამოსახულება, ჩანს, დამხმარე საშუალება იყო რიტუალისთვის. ძველი ხალხი ასეთ ქვასვეტებთან „ღამეთენებებს“ აწყობდა და ვარსკვლავებზეც ხდებოდა დაკვირვებები. ქართული სიტყვა „თქვა“ და „წარმოთქვა“ სწორედ ქვასვეტებთან სარიტუალოდ მდგომი ძველი ქურუმი ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას უკავშირდება, სადაც „ქვა“ ფიქსირდება, ჩემი აზრით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თქმის ადგილი ასევე ქვის ჩადგმით აღინიშნებოდა, „ნათქვამი“ სიტყვა აქედან შემორჩა. ქვასთან ლოცვა-სიმღერებს ჰქონდა „ექო“.

„ქვაჭორტი“ ანუ ზეცად საჭვრეტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გამოცდილი სპეციალისტებისთვის. {2}. წელიწადის შერჩეულ დროს „მზებუდობას“ ან „ბუნიობას“ ხდებოდა ქვაჭორტების სიახლოვეს კავშირი „ზეცასთან“. ჩვეულებრივი ხალხი შესაწირით მიეახლებოდა ხოლმე ასეთ ობიექტს და სამაგიეროდ იღებდა „მემარგეთა“ ცნობებს მომავალი მოვლენების შესახებ. ერთგვარი წინასწარმეტყველებები შეიძლება მართლა ყოფილიყო და ამას აფიქსირებდნენ, ამით თავის განწყობას გამოხატავდნენ ობიექტის მიმართ და თავისი ენით ამა თუ იმ მოვლენის ვიზუალურ გამოსახვასაც ახდენდნენ. ასე ჩნდებოდა ქართული დარბაზის დედა ბოძებზე, სალოცავებზე, პურის კიდობნებზე, მერხებზე, ტალავარზე, იარაღზე, სხვადასხვა კოსმოლოგიური ფიგურები. აპოტროფული ანუ დამცველი სიმბოლო ოჯახის მფარველ და ბარაქის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ქართული კოსმოლოგიური სიმბოლო-ორნამენტების მყარი ტრადიციები ქრისტიანულ კულტურაშიც კი გადმოვიდა და დღემდე გრძელდება.

„განჭვრეტა“, შორს ხედვა და ამავე დროს ფართოდ ხედვაა, რასაც თავისებური წარმოდგენები სდევდა.

„კულა“ – ქვის სვეტს, იგივე დედაბოძს – რომელსაც ახლა ზოგჯერ მენჰირებსაც უწოდებენ და ისტორიულ არტეფაქტებად რჩები-

ან (სოფ. ძველი ხიბულა). მსგავს უძველეს ობიექტებს გაფრთხილება, საგანგებო მუზეუმში მოთავსება და დაცვა ჭირდება.

ერთ-ერთი ასეთი მენჰირი, იგივე უძველესი კოლხური „კულა“ – ქვის სვეტი, დავაფიქსირეთ სოფ. ხიბულაში, კერძოდ სახლის ეზოში. ქვის სვეტს თავზე მბრუნავი ჯვარი, მზის სიმბოლო აქვს ამოჭრილი (სვასტიკა) და ვფიქრობთ, ქვა სპეციალურ მუზეუმშია დასაცავი. ხიბულაში არსებული ქვის სვეტები, როგორც ჩანს, საგანგებო რიტუალისთვის გამოიყენებოდა. ასეთი „კულა“ ქვის სვეტებისგან მომდინარეობდა უძველესი „კოლხეთის“ (კულხა) სახელწოდებაც, ჩემი აზრით. ძველი ტოპონიმები, ძირითადად, საღვთო წარმოდგენებიდან მომდინარეობდა და საეროში მკვიდრდებოდა. ქვის სვეტები, რომლებზეც ნიშან-სიმბოლო არის ამოკვეთილი, თავისი შინაარსით წინარექრისტიანული ხანისაა და ჩანს კოსმოლოგიური დანიშულებისაა.

ეთნოგრაფიულად საინტერესოა ჩანაწერები ძველი ხალხის გამოცდილების შესახებ მიწისძვრებთან დაკავშირებით. „მემარგე“ სპეციალისტი იყო სწორედ ასეთი დამკვირვებელი, მზეზე, მთვარეზე, ვარკვლავებზე და წყალზე. წყალზე დაკვირვება ხდებოდა სპეციალურად, საგანგებოდ შერჩეულ მთის სამხრეთის კალთიდან გამომდინარე წყაროს წყალზე. „წყაროს წყალს სწონიდენ ყოველდღე გრამობით და იგებდიან მიწისძვრის წინა ხანას. წყლის ფერის ცვლასაც ამჩნევდეს მთვარის შუქზე“ (ხუცესი გაბრიელ ჭინჭარაული 2001 წ. კისტანი 14 აგვისტო. პირიქითა ხევსურეთი). დაახლოებით ასეთივე ინფორმაცია ჩავიწერეთ უფრო ადრე მ. თოიძის სახ. ტექნ. სასწავლებლში, წარმოშობით სვანი პედაგოგისგან, ვასილ საღლიანის გადმოცემით. „ხალდეველთა ცოდნა ვარსკვლავებზე დაკვირვება იყო და მთვარის შუქზე წყაროს წყალს აკვირდებოდნენ და იგებდნენ მოსალოდნელ მიწისძვრებს.“ 1981 წ.).

ეთნოგრაფიულ ყოფაში საინტერესო მომენტია, სპირალური (ქართულად – ხვეულა) გამომსახველობა და ასევე რიტუალის დროს სპირალური მოძრაობა. სპირალი კოსმოლოგიური მოძრაობის სიმბოლოა და რიტუალში სიმბოლურად გაგზავნისთვის გამოიყენებოდა (სარიტუალო დროშის მოძრაობა მარჯვნიდან მარცხნივ მლოცვე-

ლებთან ერთად, ასევე „სულის ტაბლაზე“ სასმისიანი ხელის სუფრის თავზე ხვეულად მოძრაობა), რომელიც სხვა განზომილებისკენ გაგზავნას მიუთითებდა. ასეთი ხვეული მოძრაობები „კვრივებთანაც“ (საკრალური, დაცული ადგილი) დაფიქსირებულია და გამორიცხული არაა „ქვაჭორტებთანაც“ ანალოგიური წესები სრულდებოდა. განწყობა იქმნებოდა განსაკუთრებულ დროსა და გარემოში. გეოგრაფიული გარემო და ადამიანთა განწყობა უმთავრესი იყო.

„განჭვრეტა“, „შთაგონება“, „შთანერგვა“, „განსაჭვრეტი“ – ასეთი სიტყვები სწორედ უძველეს ქურუმთა გარკვეული საგანგებო მდგომარეობის მახასიათებელი სიტყვებია. სიტყვები დღეს მხატვრულ გამონათქმად რჩებიან, მაგრამ აშკარად ძველად, სულ სხვა სიღრმისეული ფუნქცია ჰქონდათ.

ქართული ენა დიდ ინფორმაციას ინახავს. მხოლოდ ქართულ ენაშია ცის სახელთან დაკავშირებული: ცნობიერება, ცოდნა, მეცნიერი, ცნება (ქართულიდან ჩანს აღებული რუსული – „ნებო“ – ცა), შემეცნება, ცნობა, საცნობი, შეუცნობელი, უცნობი და სხვა. არც ერთ სხვა ცოცხალ ან მკვდარ ენაში არსად არ ფიქსირდება ასეთი დამთხვევა და ვფიქრობთ, ეს არაა შემთხვევით. ასეთ საკითხს უფრო სიღრმისეულად უნდა ენებში კვლევა.

ამრიგად, მემარგეთა ცოდნის ნაკვალევი ენებში, დეკორატიულ გამომსახველობაში და სპეციალურ რიტუალებში დღემდეა მოღწეული, ყველა ასეთ გამოვლინებას კოსმოლოგიური ხასიათი აქვს. აუცილებელია შესწავლილ იქნას სხვა წინაინდოევროპული ენების მატარებელ ხალხთა ძველი ინფორმაცია არქეოასტრონომიაზე, მათ ენებში შენახულ ზეციურ მითიურ გამომსახველობაზე. ასეთი ენებია ბასკური, ინგუშური, დიდოური ჩეჩნური. ამ ენების ამ მიმართულებით კვლევა არავის ჩაუტარებია და არავის შეუდარებია ერთმანეთისთვის.

ლინგვისტიკაში ასეთი კვლევა და შედარებები აუცილებელია, ახალ ცოდნას გახსნის და მსოფლიოს ძველი ხალხის კოსმოლოგიურ წარმოდგენებს წარმოაჩენს.

მადლობა ეკუთვნით ქართველ ძველ ეთნოგრაფებს, მათ ჩანაწე-

რებს, რამაც დღემდე მოაღწია (ს. ბედუკაძე, გ. ჩიტაია, ხ. მამისიმედ-აშვილი, ვ. ბარდაველიძე, ირ. სურგულაძე) და რამდენიმე გვიან მოღ-წეული ხევსურ, ფშაველ ხუცესთა ჩანაწერები (გიორგი ლიქოკელი,. ლიქოკის ხეობა, გადუა არაბული, გუდანის ჯვარსალოცავის ხუცე-სი, გაბრიელ ჭინჭარაული, კისტანის ხუცესი, ალუდაურ გიგაური. ბლოს ხუცესი, გოგი ალუდაური, ხახმატის ხუცესი, პეტრე გოგოჭუ-რი, ატაბე ხუცესი, ხვთისო პატარაშვილი. ცაბაურთის ხევისბერი, ფილიპე ბაღიაური გოგოლაურთის ხევისბერი. 1960 — 2001 წ.წ.) რომელთა ინფორმაციის ნაწილი მოცემულ წიგნში, სხვადასხვა თავ-ში წარმოგიდგინეთ და გაგაცანით.

ლიტერატურა

1. სამხრეთ კავკასიიის მეგალითური ძეგლების ერთი ნაწილის შესწავ-ლისათვის 2016 ავტ. გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი
2. Astronomical Significance of Ancient Monuments. Irakli Simonia. 2017
3. საქართველოს ძველი ასტრონომიის კულტურული კონტექსტი. სადოქ-ტორო thesis, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯიჯელავა ბადრი (2016)
4. Simonia, I., Jijelava, B., Gigauri, G., Houston, G. L. Observational and Cult Sites in Pre-Christian Georgia. Handbook of Archaeoastronomy and Ethnoastron-omy, ISBN 978-1-4614-6140-1. Springer Science+Business Media New York, 2015, p. 1461 – 1467.

რა მოხდა ბრაზილიაში 1977 წელს (დაფარული უფრო დაიფარება)

კაცობრიობის ისტორიაში ბევრი საინტერესო მოვლენა მომხდარა, რომლის ახსნა ბოლომდე შეუძლებელია. სიცოცხლის ფორმები, მოვლენები ზოგჯერ მოულოდნელობას გვთავაზობს. რაიმე რთულად ასახსნელ ფაქტებს ბუნებაში, ვხსნით იმ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც მოგვცა წინაპართა ხსოვნამ ანუ ემპირიულ ცოდნას ვეყრდნობით.

ძველად იყო გადმოცემები და ჩანაწერები, ხოლო დღეს ფოტო მტკიცებულებები, ვიდეო ფიქსაცია, რაც კვლევას ეხმარება და სამეცნიერო მუშობისათვის აუცილებელია. ემპირიული კვლევა, ჩანაწერები აუცილებელია რაიმე რთულად ასახსნელი მოვლენის შესახებ. თუ რატომ უნდა მომხდარიყო მოვლენა, ან რა ედო საფუძვლად, ან რა გარემო ზემოქმედება იყო. პოზიტიური განწყობით და ჰუმანური მიდგომით უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება, როცა ცხოვრებისეული რაიმე აუხსნელი მოვლენა ხდება ადამიანთა გარემოში. ადამიანის გონებისთვის რთულად გასაგები შემთხვევა შეიძლება, გარეგნულად მარტივი ჩანდეს, სინამდვილეში კი სამყაროსგან დიდი მნიშვნელობის გამოვლინება იყოს. რაც მეტი იქნება სწორი კვლევა და დაინტერსება, უფრო მეტი აზრი შეიქმნება და უფრო „ახსნადი“ გახდება ყველასთვის. დაფარული და მიჩუმათებული საზოგადოდ უფრო მეტად საფიქრალი და რთულად ასახსნელია. „დაფარული უფრო დაიფარება“ – ძველ ფილოსოფოსთა სიტყვებია. ინტერდისციპლინური კვლევა დღეს სამეცნიერო კვლევებისთვის აუცილებელია. რაც უფრო დეტალურია კვლევა პროფესიული მიმართულებით, მით უფრო შესაძლებელი ხდება სწორის დასკვნების გამოტანა. ასევე აუცილებელია, როცა საქმე, ბუნებისა და კოსმიურ მოვლენებს, ადამიანთა სიცოცხლეს ეხება.

რაზეც არ უნდა ვისაუბროთ, თემა სამეცნიერო და საზოგადოებრივად საინტერესოა. ეს თემა ჩანს, უხსოვარი დროიდან იყო ადამი-

ანთა ცხოვრებაში, დღემდე მოდის და მომავალშიც მოგვიწევს ამაზე დაკვირვება. მაგ. ბრაზილიაში რაც მოხდა, იმდენად განსაკუთრებულია, რომ იგი 3 ათეულ წელზე მეტია დახურულ თემად ითვლებოდა. 1990 წელს და მერე 2004 წლის გაზაფხულზე კიდევ გამოვიდა ინფორმაცია საჯაროდ.

საკითხი ეხება ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს და მათ მოქმედებებს. 1977 წლის ბრაზილიის შემთხვევა იმნდენად საინტერესო იყო, რომ მის კვლევაში მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტებიც ჩაერთვნენ. ბრაზილიის სოფ. კოლარესის შემთხვევა სრულიად უნიკალურია (პარას შტატი) და ანალოგი არ აქვს. მომხდარის შესახებ ინფორმაცია დახურული იყო და მოგვიანებით გაიხსნა. ამაზე ათასნაირი აზრი გამოითქვა და ბევრი არასწორი კვლევაც ჩატარდა.

შემთხვევა მოხდა 1977 წლის ოქტომბერში და ნოემბერში, დეკემბერშიც განმეორდა, მაგრამ ოქტომბრის შემდეგ მსხვერპლი არ მოჰყოლია. 1987 წლამდე იყო შემთხვევები. ადგილზე მსოფლიოს ქვეყნებიდან ჩასულმა სპეციალისტებმა, მათ შორის, ნასას ორგანიზაციდან ჩასულებმა, ვერ წარმოადგინეს ერთნაირი დასკვნა. მას შემდეგ, რაც ინფორმაციია გაიხსნა და რაც საჯაროდ დევს, იქიდან გამოდინარე, რამდენიმე მიმართულებით იქცევს ყურადღებას.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. მსოფლიოს უდიდესი წყალუხვი მდინარის ამაზონის და ატლანტიკის ოკეანის შესართავთან, ქ. ბელუმის ჩრდილოეთით. მდინარე ამაზონის დელტის კუნძული სოფ. კოლარესის ტერიტორიაა. კუნძულზე სხვა სოფლებიც არსებობს და სოფ. კოლარესი კუნძულის ჩრდილოეთით, შუა ადგილას მდებარეობს. ამაზონის წყლის ნაპირზე, სოფ. კოლარესში 1977 წლის მონაცემებით 450 მაცხოვრებელი იყო. სოფელი სანაპიროსთან მდებარეობს და წინ პატარა წყალში გასული ნახევრადმომრგვალებული მწვანე ნაპირი აქვს. სოფლის მოსახლეობა მეთევზეებისა და მებადურებისაგან შედგება (მუნიციპალიტეტი კოლარესი). ძირითადად პატარა ხის სახლებია, ერთი კათოლიკური ეკლესია, მუნიციპალიტეტის შენობა, მაღაზ-

იები, სტადიონი, სათბურები და საცავები. სოფ. კოლარესის მაცხოვრებლები თევზაობაში ბავშვობიდანვე არიან დახელოვნებულნი. ზღვის და ოკეანის მცოდნენი, ადგილობრივი ბუნების, წყლის სანაპიროს ბინადარნი.

მომხდარი ამბის შემდეგ აქ სხვადასხვა დაინტერესებული სპეციალისტი ჩავიდა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს უკვე აღარ სიამოვნებთ შემთხვევის გახსენება. ჩვენ იმ ინფორმაციის მიხედვით მოგვიწევს მსჯელობა, რაც საჯაროდაა გამოტანილი. გვინდა ჩვენი მცირედი კვლევაც შევიტანოთ სხვადასხვა მკვლევართა კვალდაკვალ.

სოფელ კოლარესის ტერიტორიაზე და წყლის მთელ სანაპიროზე მოხდა მფრინავი ამოუცნობი ობიექტების თავდასხმა, ასეთი დასკვნა დევს ოფიციალურად ბრაზილიის კუნძულის შესახებ.

ამაზონისა და ატლანტიკის წყლის შესართავი სავსეა ენდემური ჯიშის ფლორით და ფაუნით, იშვიათი ადგილობრივი თევზებით. ამაზონის წყალში ბევრი თევზია, მტაცებელი პირანიები, არაპაემა (დიდი თევზია), ალიგატორები, გველთევზები, რომელთაც 500-600 ვოლტი სიძლიერის დენის რეცეპტორები აქვთ სხეულზე. სანაპიროზე ხშირად არის თავსხმა წვიმები, ქარიშხალი და მეხის ჩამოვარდნა. სოფლის ტერიტორიაზე მოხდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტებისგან თავდასხმა საღამო ხანს 20 ოქტომბერს. ადგილობრივების ინფორმაციით იყო რამდენიმე მსხვერპლი, დამწვრობები. სისხლიანი ჭრილობები, თავბრუსხვევა, გონების დაბინდვა და ფსიქოლოგიური პრობლემები, დამწვარი სახლების კედლები, სახურავები, ნავები, ბადეები, სანაპიროს ადგილები და წყალში თევზებიც კი. თავდასხმა გაგრძელდა 20 დან 35 წუთამდე. თავდასხმა შეწყდა საპოლიციო და სამხედრო საავიაციო დანაყოფის მოსვლის შემდეგ. ოპერაცია „ბრუტო“ ასე ეწოდა ადგილობრივ სამხედროთა ჩარევას სოფელ კოლარესში უცნობი ობიექტებისგან თავდასხმის „აღკვეთას“. იმ დროს მოხდა გამოკვლევა და გაკეთდა ბევრი ჩანაწერი, მომხდარის ამსახველი ფოტოგადაღება, ჩანახაზები, ექიმების ჩანაწერები. აქედან დაზარა-

ლებულთა უმეტესობა გადაყვანილი იქნა ქ. ბელუმის სამედიცინო ცენტრებში. გამოიკითხა 300-ზე მეტი ადგილობრივი თვითმხილველი. არსებობს ადგილობრივი ექიმის ველაიდე კარვალიოს ჩანაწერები დაზარალებულთა და ავადმყოფთა შესახებ. აღებული ინფორმაცია იმდენად უცნაური და განსაკუთრებულია, რომ შემდგომ 1990 წლებში მოხდა ზოგიერთი გარდაცვლილის გვამის ეგზგუმაცია და ხელახლა კვლევის ჩატარება. ერთნაირი აზრი არ არსებობს. მომხდარი გაურკვეველია მეცნიერებისთვის, უფოლოგებისთვის, სამედიცინო სპეციალისტებისთვის ა.შ.

ამოუცნობი მფრინავი ობიექტები იყვნენ სხვადასხვა ზომისა და ფორმის: მრგვალი, ცილინდრული, მოგრძო ფორმის, გამოსცემდნენ ფერად სხვებს: თეთრი, ცისფერი, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი. სხივი იყო გაშლილად და წვრილ სვეტად წამოსულნი. შუქის „სვეტის“ სისქე დაახლოებით 20 სმ. ზომის იყო. თავდასხმა მოხდა უეცრად, ციდან წამოსული სხივებით. საღამო ხანს სახლებისა და სანაპიროს თავზე დაიწყეს მოძრაობა ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტებმა და სხივებით თავდასხმა. ადამიანებს დამწვრობები წვრილი წერტილების სახით ჰქონდათ. დამწვრობები დღემდე შემორჩათ (ვინც ცოცხალი გადარჩა). სხივები ეცემოდათ ზედა ტანზე. სხივები შემოდიოდა სახლებში სახურავებიდან, კედლებიდან, სარკმელებიდან. სხივები ეცემოდა სათევზაო ბადეებს, ნავებს. სანაპიროს გასწვრივ წყალში. ამოუცნობი მფრინავი ობიექტები ჩადიოდნენ წყალში და იქაც უშვებდნენ ფერად სხივებს, შუქს. ობიექტები იყვენ 30 – 40 მეტრის ზომის და ხეების სიმაღლეზე მოძრაობდნენ უხმაუროდ. მათი შეფერილობა იყო ნაცრისფერი ან რუხი. ზოგჯერ გადაადგილდებოდნენ წრიულად, ზოგჯერ ნელა და ზოგჯერ სწრაფად. ზოგიერთი წყალში ჩადიოდა და უჩინარდებოდა. ხალხში გამოიწვია პანიკა და არეულობა. ფსიქოლოგიური პრობლემები, გონების და მეხსიერების დაბინდვა. შიში დღემდეა ადგილობრივებში. ჭრილობები ზოგჯერ იყო გამჭოლი. შეიქმნა აზრი, რომ რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდნენ მოსა ხლეობაში ან სანაპიროს წყალში. თვითმხილვევთა გამოკითხვის

ჩანაწერები ფანტასტიკის სფეროს სცდება. თითქოს ნახეს ამოუცნობი მფრინავი ობიექტიდან გადმოსული ადამიანის მსგავსი დაბალი ფიგურა, რომელიც სათევზაო ბადეებს ათვალიერებდა.

ყვითელი ან ნარინჯისფერი შუქი წყალში შენიშნეს იმ შემთხვევის შემდეგაც. ნასადან ჩასულმა სპეციალისტებმა რადიაციის კვალი ვერ აღმოაჩინეს. ადამიანებში სხვა რაიმე ჯანმრთელობის და იმუნური დარღვევა არ დაფიქსირებულა. ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ დაფიქსირდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების გამოჩენა ტერიტორიაზე, თავდასხმა აღარ განმეორებულა. ამ შემთხვევის შემდეგ უმეტესობამ დასახლება დატოვა, თუმცა მოგვიანებით ისევ მობრუნდნენ. გამოკითხულთა უმეტესობა მომხდარი მოვლენის შიშით იყო და იმის შიშით, რომ „არ განმეორებულიყო“. ადგილობრივებიდან ზოგმა ჩათვალა დემონების შემოსევად, ხოლო ზოგის აზრით „უფლის სასჯელი“იყო მორწმუნე ადამიანების აზრით. ეკლესიაზე არ მომხდარა თავდასხმა და ადგილობრივი კათოლიკე პადრეს ჩანაწერებიც არსებობს: „ფერადი სხივებით თითქოს სხეულიდან სისხლს იღებდნენ“. ზოგმა ადგილობრივი ენით „ჩუპა ჩუპი“ (სისხლის გამოწოვა) დაარქვა. სხეულებზე წვრილი დასხივების წერტილები გაურკვეველი წარმომავლობის იყო. მთელი გამოკითხვის ჩანაწერებიდან, რაც საჯაროდ დევს, თითქოს ბოლომდეა კვლევა ჩატარებული, მაგრამ არსად არა ჩანს ბაქტერიოლოგიური კვლევა, ბიოლოგიური კვლევა, ასტრობიოლოგიური კვლევა, ეთნოგრაფების კვლევა, სანაპიროს წყლის მოლეკულური კვლევა, ნიადაგის მოკვლევა, რაც უმთავრესია ტერიტორიაზე.

რა უძღოდა წინ ამ შემთხვევას? სანაპიროზე და სოფელში რა მოხდა თავდასხმის წინ და რას მოჰყვა თავდასხმა? ან რა ცვლილება მოხდა შემდეგ ტერიტორიაზე? ადამიანებში რა ტრადიციებია წყალთან მიმართებით და სხვა. თავდასხმა რამ გამოიწვია? ეს ყველაზე უმთავრესია. ჩანს, რომ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს თავდასხმა შემთხვევით არ მოუწყვიათ. მათ თავისუფლად შეუძლიათ უხილავ, სხვა განზომილებაში გადასვლა და გადმოსვლა. მათთვის არანაირი

პრობლემა არაა უხმაუროდ და უსწრაფესად გადაადგილება ჰაერში, წყალში და კოსმოსში. ჩემი აზრით, მათი გადაადგილება სხვა ადგილიდან „იმართება“ და კოსმიური გონის მითითებით ხდება. მათი მოძრაობა უხილავი მატერიის და უხილავი ენერგიის ძალით ხდება. „ტექნოლოგია“, ჩვენი გაგებით, მათ საერთოდ არც სჭირდებათ, რადგან „ნება“ სხვა განზომილებაშია.

ბრაზილიაში ადგილზე ჩასული ამერიკელი და ევროპელი სპეციალისტები იყვნენ: კრიმინალისტები, ექიმები, უფოლოგები, რადიაციის აღმწერი, ფსიქოლოგები, ქიმიკოსები, სხვადასხვა ექსტრასენსები, მკითხავები და ა.შ.

საკითხი არასრულყოფილადაა გამოძიებული, ან წარმოდგენილი. საჯარო მასალა არაა ბოლომდე ღიად. ამოუცნობი მფრინავი ობიექტები დედამიწის სხვადასხვა ადგილას ჩნდებიან, მაგრამ თავდასხმა არასდროს მომხდარა ისტორიაში. პირიქით, ისინი ჩნდებიან ადამიანებთან ვიზუალურ კონტაქტში გამაფრთხილებელ კონტექსტში. ბუნებრივი კატაკლიზმების დროს ან მანამდე.

ცივი ომის დროს და ფიქსირებულია ატომური დიდი რაკეტების სამართავ პულტებთან, თითქოს გამაფრთხილებელი „ჟესტი“. ასეთი „ჟესტი“ დაფიქსირებულია როგორც ამერიკის მხარეს, ისე საბჭოთა მხარეს, ძირითადად, სამართავ პულტებთან. ადამიანების მხრიდან მათზე თავდასხმის ან აგრესიის გამოვლენის დროსაც კი არასდროს ყოფილა თავდასხმის ფაქტები. გარიდების შემთხვევები ხშირია. არსად არ გამოვლენილა მათი მხრიდან აგრესია.

რატომ მოხდა ბრაზილიაში სოფ. კოლარესში ასეთი თავდასხმა? სამხედრო ავიაციის მოსვლის შემდეგ მოხდა განრიდება უცხოებისგან, რადგან მსხვერპლს მოერიდნენ ან დაასრულეს მოქმედება. რატომ უწოდეს ადგილობრივებმა „უფლის სასჯელი“ და რას გულისხმობდნენ? ალბათ, რაღაც დაირღვა გარემოში ადგილობრივად, რა ფუნდამენტურ დარღვევას ჰქონდა ადგილი? ბიოლოგიური მოკლვევა რატომ არაა ჩატარებული?

მოვლენა, აშკარად წყალს და წყალთან კონტაქტში მყოფ ადამი-

ანებს უკავშირდება. ამაზონის წყალუხვი მდინარე ერთვება ატლანტიკის ოკეანის წყალს და აქ ბევრი ენდემური ჯიშის თაევზია.

შესაძლებელია არეულ წყალში რაიმე მუტაცია მიმდინარეობდა და ეს იქნა აღკვეთილი. მეთევზეებს კი ჰქონდათ ინფორმაცია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდასხმა მოხდა ტერიტორიაზე და ადამიანები მოჰყვნენ ამ თავდასხმაში. ადგილზე ბაქტერიოლოგიური კვლევა თუ ჩატარდა და რა ცვლილება იქნა შემჩნეული? ანუ კითხვები ბევრია. თევზს საკვებად იღებენ ადგილობრივები და იმ დროს რა მოხდა ადგილობრივ ადამიანთა ორგანიზმში? ადამიანებს ზედა ტანზე ჰქონდათ დამწვრობები გამჭოლი ჭრილობით.

ოკეანეთა ფსკერის ბინადართა სრული აღწერილობა ჯერ არაა ბოლომდე და არც ამაზონის წყლის ბინადართა აღწერა არსებობს სრულად. შეიძლება აღკვეთილი იქნა რაღაც უცხო მუტაციური არსების საკვებად მიღება და ამაზე კონტროლი მიდის. მითოლოგიაში, რწმენაში და წარმოდგენაში „გუშაგნი“ ან „ზეცრიელნი“ ჰქვია ასეთ არსებათა ობიექტების გამოვლინებას და ხალხში დიდი რიდი არსებობს.

ბრაზილიის სოფ. კოლარესის მაცხოვრებლებს დღემდე არ სურთ საუბარი ასეთ თემაზე, მიუხედავად შემთხვევისა, ცხოვრების რეჟიმი გაგრძელდა და გრძელდება კუნძულის ტერიტორიაზე.

საპოლიციო და სამხედრო დანაყოფების არქივში ინახება იმ მოვლენის ამსახველი ჩანაწერები, ჩანახაზები და ფოტო მასალები.

ვფიქრობ, საჯაროდ გამოტანილი მასალა სანახევროა და უმეტესობა ჯერ კიდევ დაფარულია (დაფარული უნდა გაცხადდეს). მომავალი სწორი კვლევები კიდევ გახსნის ასეთ შემთხვევებს და მეტი ინფორმაცია წარმოჩნდება სამეცნიერო დაკვირვებით. რა მოვლენა უსწრებდა წინ და მომხდარის შემდეგ რა გამოვლინებები იყო? უცნობი მოვლენის ამოცნობა შეიძლება მიზეზ შედეგობრივი კვლევით, ბიოლოგიური მასალის კვლევით და სხვა.

ბევრი იფიქრებს, რომ რაღაც მოეჩვენა ადგილობრივ ხალხს და

შეცდომაში შეიყვანეს ადგილობრივი პოლიცია და სამხედრო ნაწილები. ვისაც არ უნახია ასეთი ფაქტი, იმათთვის ძნელია რაიმეთი დამაჯერებელი იყოს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, როცა ამდენი ვიზუალური შემთხვევაა დაფიქსირებული მსოფლიოში: ჰაერში, ოკეანეში, კოსმოსში. ვფიქრობთ, საკმაოდ სერიოზული საკითხია და საერთოდ, სიცოცხლის წარმოშობისა და განსაკუთრებულობის შესახებ სხვა აზრი დიდი ხანია არსებობს მეცნიერებში.

ასეთი შემთხვევები გვაჩვენებს, რომ სამყაროში ჩვენს გარდა კიდევ არსებობს სხვაც და ეს სხვაც ადამიანთა სიცოცხლის ხაზს წარმოაჩენს. სიცოცხლის მნიშვნელობა მარტო ჩვენთვის კი არა, მნიშვნელოვანი ჩანს დედამიწისთვის და დედამიწის გარეთ მყოფთათვის, ასევე ყურადღების ქვეშაა. სამყარო, კოსმოსი სავსეა გონიერებით და ადამიანი თავისი ცხოვრებით უდიდეს როლს ასრულებს, პასუხისმგებლობას იღებს, გარემოს მიმართ. ადამიანის სიცოცხლე მომავალში უფრო დიდი მისიის შესასრულებლად, კოსმიური სამსახურისთვის გარდაქმნას მიესწრაფვის. ჩვენი შეხედულება სამყაროს და კოსმოსის მიმართ წარმოაჩენს ჩვენს ეთიკას და კულტურას კოსმიური გონის მიმართ.

საერთოდ, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის ახლებური ვერსია, პანსტერმია (სიცოცხლის უჯრედის შემოტანა კოსმოსიდან) უფ რო და უფრო მყარდება. საინტერესოა, რომ თუკი ეს ვერსია საფუძვლიანია, მაშინ კოსმოსში სხვაგანაც არსებობს სიცოცხლის ფორმა და ცოცხალი უჯრედი. მიზანმიმართულობა და კოსმიური გონის არსებობა მისი „ნებელობა“ ასევე თანდათან მკვიდრდება კვლევებში.

პანსტერმია – სიცოცხლის უჯრედი კოსმოსიდან შემოვიდა. სტრატოსფეროში ფიქსირდება ცოცხალი მიკროორგანიზმების დაფიქსირების ფაქტები. მეტეორიტების საშუალებით კოსმოსიდან შემოსულია დედამიწის ატმოსფეროში ცოცხალი უჯრედი.

კითხვა: კოსმოსში საიდან გაჩნდა ასეთი ბაქტერია ორი ახსნა აქვს.

1. კოსმოსში არსებობს „დაცული ადგილი“, სადაც არის ასეთი

ცოცხალი ნივთიერების საცავი და პერიოდულად იფანტება კოსმოსში.

2. უფრო უდიდესი მოვლენის ნაშთებია. კოსმოსი რამდენჯერმე „გარდაიცვალა და დაიბადა“. არსებობდა ცოცხალი ფორმები და მათი ნაშთებით სავსეა კოსმოსი. მეტეორიტებს გადააქვთ ეს ნაშთები და სიცოცხლისთვის გამოსადეგ ადგილებში ხდება მისი ხელმეორედ აღმოცენება.

საერთოდ დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის ახლებური ვერსია, პანსტერმია (სიცოცხლის უჯრედის შემოტანა კოსმოსიდან) უფრო და უფრო მყარდება აზრი. საინტერესოა, რომ თუკი ეს ვერსია საფუძვლიანია, მაშინ კოსმოსში სხვაგანაც არსებობს სიცოცხლის ფორმა და ცოვხალი უჯრედი. მიზანმიმართულობა და კოსმიური გონის არსებობა მისი „ნებელობა“ ასევე თანდათან მკვიდრდება კვლევებში.

Colares, Brazil UFO Invasion 1977 „Operation Saucer“

Colares UFO Flap Summary: The Colares flap refers to an outbreak of UFO sightings that occurred in 1977 on the Brazilian island...

ხვამლის მთა და ვარსკვლავებზე დაკვირვების ტრადიციები

ძველი ხალხის კულტურაში ბევრგან ჩანს მზეზე, მთვარეზე, ვარსკვლავებზე დაკვირვების შესახებ გადმოცემები და მატერიალური კულტურის ძეგლებიც.

დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში, ამერიკის კონტინენტზე, წინა აზიაში, ახლო ამოსავლეთში და კავკასიაში. კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ძველი დროიდან ინტერესდებოდნენ ასტრონომიით და ბევრგან შემორჩენილია მატერიალური კულტურის ძეგლები: დიდი აბული, სამცხე ჯავახეთის მენჰირები, საქართველოს მთიანეთის „მზის ბუდენი“ და სხვა. დროის, სეზონის და დღემეტობის გამოთვლა აუცილებელი იყო ძველ დროს და ამისთვის „მემარგეს“ ინსტიტუტი არსებობდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ეთნოგრაფ სარა ბედუკაძესა და გიორგი ჩიტაიას კვლევებში გვხვდება ასეთ საკითხებზე ინფორმაცია. გამოცემულია ბატონ ბადრი ჯიჯელავას წიგნი, „საქართველოს ძველი ასტრონომიის კულტურული კონტექსტი“.

ამ მხრივ, მატერიალური კულტურის ძეგლები საინტერესოა და მათ პარალელურად ქართულ ენაში სხვადასხვა სახელწოდებების არსებობა კიდევ უფრო მრავალფეროვანსა დამრავლმხრივს ხდის ამ ძეგლების კვლევვას. ენობრივი მონაცემები, ძეგლები და ეთნოგრაფიული წესები, ყველფერი ურთიერთკავშირშია.

თქვენი ყურადღება ყველასთვის ნაცნობ თემას, ხვამლის მთას მსურს მივაპყრო. მის შესახებ ბევრი წარმოდგენა ისტორიის შუა საუკუნეების პერიოდს უკავშირდება.

ხვამლის მთიდან დასანახი ტერიტორიის, ცნობილ გელათის ტაძართან ასტრონომიის სასწავლებლის შესახებ მინდა გავამახვილო ყურადღება. ხვამლის მთა ვარსკვლავებზე დასაკვირვებელი ტერიტორია იყო და სახელწოდებაც „ხომლი“ ვარსკვლავთა კრებულია (ს. საბა). რა დაკვირვება წარმოებდა და რა სახელწოდებებია ქარ-

თულ ენაში ამასთან მიმსგავსებული. მაღალი მთა საქართველოში სხვაგანაც არის, მაგრამ ხვამლის მთა სხვა ფორმითაც იქცევს ყურადღებას. ამ მთის შესახებ ბერძნულ მითოლოგიაშიც ფიქსირდება ინფორმაცია, პრომეთეს მიჯაჭვის ადგილი. ჩვენთვის ამჯერად ყველაზე მნიშვნელოვანია მთის ზედაპირი, იქ არსებული წრიული ნაგებობის ნაშთი და ქვის წყობაში „კარების“ აზიმუტით განსაზღვრის მონაცემები და დაკვირვების შთაბეჭდილება.

სამწუხაროდ, ხვამლის მთაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოების შემდეგ ბევრ ადგილას უძველესი ქვის წყობა მოიშალა, არქეოლოგიური არტეფაქტების ნაწილი გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა (შავი არქეოლოგია). ხვამლის მთაზე არანაირი სამარხი არ აღმოჩენილა და საიდან აღმოჩნდა იქ ძველი სამკაულები?

ზოგიერთი მათგანი წინარექრისტიანული დროისაა და მიწაში მიზანმიმარტულად აღმოჩნდა (სარიტუალოდ შეწირული სამკაულები ადგილის დედის მიმართ). ხვამლის მთაზე „წმიდა გიორგის“ სახელობის ძველი ეკლესია მდგარა და დღესაც დგას. ტერიტორია საინტერესოა და ჩანს, რომ აქ ძველ დროს სამლოცველო იდგა. წინარექრისტიანული პერიოდიდან ხვამლის მთის ზეგანი გამოიყენებოდა ზეციური ანუ ასტრონომიული დაკვირვებისთვის. წრიული (არა ნახევარწრიული) ნაგებობის ნაშთების ნაწილი დღემდე ფიქსირდება და ეტყობა საკრალური ადგილის მოსანიშნი ტერიტორია იყო. ქართულ ენაში ფიქსირდება სიტყვა „ხომალდი“, რომელზედაც გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ. ვარსკვლავთკრებული „ხომლი“, ხვამლის მთა და ხომალდი ურთიერთკავშირში ჩანს. ქართულად ხომალდი დღეს წყალზე მოძრავ, მცურავ ობიექტს ეწოდება, მაგრამ სახელწოდების წარმოშობა სულ სხვა გარემოებაში წარმოგვიდგება. ძველ ხალხთა ენებში ზოგან ფიქსირდება უძველესი უცნობი ცივილიზაციის გადმონაშთი ტოპონიმები. ასეთი სახელწოდებები ძველ ინდურშიც გვხვდება, მაგ. „ვიმანი“ მფრინავი ობიექტი. ძველ ინდურ ჩანწერებში თითქოს აღწერილია ასეთი საფრენი ობიექტის აღწერილობაც

კი. „საწვავი“ „სქემა“ და სხვა. ისტორიული თუ მითიური გადმოცემები ერთმანეთშია გადახლართული. „მზის ეტლი“ ასევე ცნობილია ისტორიული ახლო აღმოსავლეთის წყაროებიდან. ამ დროს ქართული სახელწოდება „ხომალდი“ კარგად წარმოაჩენს თავის შინაარსს.

ხოლო ხვამლის მთის ზეგანი კი საინტერესოდ საკვლევი ადგილია ასეთი მიმართულების კვლევისთვის, თუ ამას დავუშვებთ. ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად ძველად ყველაზე კარგი იყო შესაბამისი გეოგრაფიული გარემო. ძველმა ხალხმა იცოდა მოძრავი და უძრავი ვარსკვლავი, მათი მოძრაობის მიმართულება, დრო და პერიოდი. უძრავი ვარსკვლავის (პოლარული ვარსკვლავი) მიმართ დაკვირვება სეზონისთვის სჭირდებოდათ და უფრო მეტიც, წინასწარმეტყველებისტვის სჭირდებოდათ.

რა ინფორმაციას გვაწვდიან ქართული შუასაუკუნების ასტრონომიის მკვლევარები? ძირითადად, ბერძნული ან ახლო აღმოსავლეთის მსგავსი წარმოდგენებია დაფიქსირებული. ეთნოგრაფთა სარა ბედუკაძის და გიორგი ჩიტაიას შრომებში აღწერილი „მზის ბუდენის“ და „მემარგეთა „ინსტიტუტი კი უძველესი ქართული ჩანს. სწორედ ამ თემაზე გვინდა ახლა კონკრეტულად საუბარი. რა ინფორმაციამ მოაღწია დღემდე და დაკვირვების რა მიდგომებით სარგებლობდნენ ძველი ქართველები?

მინდა წარმოვადგინონ, თუკი რაიმე ჩანაწერი ან ძველი ჩაწერილის შესახებ ინფორმაცია შემორჩა 1980 წლებიდან მოყოლებული 2020 წლამდე. საინტერესოა სვანეთის, ხევსურეთის, სამცხე ჯავახეთის, აჭარისწყლისა – ნიგალის ხეობის მაცხოვრებელთა ეთნოგრაფიული ჩანაწერები; გადმოცემები მზის, მთვარის, ვარსკვლავთა მიმართ დაკვირვების შესახებ. ჩავიწერეთ მხატვარიპედაგოგის ვასილ საღლიანის ინფორმაცია (1983 წელს. მ. თოიძის ტექნ. სასწავლებელში) სვანეთში მთვარის ციკლებზე დაკვირვების შესახებ. წყლიან ჯამში მთვარის შუქზე ჩახედვით იგებდნენ ხალხური „მეცნიერნი“ (სიტყვა მეცნიერი ცის მცოდნეს ნიშნავდა ძველად) მთვარის ციკლურო-

ბას. სეზონის დადგომის წინა პერიოდს და დღემეტობასაც ითვლიდნენ. საინტერესო იყო ხევსურეთში ხუცესის გაბრიელ ჭინჭარაულის მიერ მოტანილი ინფორმაცია (1904 წ. სოფ. ჯუგაანი). ეს პიროვნება წლების განმავლობაში ერთგულად მსახურობდა სოფ. კისტანის „ღვთისმშობლის“ სახელობის ჯვარსალოცავში – პირიქითა ხევსურეთი. „წინავ იცოდეს მოძრავი და უძრავი მასკვლავნი. უძრავ მასკვლავზე დაკვირვებით იცოდეს მას კვლავის დაჭერა და კაცის დღეს იგებდეს“.

რას ნიშნავს „მასკვლავის დაჭერა“ და „კაცის დღე“? უძრავ ვარსკვლავს ანუ პოლარულ ვარსკვლავს დიდხანს აკვირდებოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. დაკვირვების დროს მემარგეს წრიულ ტრიალს მნიშვნელობა ჰქონდა. პოლარულ ვარსკვლავი დიდი დათვის თანავარსკვლავედის კუდის ახლოსაა და ის შუაშია, ხოლო სხვა ვარსკვლავები გარშემო მოძრაობენ. დედამიწაზე მყოფი ადამიანისთვის პოლარული ვარსკვალი უძრავი არაა და ის პერიოდულად „იმალება“. დღემეტობას 22 ან 23 ივნისს ხდებოდა დაკვირვება მზის ბუდეებთან და მემარგე „იჭერდა“ რაღაც ენერგეტიკას და ამით გარკვეულ ფსიქოლოგიურ განწყობას იქმნიდა. ამას გარკვეული მარხულობის და ლოცვების შემდეგ ასრულებდა. ზოგი ნაქადაგარი ჩანაწერის დღემდე მოღწეული მთიანეთის ეთნოგრაფიულ მხარეთმცოდეებით ცენტრებში. დაახლოებით ასეთი მიდგომა უნდა ვიგულისხმოთ ხვამლის მთის ზედაპირზე მყოფი შუა საუკუნების ბერების მოღვაწეობაშიც. ხვამლის მთა, ბაგრატის ტაძარი და მოწამეთა ერთგვარ სამკუთხედს ქმნიდა იქ მოღვაწე წმიდა ბერებისთვის და ასტრონომიული ცოდნის ასათვისებლად, ჩემი აზრით. წმიდა ბერები რომ გარკვეულ ასტრონომიულ ცოდნასაც ფლობდნენ, ამას მონასტრებში ბევრი პიქტოგრაფიულ-ხაზოვანი გამოსახულებაც ადასტურებს. ასტრონომიის სწორი სწავლება კი დიდი ენერგეტიკის გამოხმობას ნიშნავდა და ეს იმ დროის დიდ მონარქს, დავით აღმაშენებელმაც იცოდა. სარიტუალო მენჰირების გარდა მთის წვერებზე არსებული ადგილი სწორედ მოხერხებული გარემო იყო ძველ „მემარგეთა“ და

„მეცნიერთა“ სამოღვაწეოდ. ის ეთნოასტრონომიული ინფორმაცია, რომელიც ქართულ ენაში გვაქვს, არის უძველესი და შუასაუკუნეების „მეცნიერთა“ მიერ ასეთი დაკვირვების ხერხით მოპოვებული და ენაში მყარად დამკვიდრებული. ხვამლის მთის ზეგანი საინტერესო საკვლევი ადგილია, რადგან მთელი კლდოვანი მასივი გარემოში კარგად ჩანს. ოდესღაც სწორი კლოდოვანი ზედაპირი, ჩანს, ერთგვარი მოედანი იყო და საინტერესო სარიტუალო წესებისთვის გამოიყენებოდა, პირველ რიგში, კოსმიურ გონთან (ცის ძალი) საკონტაქტოდ და მადლიერების გამოსახატავად. საინტერესო ინფორმაცია ჩავიწერეთ ნიგალის ხეობის სოფ. ხევში ხალილ ფუტკარაძის გადმოცემით (1987 წელს). „მასკვლავგოლეს (ვარსკვლავის ტბა) იყვის ერთი ქვა ჩადგმული, ჭვრიტა, მას უყურებდიან მცოდნენი და იგებდიან წილწადის მეტობისას, დარ და ავდრისას და სხაი“. სამწუხაროდ თუშეთში მოყოლილი ქართველთა ეთნოგრაფიული და ეთნოასტრონომიული ცოდნა არაა ჯერ კიდევ სრულად ჩაწერილი და შენახული. იქაური ლექსიკონით ვარსკვლავების სახელწოდებები არაა ჩაწერილი და ამ მიმართულებით კვლევა არავის ჩაუტარებია. როცა ვაკვირდებოდით, ვიკვლევდით ძველ ქართულ ასტრონომიულ ცოდნას, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ძველი ხალხი მაქსიმალურად ცდილობდა მონუმენტური შეგნება წინ დამდგარიყო ყოველთვის. ცის ძალის (კოსმიური გონის) სათავისოდ გამოყენებას და მის მიმართ მადლიერების გამოხატვას ყოველთვის ცდილობდნენ.

კითხვა ისმის, როგორ გადავრჩით უძველესი კულტურის, ენის მქონე ხალხი, როცა სხვა ერები, როგორებიც იყვნენ: შუმერები, ხურიტები, სუბარები, თუბალები, მუსკები, ხათები და სხვა მონათესავე უძველესი ენის მქონე ხალხები გაქრნენ და მათი თანატოლი ქართული და ქართველური ენები სასწაულად გადაურჩა(?), დამპყრობლებს – ხეთებს, არაბებს, ბიზანტიელებს, სპარსელებს, ირანელებს, ოსმალო-თურქებს, მონღოლ-რუსულ ურდოებს, ხაზარებს და სხვა. გადარჩენა გეოგრაფიული გარემოებისა და ქრისტიანული

მრწამსის (ამ ფაქტორებმაც ასევე დადებითად იმოქმედეს) გარდა უმნიშნელოვანესი იყო და არის სწორედ კოსმიურ გონთან (ცის ძალი) სწორი და ჭკვიანური ურთიერთობა.

ეს ურთიერთობა ჩანდა ბრძოლების ეთიკის დროს, მიწათმოქმედების საგაზაფხულო მუშაობის დაწყების დროს, საქორწინო რიტუალების დროს, მიცვალებულის დაკრძალვის დროს და სახლში ცხოვრების წესების (დედაბოძის კულტურა) დროს და ა.შ. ეთნოასტრონომიული კულტურა და მის სამსახურის გამო შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების (დიდი აბული, ხვამლის მთა, გერგეტი, თხოთის მთა, ზენითი და სხვა) გარდა უმდიდრესი ლექსიკა გვაქვს. ხვამლის მთის საგანძური მის ზეგანზეა და მის გეოგრაფიულ მდებარეობაშია. ჩემი აზრით, ამ თემას უნდა გაცოცხლება, ახალი საინტერესო დაკვირვების ადგილად უნდა იქცეს. ძველი ეროვნული ცნობიერების სადამკვირვებო ადგილი უნდა იყოს, – შეიძლება მოდელის მოწყობა „მზის ბუდე“ სპეციალისტებისთვის, საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაცნობა, ძველი ასტრონომიული დაკვირვებისთვის ადგილზე ქვის წყობების აღდგენა და დაცვა.

ხვამლის მთის გარდა, კიდევ სხვა ადგილებიც არის ასევე საინტერესო, სადაც ძველი სალოცავები იყო მოწყობილი და ხდებოდა დაკვირვებაც. ასეთი იყო ელიას მთა (დედოფლისწყარო), ცივზე (გომბორთან), ცაბაურთა (უკანაფშავში), ცროლი (ხევსურეთი), ბოჭორნის მთა (თუშეთი), სპეროზა (ალაზნის ხეობა), სნოს „მთავა რანგელოზის“ ნიში (ხევი), ლომისა (მთიულეთი), ზედაზენი, თხოთის მთა (კასპი), დიდი აბული, ზენითი (ქობულეთთან), ოცინდალე (სამეგრელო) „კვირიკე“ (სვანეთი) და სხვა. ქართულ ენაში შემონახული ასტრონომიული ლექსიკონი სწორედ ასეთი ადგილების საშუალებით მდიდრდებოდა და ივსებოდა. სამწუხაროდ, მემარგეთა ინსტიტუტი გაქრა და მხოლოდ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ფიქსირდება.

„ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს ხვამლის მთამ გადაარჩინოსო“ ვახუშტი ბატონიშვილის ნათქვამი, უფრო, ცოდნის შესახებ და ამ ცოდნის სწორად გაგებისთვის, დაფასებისთვის წარმოგვიდგება დღეს. იმე-

დია მომავალი თაობა სწორად შეაფასებს და მეცნიერულ კვლევებს განაგრძობს.

რაც შეეხება მითოლოგიურ მოტივს, ხვამლის მთა ისეთივე წარსულის ჩანს როგორც გერგეტის ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. უძველეს დროს ღვთიშვილთა ჩამოსვლის ადგილი ზეციდან ადამიანთა დასახმარებლად. ხვამლის მთის გამოქვაბულში პიქტოგრაფიული გამოსახულებებიც ასევე ღვთიშვილთა მეომრული გამოსახულებებია, ჩემი აზრით. მებრძოლ ფიგურებთან –„მხედარი“– ერთად არის კიდევ „ ჩარჩოში“ ჩასმული ადამიანის მსგავსი ფიგურა. „კარიდან გამომავალი ღვთიშვილი“. ჩემი აზრით, ქართული სიტყვა „მხედარი“ არ იყო ძველად ცხენზე მჯდომი ფიგურა, ასეთი შინაარსი გვიან ეწოდა. ანუ ცხენს არ უკავშირდებოდა სიტყვა „მხედარი“. მხედარი უფრო გადმოსულს, ჩამოსულს, ზეციდან ჩამომხდარი, გადმომხდარი, უფრო ეწოდებოდა უძველსად, მოგვიანებით კი ცხენის მოშენების შემდეგ დაერქვა „ცხენოსან მეომარს სახელწოდება „მხედარი“.

უძველეს დროის ბევრი სიტყვა არსებობს ქართულში, სადაც სულ სხვა შინაარსი ჩანს. ასეთია სახელწოდება „მზე“ და სიმბოლურად ყველას თავის „მზე ჰყავდა“. გამოთქმაც ადასტურებს „ჩემმა მზემ, შენმა მზემ, იმისმა მზემ“. მნათობს ჩანს ეწოდებოდა „ცხრათვალა“ რაც მზის სისტემის შესახებ ცოდნასაც ადასტურებს.

ადამიანი, კოსმიური გონის მოქმედი პროექტი

ზეციური ძალის მიმართ ძველი ხალხის წამოდგენების დამოკიდებულების კვლევისას უმთავრესი კითხვა წარმოიქმნება: რის საფუძველს ან რა მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის გონებრივი განვითარების ხაზი? მხოლოდ დედამიწაზე სამოღვაწეოდ ადამიანის გონის სამსახური დღეს საეჭვო ხდება, რადგან მოთხოვნილება უფრო მეტია. მოთხოვნილება არა მარტო კოსმოსში სამოღვაწეოდ იზრდება, არამედ სიღრმისეულადაც. კვანტური ფიზიკის კვლევა და უმცირესი ნაწილაკების შემადგენლობის გახსნა ადამიანის გონების მოთხოვნილების მიხედვით, უფრო და უფრო იზრდება. თითქოს ადამიანის გონება კი არ ვითარდება, არამედ „იღვიძებს და აღიდგენს თავის მდგომარეობას“ ასეთ აზრს უცხოელი ასტროფიზიკოსები და კვანტური ფიზიკის სპეციალისტები გამოთქვამენ. ადამიანის გონებრივი განვითარების მუხტი არამიწიერი წარმომავლობის უფრო ჩანს, რადგან სხვა სახეობებში ასეთი განვითარება არ მომხდარა და არც აქვს საფუძველი. სამწუხაროდ, დღეს არსებობს ერთი თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის გონების განვითარება შემთხვევითობით აიხსნება. ამდენი „შემთხვევითი“ ფაქტი უკვე საეჭვოა. კოსმიურ გარემოს ურთიერთკავშირი გააჩნია და ამას დღეს უკვე ბევრი აღნიშნავს.

„შელდრეიკმა ფორმების ველებს უწოდა მორფოგენური ველები (მორფოგენეზი ფორმაწარმოება), რომლებიც გავლენას ახდენენ საგნების ფორმასა და სტრუქტურაზე.“ (მორფოგენული ველი: რუპერტ შელდრეიკის ცნობიერების კვანტური თეორია). მორფოგენული ველები კოსმიური გონის გამოვლინებაა. ამ შემთხვევევაში ადამიანის გონებაზე „მიმღებად“ მოქმედებს. ადამიანის გონება და კვლევა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. ჩვენი ინტერესია გონებრივი განვითარების ხაზის აუცილებლობის დასაბუთება, ერთი ვერსიით „თვითგადარჩენის„ ინსტიქტის მიხედვით ხდება. ცხოველურ

სამყაროსთან კონტაქტის გამო ადამიანის გონების განვითარება უძველეს დროს მისი ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ვლინდებოდა. მას სხვადასხვა საშუალებით თავი უნდა დაეცვა. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ემპირიულ გამოცდილებას.

ახლა საკითხი სულ სხვანაირად დგას: კოსმოსში გასვლის ინტერესი და ახალი მიწების (ეგზოპლანეტები) აღმოჩენა ან დაუფლება მხოლოდ ეკონომიკური სფეროა თუ რაღაც სხვა შინაგანი მოთხოვნილებაა? საეჭვო ხდება გონებრივი განვითარების ხაზის თანდათან ასეთი არამიწიერი მოთხოვნილების გაძლიერება. ალბათ, ყოველივე ხილულის საფუძვლის სხვა განზომილებათა არსებობითა და „უცხო“ ძალთა გავლენით ახსნა უფრო მოიაზრება.

კვანტურ ფიზიკაში „ჰიქსის ბოზონის“ აღმოჩენით ბევრი ახალი კითხვა გაჩნდა. რა აძლევს ფორმას საგნებს და სად არის საფუძველი? ან უჯრედის და დნმ-ის სტრუქტურის „შაბლონი“ როგორ და რატომ შეიქმნა? რაც უფრო ღრმად იკვლევს ადამიანი, მით უფრო მეტი პასუხგაუცემელი კითხვები ჩნდება. დედამიწა ერთგვარ „პოსტამენტს“ წარმოადგენს იმ ქმნილებისას, რასაც ადამიანის გონება ეწოდება. არაა გამორიცხული ადამიანის გონება გარდაიქმნას და სხვა განზომილებასთან საკონტაქტო საშუალებებიც „ამუშავდეს“, რაზეც მკვლევარები დღეს აშკარად ამბობენ. რატომ ვითარდება ასეთი მასშტაბით ადამიანის გონება, ენერგიაც (არაძალი). ტექნ. შესაძლებლობა მომავალში თუ კიდევ გაიზრდება, კიდევ ახალი აღმოჩენები იქნება.

ჩემი აზრით, ადამიანის გონება განსახილველია როგორც ცალკე დადებითი კოსმიური „ბაქტერია“, რომელიც ერთგვარი დამცველი და მებრძოლი სამსახურისთვის არის დაპროექტებული. თუკი ცოცხალ ორგანიზმებში ანუ მიკროკოსმოსში და მაკროკოსმოსში მსგავსებაა, შაბლონის მყოფობა არსებობს, რატომ არ შეიძლება მიკრობიოლოგიური „შაბლონი“ კოსმოსშიც არსებობდეს თავისი დადებითი და უარყოფითი „არსით“? (ზეცრიელნი და ქვეცრიელნი).

კითხვა: როგორ შეიძლება იკვებებოდეს კოსმოსში ადამიანის შთა-

მომავალი? შესაძლებელია როგორც მცენარეები იკვებებიან სინათლით, შუქით – „ფიტოგენეზი“. შუქი, ფოტონი არის ერთ-ერთ ძლიერი წყარო რაც შეიძლება გონიერმა არსებამ გამოიყენოს კოსმოსში. მაგრამ ჩვენ არ ვიცით უხილავი მატერიის (ქართულად „არაფერი“) სტრუქტურა და იგი სინათლეზე, შავ ხვრელზე და დიდ გრავიტაციაზეც კი უფრო მნიშვნელოვანია. შესაძლებელია უხილავ მატერიაზე უფრო მნიშვნელოვანიც არსებობდეს და უხილავ მატერიას და უხილავ ენერგიას ერთად მოიცავდეს. ყოველივე ამას კი ასტროფიზიკოსების აზრით, კოსმიური გონის არსებობა არეგულირებს.

ადამიანის გონების განსხვავება თავისი საწყისი მდგომარეობიდან დღევანდელი განვითარების დონესთან შედარებით არა მარტო ხარისხით, არამედ სხვადასხვა მიმართულების წარმოჩენაშიც ვლინდება. ეს კი შემთხვევითი არაა და გამოცდილებასთან ერთად მნიშვნელოვანია ინტუიციური მიგნებები.

სწორედ ინტიუციური გამოვლინებების უამრავი მიღწევაა მეცნიერებაში ფიზიკაში, ქიმიაში, მექანიკაში, მედიცინაში და ა.შ. ინტიუციური განწყობა კი ისევ კოსმიური ველიდან იგივე „გონიდან“ მოდის, ჩემი აზრით.

ადრე აღინიშნა კოსმიური გონის პირდაპირი გამოვლინებები ადამიანებთან და ცხოველთა სამყაროში. ადამიანებში სხვადასხვა გენიოსი პიროვნებების და წინასწარმეტყველთა მოვლინებით, ხოლო ცხოველთა სამყაროში მტაცებელ ცხოველზე ზემოქმედების ფაქტებით ვლინდება (ლომის და ახალგაზდა ანტილოპას მაგალითზე). საინტერესოა, „კოსმიური გონის“ ზემოქმედება უსულო საგნებზე? საინტერესო ექსპეტიმენტის ანუ ცდის შესახებ მსურს გიამბოთ. საქმე ეხება რენე ბიოშის ექსპერიმენტს, მონაწილეობდა ახალგამოჩეკილი წიწილა და ჩვეულებრივი პატარა რობოტი. სწორ შემოსაზღვრულ დაფაზე მოძრაობს პატარა რობოტი, ელექტრო პატარა ძრავით და სხვადასხვა მხარეს მოძრავი ბორბლებით. ახალგამოჩეკილი წიწილა ხედავს მოძრავ რობოტს და მას იღებს „დედა“ ობიექტად. მასთან მიდის და მას დაჰყვება. ერთად მოძრაობენ წიწილა და რობოტი. მოძრაობის ხაზი თავის-

უფალია და დაფაზე თავისუფლად გადადგილდებიან. შემდეგ წიწილა იქვე დაფის გვერდზე იზოლირებულ მინის პატარა „ოთახში“ მოათავსეს. წიწილა რობოტთან ცდილობს მისვლას და კონტაქტს. რობოტი რომელიც აქამდე თავსუფლად მოძრაობდა, ახლა ის მიდის დაფის იმ მხარეს სადაც წიწილა არის მოთავსებული და ბოლოს წიწილის მინის „ოთახს“ გვერდით აღმოჩნდება. ექსპერიმენტი რამდენჯერმე გაიმეორეს და სხვადასხვა სხვაობით. შედეგი იყო ერთი და იგივე. რ. ბიოშის აზრით, მოხდა გარკვეული ძალით წიწილის ნება-სურვილის შესრულება. რობოტს არ ჰქონდა არც მიმღები სმენის რაიმე აპარატი და არც სითბოს აღმქმელი რაიმე თერმოსტატური ხელსაწყო. ჩემი აზრით, აქ არც წიწილაა მთავარი და არც რობოტი, აქ უმთავრესია ველი, რომელიც იგებს ლოკალურ განწყობას. უსულო საგნებზე სწორედ კოსმიური „გონის“ გამოვლენის ერთ-ერთი ფაქტია. როცა ასეთი მოვლენები იჩენს თავს უსულო საგნებთან მიმართებაში, მაშინ ადამიანის გონებაზე კოსმიური გონის გავლენა დომინანტურია. უფრო მეტიც, ადამიანი ერთგვარი მოქმედი პროექტია კოსმიურ სამყაროში. შორს აღარაა ის დრო, როცა ღმერთის მიმართ რწმენა გრძნობის გარდა გონებითაც იქნება შესაძლებელი. წმიდა წერილების და წმინდანთა ცხოვრებიდან გამომდინარე რწმენის არსებობა მომავალში ცოდნითაც ანუ კოსმოლოგიური დიდი ცოდნის მიღებითაც იქნება შესაძლებელი. კვანტურ დონეზე ბევრია ისეთი ფაქტები, სადაც კოსმიური გონის პირდაპირი გამოვლინებებია და ამაზე კვლევები მიმდინარეობს.

როგორ შეიძლება ადამიანის გონება ბავშვობიდანვე სწორად განვითარდეს და კოსმიური გონის სწორ „მიმღებად“ ჩამოყალიბდეს? შეიძლება ამაში რომელიმე სპეციალობის პედაგოგი დაგვეხმაროს? შეიძლება, რომ კოსმიური გონის ნებასურვილის (თუ კი არსებობს ასეთი ნება) სამომავლო მიმართულება შეიმეცნოს ადამიანმა? ეს და სხვა კითხვები დღეს აქტუალურია.

ყალბი აზრების ან ყალბი უარყოფითი ზემოქმედების გავლენის გამორჩევა სწორი აზრისგან და სწორად გაანალიზების სწავლა უმთავ-

რესია. ჩემი აზრით, ზეციურ ძალთა ზემოქმედების გავლენით ხდება ყველაფერი ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც.

ზოოლოგების აზრით, დედამიწაზე დაწყებული 60 მილიონი წლის წინ, როცა დედამიწაზე დიდი მტაცებელი ურჩხული დინოზავრები ცხოვრობდნენ და „მოღვაწეობდნენ“ მათ მიერ დანატოვარი ნაშთებით, არქაული მცენარეული ნეშომპალის კვალით სავსეა დედამიწის ნიადაგი.

ეს იყო, ერთგვარად, „გამანაყოფიერებლის“ დიდი ეპოქის არსებობა და ადამიანის მოვლინების გონიერი, მზარდი „მოლოდინი“. ყველაფერი „დაპროექტებულია“ და განვითარებადია.

გამოქვეყნებულია კვლევა, ავტორი – რეი კურცვეილი, „გონების ევოლუცია“. ადამიანის გონების უსაზღვრო განვითარებაზეა საუბარი და თავისებური ახსნები აქვს მოყვანილი.

ადამიანის ტვინი ყველას საოცარი („ჯადოსნური ობიექტია მთელ სამყაროში. “«Человеческий мозг – самый чудесный и самый таинственный объект во всей вселенной» (Антрополог Генри Ф. Осбор). ადამიანის გონებაზე დაკვირვებამ კვანტური ფიზიკის გათვალისწინებით ახალი ტერმინი წარმოშვა მეცნიერებაში – **„დამკვირვებელი“** და მომავალში აზროვნება, გონება, შესაძლებელია ცალკე ფიზიკურ მოვლენად იქნას აღიარებული. კოსმოსურ აღწერას მიემატა ახალი სახელწოდება „დამკვირვებელი“ ანუ ინფორმაციის „მდგომარეობა“. მატერია, ენერგია და ინფორმაცია, ასეთი სამი თანასწორი სუბსტანციური განსაზღვრება გაჩნდა. ადამიანის გონება მოქმედებს კვანტურ დონეზე და ეს ფოტონებზე დაკვირვებამ დაამტკიცა. „ანტოპნტის“ პრინციპით მთავარია დამკვირვებელი.

რეალობის შესახებ წარმოდგენა იცვლება და მატერიის აღქმა „გონის“ განვითარების ხარისხის მიხედვით არის შესაძლებელი. ადამიანის გონების განვითარება და საერთოდ სიცოცხლის წარმოშობის თეორიები გადაჯაჭვულია.

დღეს აქტუალურია სიცოცხლის წარმოშობის კოსმიური ვერსია (პანსტერმია). დედამიწაზე სიცოცხლის უჯრედი კოსმოსიდან შემოვ-

იდა. მეტეორიტების თუ მტვრის საშუალებით. ძლიერმა ტელესკოპებმა არაერთი დედამიწის მსგავსი ეგზოპლანეტა აღმოაჩინეს, თუმცა ცივილიზაციის კვალი არ ჩანს. შესაძლებელია სადმე სიცოცხლის ფორმა იყო კიდეც, მაგრამ ხორცშესხმული ადამიანის ეთიკის მსგავსი არსება საეჭვოა (ავტ.). ვთქვათ სიცოცხლის უჯრედი სხვა პლანეტიდან შემოდიდა დედამიწაზე, მაშინ იმ სხვა პლენეტაზე საიდან მოხვდა? კიდევ სხვა პლანეტიდან? ასეთი კითხვა უსასრულოდ შეიძლება დაისვას, რაც უაზრობამდე დადის. ცოცხალი ფორმის უჯრედის წარმოშობა ფიზიოლოგიური რეაქციებით და შემთხვევითობის პრინციპით ახსნა დღეს გულობრყვილობაში გადადის. მხოლოდ ერთი ცილის უჯრედის ან დნმ-ის ან მის ნაწილის რნკ-ის დიზაინზე დაკვირვებით ჩანს, რომ ყოველივე დიდი ინტელექტის ჩარევის შედეგია.

ფიზიკაში არსებობს მატერია და ენერგია, მაგრამ მომავალში შეიძლება დაემატოს მესამე განსაზღვრება – „ინფორმაცია“. უცხოელი მეცნიერების კვლევებმა კვანტური ფიზიკის დონეზე აჩვენა „დამკვირვებლის“ ფაქტი. ფოტონებზე დაკვირვება, წყალზე დაკვირვება და სხვა. „დამკვირვებლის“ ფაქტი თუ აღიარებული იქნა, მაშინ ევოლუციონისტების და კრეაქციონისტების დავა უაზრო იქნება. დამკვირვებელი ანუ ადამიანის გონება, როცა აკვირდება რაღაცას კვანტურ დონეზე, ბუნება „გრძნობს“ და ინიღბება. კოსმოსის და კვანტური დონის აღქმა შეზღუდულია და გარკვეულ შესაბამისობაშია იმ სირთულესთან, რასაც გვთავაზობს ბუნება. დამკვირვებლის მყოფადობა გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის წარმოშობის წყარო, საღვთო განგებულებად ან შემთხვევითობად უნდა გავიგოთ. ეს ჩვენს არჩევანზეა დამოიკიდებული.

დარვინის ევოლუციური თეორია გარკვეულწილად მართალია, მაგრამ ისიც კოსმიური გონით იმართებოდა და იმართება და ასე იქნება მომავალშიც. ამის გააზრებაც ადამიანის გონებაზეა დამოკიდებული და წარმოდგენა კოსმოსზე რჩება მიზანმიმართული ძიების პოზიციაში.

„დამკვირვებელი“ – ამ მიმართულებით კვლევა მომავალში შეი-

ძლება უფრო განვითარდეს ან გაბათილდეს, და ადამიანის გონების სწორად განვითარებისთვის სწორი არჩევანის გაკეთებაა საჭირო. ადამიანის გონებისა და აზროვნების წრთვნა და ზრდა წინაღმდეგობრივი აზრებით ხდება. ევოლუციონისტების (დარვინის თეორია) და კრეაქციონისტების (საღვთო წარმოშობა) დავა მართულია. სამყარო და კოსმოსი იმდენად ღრმა, შინარსიანი და საინტერესოა, რომ ამის გააზრება ადამიანის გონებას ვერ შეუძლია. ადამიანის გონება მომავალში ფიზიკის ცალკე მოვლენად იქნება აღიარებული და ინფორმაცია ფიზიკაში უმთავრესი იქნება, ჩენი აზრით. ადამიანის ტვინში, ფიზიოლოგთა და ქიმიკოსთა მიერ შენიშნულია ნივთიერება სახ. „აქსედაცინი“, რომელიც ნდობას იწვევს. ასეთი ნივთიერების არსებობა ადამიანში ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს და მისი „გამომუშავების“ გარეშე არსებობა წარმოუდგენელია. მთელი კოსმოსი, „გონიერ“ მდგომარეობაშია და ყველაფერი მოძრაობს როგორც მიკროკოსმოსში, ასევე მაკროკოსმოსში.

მატერია თავდაპირველი საწყისი ენერგიიდან წარმოშობისას გეომეტრიული, სიმეტრიული უმცირესი სტრუქტურა იყო. შემდეგ, კოსმიური გონის ზემოქმედების ძალით, ის განვითარდა და გაიზარდა. ასევე, სიცოცხლის წარმოშობაც მიზანმიმართულია და უდიდესი საქმისკენ მოუწოდებს ადამიანებს. ადამიანის გონებაში „მიმღები“ იყო ჩადებული და მომავალში უფრო გაძლიერდება ამ მიმართულებით კვლევა. ადამიანის შთამომავალი კოსმოსში სინათლის სიჩქარითაც შეძლებს გადადგილებას და სხვა განზომილებებში მოძრაობასაც. სხვადახვა უცხო ფიზიკურ კანონებსაც აღმოაჩენს და სხვადასხვა მატერიალურ მდგომარეობების მიმართ შეძლებს ადაპტაციას. მხოლოდ უმთავრესია რწმენა, რომელიც ერთი ნაბიჯით წინ იქნება ტექნიკურ განვითარებაზე, ყოველთვის იქნება წარმატების წინამძღოლი. რას ამბობს ადამიანის ტვინის მკვლევარი, ცნობილი ნეიროქირურგი რამაზ ხეცურიანი: „ადამიანის ტვინს განაგებს უნიკალური ორგანო – ჯალღუზისებური სხეული. მას მეორენაირად „შივას თვალსაც“ ეძახიან. ის ასევე განაგებს ინტუიციას და ტელეპატიის

უნარს, ჩვენს შინაგან ბუნებრივ საათს, დაძინების და გაღვიძების პროცესებს. მარტივად რომ აგიხსნათ, ანესთეზიოლოგის შრომას უნდა შევეხოთ, რომელიც, ძილის მდგომარეობაში გადასაყვანად პაციენტს 23 უძლიერეს ჰორმონს უკეთებს, ხოლო გამოსაფხიზლებლად 2-ჯერ მეტს და უფრო ძლიერ ჰორმონებს აწვდის. აი, ამ პროცესს განაგებს სულ რაღაც 5 გრამი წონის მქონე ჯალღუზისებური სხეული. მან თავად იცის, რომელი ჰორმონი გამოიმუშავოს და მიაწოდოს ორგანიზმს. ჯალღუზისებური სხეული მამაკაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო დიდი ზომის აქვთ. შესაბამისად, ინტუიციის გრძნობაც მეტად აქვთ განვითარებული. ჯალღუზისებური სხეული მეხსიერების მართვაზეც მოქმედებს. ქალები უარყოფით ემოციებს უფრო დიდხანს ინახავენ, წყენას არ ივიწყებენ, რაც მათი ჯალღუზისებური სხეულის დამსახურებაა. ამავე ორგანოს უკავშირდება ისეთი ფენომენი, როგორიც გახლავთ ტელეპატია. მეცნიერთა სხვა 40 პროცენტს მიაჩნია, რომ ტვინის წარმოქმნაში მართლაც ჩარეულია გარეშე ძალა. დღევანდელი მონაცემებით, ტვინს გააჩნია ისეთი შესაძლებლობები, რაც ევოლუციის შედეგი უნდა იყოს. ყველაზე მაღალგანვითარებულ არსებებს – ადამიანებს, დედამიწაზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ყველა არსება გვჯობნის მხედველობით, ყნოსვით და კოორდინაციის უნარით. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელმაც შეიძლება სიარულისას ფეხი თავისივე ფეხსწამოკრას და დაეცეს. უფრო მეტიც, არც ერთი ცხოველი დაცემისას კიდურს არ იტეხს, ადამიანისთვის კი ნებისმიერი დაცემა შეიძლება მოტეხილობით დასრულდეს.

რატომ? სხვაზე სუსტი ძვალი გვაქვს?

არა. საქმე ისაა, რომ ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც უწონადობის პირობებში თავს გაცილებით უკეთესად გრძნობს, ვიდრე დედამიწის გრავიტაციის პირობებში. ამიტომ, არსებობს ვარაუდი, რომ ადამიანი დედამიწაზე სხვა სივრციდან არის შემოსული. ადამიანის ტვინი ყველაზე განვითარებული გვგონია, მაგრამ დელფინს არანაკლებ აქვს მორგებული თავისი სამყარო და ემოციებიც საკმარისად გააჩნია – მღერის, ცეკვავს, კოლექტივთან ერთად ცხოვ-

რობს და ნადირობს, მტერი არ ჰყავს – რადგან ყველაზე ჭკვიანია. ალბათ, დიდხანს ვერ გაეცემა პასუხი კითხვას, თუ ვინ შექმნა ან შემოიყვანა დედამიწაზე ადამიანი. პირადად მე მწამს ღმერთის არსებობის და ვარ აღმსარებელი ქრისტიანი. სექტემბრისთვის სასულიერო აკადემიაში მიმიწვიეს მატერიისა და სულის ერთმანეთთან დამოკიდებულების თემაზე ლექციების წასაკითხად. რწმენა ხომ ტვინის პროდუქტია...“

რას ამბობენ თანამედროვე კვლევები ადამიანის დნმ-ის შესახებ: „როგორც ჩანს, ადამიანის წარმოშობის **დარვინული თეორია** საბოლოოდ **განიცდის** მალე **კრახს**.

- მეცნიერებმა უფრო ღრმად ჩაიხედეს დნმ-ის მოლეკულებში და **აღმოაჩინეს კოდირებული ინფორმაცია,** რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანი, რთული გენეტიკური პროგრამების მქონე ბიოკომპიუტერის მაგვარი არსებაა. დნმ-ის მოლეკულებში არსებული უცნაური ტექსტების გაშიფვრას ცდილობენ კვანტური გენეტიკის ინსტიტუტის მეცნიერები. მათი აღმოჩენები ადასტურებს იმას, რომ. **„პირველად იყო სიტყვა“** და ჩვენ ვართ ვაკუუმური სუპერგონების (სუპერტვინის) ნაყოფი. მეცნიერები მივიდნენ მოულოდნელ აღმოჩენასთან: დნმ-ის მოლეკულა შეიცავს არა მარტო გენებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სახის ოვალის, ყურის ფორმისა თუ თვალის ფერზე, არამედ ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობით დაშიფრულ ტექსტებს.
- ამასთან, ქრომოსომების 95-99%-ს შეადგენს სწორედ ასეთი ტექსტები! და მხოლოდ 15%-ს შეადგენს ეს ყბადაღებული გენები, რომლებიც ცილების სინთეზირებას ახდენენ. ქრომოსომებში შენახული ძირითადი ინფორმაციის დიდი ნაწილი, მაინც ისევ ამოუცნობი რჩება.
- მეცნიერთა აზრით, დნმ-ში ისეთივე ტექსტია, როგორიც წიგნებში. მაგრამ მას გააჩნია უნარი: იკითხებოდეს არამარტო ასო-ასო, და ხაზიდან ხაზზე, არამედ ნებისმიერი ასო-ბგერიდან, რადგან არ

გააჩნია სიტყვებს შორის მანძილი. ამ ტექსტის კითხვისას, ყოველი მომდევნო ასო-ბგერის შემდეგ ჩნდება ახალ-ახალი ტექსტები. ასევე შესაძლებელია მისი წაკითხვა უკნიდან წინ, თუკი მწკრივი სიბრტყულია. ხოლო თუ ტექსტის მწკრივი სამგანზომილებიან სივრცეშია, როგორც კუბში, მაშინ **ტექსტის კითხვა შეიძლება ყველა მიმართულებით**. ამასთან, ტექსტი არაა სტატიკური, ის მუდმივად მოძრაობს, იცვლება, რადგან ჩვენი ქრომოსომები **სუნთქავენ, ტრიალებენ და ქმნიან ტექსტების უზარმაზარ რაოდენობას.** მსუ-ის (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) **ლინგვისტებისა** მათემატიკოსების მუშაობამ აჩვენა, რომ ადამიანის მეტყველების სტრუქტურა, წიგნის ტექსტისა და დნმ-ის თანმიმდევრულობის სტრუქტურა მათემატიკურად ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

- ეს ტექსტები ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობ ენაზეა, ვერ იშიფრება, მაგრამ ის ნამდვილად ტექსტებია. ამასთან, უჯრედები საუბრობენ ერთმანეთთან, ისევე როგორც ჩვენ. გენეტიკურ აპარატს გააჩნია დაუსრულებლად ბევრი ენა.
- ადამიანი თვითწაკითხვადი ტექსტური სტრუქტურაა. ჩვენი ქრომოსომები რეალიზაციას უკეთებენ ორგანიზმის შენებას კვერცხუჯრედიდან, ფოტონური და აკუსტიკური ბიოლოგიური ველების საშუალებით. კვერცხუჯრედის შიგნით იქმნება მომავალი ორგანიზმის ელექტრომაგნიტური ნიმუში, იწერება მისი სოციალური პროგრამა და ბედიც.
- ეს არის გენეტიკური აპარატის კიდევ ერთი შეუსწავლელი თვისება, რომელიც რეალიზდება ბიოველის კიდევ ერთი სახესხვაობით **ლაზერული ველებით**, რომლებსაც შეუძლიათ არა მარტო სინათლის გამოსხივება, არამედ ხმებისაც.
- ამრიგად, გენეტიკური აპარატი თავის პოტენციალს ავლენს ჰოლოგრაფიული მახსოვრობის საშუალებით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ **რა ფერისაა ჰოლოგრამა,** ამასთან ერთ ჰოლოგრამაზე

შეიძლება ჩაიწეროს უამრავი ჰოლოგრამა. მათი წაკითხვა კი შეიძლება მხოლოდ იმ ფერით, რომლითაცაა დაწერილი.

- **ჩვენი ქრომოსომები** ასხივებენ სინათლის დიდ სპექტრს, დაწყებული ულტრაიისფერით და დამთავრებული ინფრაწითელით, და ამიტომ **შეუძლიათ წაიკითხონ ერთმანეთის ჰოლოგრამები.** ამის შემდეგად იქმნება მომავალი ნაყოფის სინათლისა და აკუსტიკური ნიმუში, პროგრესიაში კი ყველა, მომდევნო შთამომავლობისაც კი!!!
- დნმ-ზე ჩაწერილი პროგრამა შეუძლებელია გაჩენილიყო დარვინის ევოლუციური თეორიის შედეგად. იმისთვის, რომ ჩაიწეროს ასეთი რაოდენობის ინფორმაცია, საჭიროა დრო, რომელიც იმაზე მეტია, ვიდრე სამყაროს წარმოშობის ხანგრძლივობაა.
- **გენეტიკური ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია დიდ მანძილზე.** დნმ-ის მოლეკულას შეუძლია იარსებოს, როგორც ველმა. გენეტიკური მასალის უბრალო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს ორგანიზმში ვირუსების მოხვედრა, მაგ. ვირუს „ებოლას“.
- სწორედ ეს ე.წ. „უმწიკვლო ჩასახვის“ პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მოწყობილობის შესაქმნელად, რომელიც საშუალებას იძლევა ადამიანის ორგანიზმში ჩაინერგოს რაიმე და იმართოს ის შიგნიდან.

ს. გავრილენკო. კვანტური გენეტიკის ინსტიტუტი.

რა შეიძლება ითქვას სამომავლოდ და რა აზრი შეიძლება გამოითქვას ადამიანის გონების განვითარების სამომავლო შედეგებზე? ერთი აზრი უმთავრესია, ადამიანის მომავალი კოსმოსშია და ადამიანის უმთავრესი დანიშნულება კოსმოსში მოღვაწეობას ეხება. ადამიანი ერთადერთი არსებაა დედამიწაზე, ვინც უწონობის მდგომარეობას ადვილად ეგუება. კოსმოსის აღქმა ახლა იწყება, მაგრამ მომავალში უკვე გადაადგილებაზე იქნება უმთავრესი ყურადღება გამახვილებული. ადამიანის კოსმოსში გადაადგილება რობოტის ან მიკროჩიპის

საშუალებით, ამას არა აქვს მნიშვნელობა. გადაადგილება და თავისი თავის გარდაქმნა სხვადასხვა მდგომარეობაში.

უცხო მიწაზე (ეგზოპლანეტების მონახულება) და მასზე სიცოცხლის „დანერგვა“. კოსმიური „გონის“ ნების მიხედვით თუკი იქნება ასეთი „ნებელობა“ ადამიანის მოდგმა კოსმოსში გააგრძელებს სიცოცხლეს. მოხდება სხვანაირი ადაპტაცია და შეიცვლის გარეგნობასაც. თუკი უმთავრესი, ადამიანური ეთიკა, სწორად შენარჩუნდება, მაშინ კოსმიური „გონი“ პირიქით, ხელს შეუწყობს ამ პროცესს და ნაკლები დაბრკოლებები იქნება.

კოსმოსში ასტროფიზიკოსების კვლევებით დიდი დაპირისპირებაა უხილავი მატერიის (არაფერი) და უხილავი ენერგიის (არაის ძალი) შორის. ამ „დაპირისპირების“ შედეგად წარმოიშვა მატერია, ჩვენი კოსმოსი. სხვა განზომილებების მდგომარეობა საეჭვოა ასეთი მატერიალური იყოს. კოსმიური „გონი“ აკონტროლებს მატერიალურსაც და არამატერიალურსაც, უხილავ მატერიასაც და უხილავ ენერგიასაც. დაპირისპირებას თავისი მიზეზი და მთლიანობა აქვს, ჩემი აზრით (მეცხრე ცა, „ბროლის ცა“).

სამომავლოდ ადამიანის განვითარება თავისი ტექნოლოგიური – ახალი მიღწევებით რამდენად შეძლებს ამ დიდი დაპირისპირების მიღმა „გაღწევას“ ანუ „გარდასვლას“, ჩემი აზრით, ისევ ადამიანის გონების სწორი განვითარების ნებელობაზეა დამოკიდებული.

როგორც კვლევებიდან ჩანს, ძველ ადამიანთა რჩეულები კოსმოსის მეტი ენერგიით სარგებლობდნენ, ვიდრე დღეს ანუ „განჭვრეტდნენ“ და „ცის ძალით“ დადებით ენერგიას „ცნობდნენ“, „შეიმეცნებდნენ“. ტექნოლოგია ბევრ რაიმეში სასარგებლო იქნება და ასევე დიდად საზიანოც. ახლო მომავალში, ჩანს, დიდი გამოწვევებია მოსალოდნელი და უნდა მოხდეს ადამიანთა მომზადება საამისოდ. თუკი სწორად იქნება გაგებული დამოუკიდებლობა, მაშინ ადამიანის მოდგმისთვის ყველაფერი სწორად და წარმატებით წარიმართება. დამოუკიდებლობის ხასიათი მეცნიერების განვითარებაში შესამჩნევია და ამოხსნის ან

შეცნობის მიზნისკენ მოძრაობს – მოდგმის გადარჩენა და შთამომავალობაში სუფთა და პატიოსანი ისტორიული გენეტიკის გაგრძელება მთავარი მიმართულებაა.

მიმაჩნია, რომ კოსმიური „გონის“ (ცის ძალის) ძალით ადამიანის გონებრივი განვითარება თავისი ჩარჩოებით ილოცება. კვანტური ფიზიკის მკვლევარები რატომღაც არ ითვალისწინებენ ერთ ფაქტს, რამდენად მისაღებია, ადამიანის თვალით დანახვის, აღქმის დაშვების „ნებართვაზე“ ნებართვა კოსმიური „გონიდან“? დამოუკიდებლობა ზღვარგადასულობას და უწესრიგობას არ ნიშნავს როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსში.

ბუნების და კოსმოსის დაბინძურება, ომები, უმადურობა, უპატივცემულობა, ურწმუნოება, ძალადობა, ბუნებრივის დამახინჯება, შერყვნა და სხვა მოვლენები, საეჭვოა, კოსმიურ გონს იგივე ცის ძალს, კარგად მიაჩნდეს. ადამიანი თავისი სამომავლო საქმიანობით კოსმოსში სამოღვაწეოდ მიისწრაფის, ეს მისი მოვალეობაა. ამრიგად, ადამიანი თავისი გაღვიძებული გონებით არის კოსმიური გონის (არამატერიალური, განუზომელი კოსმიური ცნობიერება) ერთგვარი პროექტი, რომლის სამომავლო მოვალეობა (თუკი მშვიდობაა) უდიდესი განზომილებებისკენ მისწრაფება და ჩართულობაა. დედამიწა ერთგვარი პლაცდარმია ადამიანისთვის, რომლის მოღვაწეობის უმთავრესი ხაზი გადის სხვადასხვა მდგომარეობაზე და რათა უდიდესი სასიკეთო ანუ დადებითი მოქმედებით, უდიდესი კვალი დატოვოს. მადლიერება, რომელიც ადამიანს შეუძლია „წარმოთქვას“ სხვა დონეზე, უკვე ისტორიული ვალია უზენაესის წინაშე. დედამიწა ვერ იქნება მუდამ ადამიანთა თავშესაფარი, რადგან კოსმოსიდან ბევრი საფრთხეა მოსალოდნელი (მეტეორიტები, გამაგამოსხივება, მოხეტიალე შავი ხვრელები და სხვა).

კოსმიური „გონის“ მიმართ სწორი დამოკიდებულება და გაგება მომავალში იქნება უმთავრესი და უპირველესი. შეიქმნება სპეციალური სასწავლებლები, სადაც მომავალ თაობებს ასწავლიან კოსმოსის შესახებ, – მატერიალურის და არამატერიალურის მიმართ საურთიერთო ეთი-

კას. როგორ შეიძლება ადამიანი კოსმოსში გადაადგილდეს სინათლის სიჩქარესთან მიახლოებით (300 ათასი კმ. წამ ში) და თავისი ფიზიკური მონაცემები გადაირჩინოს? დედამიწაზე ადამიანის გონება სოციუმის საშუალებით არსებობს და კოსმოსში როგორ შეძლებს ამას? დროის ცვალებადობას როგორ გადაიტანს და სხვა. მკლევარებს სხვადასხვა ვერსიები აქვთ: სინათლის ფოტონების გამოყენება გადაადგილებისთვის, უხილავი უარყოფითი ენერგიის გამოყენება, ატომური ენერგია და სხვა. ერთია უმთავრესი, კოსმოსში სწრაფი გადაადგილება, რაც დღეს მიღწეულია 40 ათასი კმ. სააათში, ამ სიჩქარით უახლოეს სიცოცხლისთვის გამოსადეგ ეგზოპლანეტასთან მიღწევას ადამიანი შეძლებს რამდენიმე ათასი წლის შემდეგ, რაც ვერაფერი სანუგეშო ფაქტია. ტექნოლოგიური მიღწევები სამომავლოდ ახალი ენერგიის აღმოჩენაზე იქნება ორიენტირებული და ამიტომ მეცნიერების სწავლა სკოლის ასაკიდან დაიწყება.

ამ დროს კი ახალი თაობა მოდის. ყოველგვარი სოციალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური დაპირისპირების ეპოქა უნდა დამთავრდეს და უმთავრესი ყურადღება მეცნიერებას უნდა დაეთმოს. სწორედ ასეთი აზრი ჰქონდა უდიდეს მეცნიერს და აღმომჩენს ნიკოლა ტესლას. რწმენა და მეცნიერება გადარჩენს კაცობრიობას, ამას უნდა სწორად აღქმა.

აქ არ შეიძლება არ ითქვას: კაცობრიობის ზღვარის შესახებ, სადაც ამჟამად ვართ, ერთგვარი გამოსაცდელი ლამაზი „ხაფანგია“. თუკი კაცობრიობა იდეოლოგიის და ტერიტორიების გამო ურთიერთდაპირისპირებას გააგრძელებს და ფუჭად დროს დაკარგავს, თუ ტექნოლოგიას განავითარებს და გონებას გააღვიძებს, ამაღლდება თავის თავზე და იპოვის გამოსავალს – მონახოს კოსმოსში სხვა „უცხო მიწა“ (ეგზოპლანეტები) და გადავიდეს, გააგრძელოს სიცოცხლე მომავალი თაობებისთვის. მეტეორიტების და კომეტების და სხვა კოსმიური გამოსხივებისგან თავდაცვა შეიძლება მხოლოდ განვითარებით. ადამიანის გონებას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს კოსმიური მოვლენების დროს სიცოცხლის დედამიწისეულ ფორმას.

დღეს რა მიღწევა არსებობს მეცნიერებაში? რა თეორიები? და რა ჰიპოთეზებია კოსმოსის და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ?

„კაცობრიობა სწავლობს სწორად კითხვების დასმას“ (გ. დვალი. ას ტროფიზიკოსი). თეორიები და მოსაზრებები ბევრია, მაგრამ აქ მოვიტანთ, ჩემი აზრით, რომელიც უფრო რაციონალურია. დღეს აღმოჩენილია „მოჩვენება“ პროტონი, ჟენევის საკვლევ დიდ ლაბორატორიაში და გვიჩვენებს, რომ ადამიანის თვალის მიღმა ჯერ კიდევ უამრავი აუხსნელი მოვლენა არსებობს. მათ შორის, დღეს საინტერესო საკვლევია უხილავი მატერიის გამოვლინებები, რომლის არსებობა 1930-იან წლებში ასტრონომმა ფრიც ცვიკმა გამოთქვა და 30 წლის შემდეგ მეცნიერმა – ვერა რუბენმა, გალაქტიკებს შორის დააფიქსირა უხილავი მატერიის არსებობა. მთელი კოსმოსი უხილავი მატერიის გარემოშია (გარემოცვაშია) და უხილავი მატერია ყველგან აფიქსირებს თავის არსებობას. გალაქტიკათა მოძრაობისას დინება „ცურვა“ დაფიქსირებულია. კოსმოსში აღმოჩენილია „დიდი მიმზიდველი“ (Grand antraqtor) და მის პარალელურად არის მეტაკოსმოსებიც. ჩემი აზრით, კოსმოსის უამრავი ფერადოვნება წარმოშობილია ერთი ფერიდან და ეს ფერი თეთრი ფერია (ბროლის ცა). მომავლის ასტრონომიული აღმოჩენა იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი. ასევე კოსმოსთა გრავიტაციის ველი და მოძრაობა წარმოშობილია გარეკოსმოსის არსებული უდიდესი გრავიტაციის ძალით, რომლის გრავიტაცია მთელ კოსმოსთა შავი ხვრელებისა და ნეიტრონულ ვარსკვლავთა ერთად აღებულ გრავიტაციას, მილიონჯერ აღემატება. ყველაფერი ურთიერთკავშირშია მატერიალურ კოსმოსში.

გარემომცველი „მეტაკოსმოსი“ (გარდასკნელი) წარმოადგენს უარყოფითი დამანგრეველი ძალის, ატომების დონეზე (არარაის) არსებობას. მატერიალური კოსმოსი საპირისპირო დადებითი მდგომარეობის ენერგიას წარმოადგენს. მატერიალური კოსმოსი, სამყარო, სიცოცხლეც წარმოშობილია საგანგებოდ (არავითარი შემთხვევითობა) უდიდესი გონის მიერ. ადამიანის სიცოცხლე და გონების განვითარებაც მიმართულია კოსმოსში უდიდესი სამსახურისთვის. ადამი-

ანი ტექნიკური განვითარებით გაამართლებს თავის დანიშნულებას და გამართლდება კოსმიურ დონეზეც. დამოუკიდებლობაც გარკვეულ დონეზეა და კოსმიური გონი აკონტროლებს (ღვთის გუშაგნი) ადამიანის „მოღვაწეობას“. ინფორმაციის მოწოდებაც ევოლუციურ დონეზეა და ბუნებრივ გარემოში განვითარებაც უნდა ემთხვეოდეს. რწმენა და მეცნიერება ერთ აზრზე დადგება. – ასეთია ასტროფიზიკოსთა, კვანტური ფიზიკის მკვლევართა აზრი.

ადამიანისთვის ჩაკეტილი სივრცე და მდგომარეობა არ არსებობს (როგორც ამერიკულ ფილმშია „თრუმენ შოუ“), გრძნობს, რომ დიდი გონის მიერაა წარმოშობილი, მაგრამ „გახსნა“ და „გაგება“ თანდათან მოდის და გარკვეულ „ნებაზეა“, წესებზეა. გაზრდა და ცნობიერების „გაღვიძება“ ბუნებრივი ეთიკის წესების მიხედვით მიმდინარეობს და ბუნებრივ კონტექსტში უნდა მოძრაობდეს, ესეც.

ალტრუიზმი სხვა სიცოცხლის ფორმებშიც შეინიშნება, მათ შორის ბაქტერიებშიც, მაგრამ ადამიანში საზოგადოების გამო თავის გაწირვა უდიდეს სამსახურად მიიჩნევა და ასეც იქნება კოსმოსში ცხოვრების გაგრძელების მერეც.

ტექნიკური განვითარება, ტელესკოპების სიძლიერე მეტი ინფორმაციის ამოხსნის საშუალებას იძლევა, მაგრამ ახლახანს აღმოჩენილია უცნობი რადიოსიგნალები გალაქტიკის გარედან. სახ. FRB 180916. რადიო სიგნალებთან ერთად ნათებებიც ჩანს 16 დღიანი მონაცვლეობით, რაც თანამედროვე ასტრონომების აზრით აუხსნელია. იმედია, მომავალში კვლევა ამოხსნის ამ უცნობ ასტრონომიულ მოვლენასაც.

უნდა ვთქვათ ჩვენი ვერსიაც, ერთ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. საკითხი წმიდად ასტრონომიულია. დაფიქსირებულია დღეს, რომ სამყარო ანუ კოსმოსი ფართოვდება და თანაც ეს ხდება აჩქარებით. ჩემი აზრით, კოსმოსი არა მარტო განივრცობა და ფართოვდება, ასევე ივსება (იცამცმება). გავსება ხდება უხილავი მატერიის (არაფერი) და უხილავი ენერგიის ხარჯზე (არაისძალი) დონეზე. ამიტომაც ვერასდროს შევამჩნევთ გაწელვას და რაიმე გაუხშოებას ან სხვა ცვლილებას. სინათლის სიჩქარეც არასდროს შეიცვლება, რადგან კოსმოსი სულ ივსება უხილავი მატერიის ქსე-

ლის დონეზე. ჩემი აზრით „გავსებადობა“ სამყაროს დაბადებიდან მოდის. ეთნოგრაფიულ საღვთო კულტურაში, სადაც უამრავი გადატანითი სიმბოლური კოსმოლოგიური ინფორმაცია დევს, ზეცის სიმბოლო, ცხრა თასი ივსება ბოლომდე და იგი ზეცის მდგომარეობას აღწერს. „გაცამცმული“ საღვთო თასი მნიშვნელოვანია, რადგან არ უნდა გადმოიღვაროს – (დაქცევა სიკვდილთან ასოცირდება). ხუცესი საღვთო თასს ლოცავს, იღებს, ზეასწევს და შესვამს. ადამიანების გამორჩეულად მსახურებით, ამით თავის კოსმოლოგიურ სამსახურს სიმბოლურად აჩვენებს სალოცავში. ჩემი აზრით. გამოთქმები: განვრცობა, გაცამცმული, გარსმოიცავს, შეიცავს და სხვა, უდიდესი ასტრონომიული და კოსმოლოგიური ცოდნიდან მომდინარეობს.

რა შეიძლება ითქვას სამომავლოდ და რა აზრი შეიძლება იყოს უფრო მისაღები რწმენისა და მეცნიერების თანაცხოვრების შესაძლებლობაში?

ერთადერთი ხაზი – კოსმიურ გონთან სწორი ურთიერთობაა. ამის სწავლა და სიღრმისეული გაგება კი ურთულესი იქნება სამომავლოდ – კომპიუტერულ და კვანტურ ეპოქაში.

თუ გვინდა, მეცნიერებაც განვითარდეს სასარგებლოდ (სასარგებლო რა არის იმის გაგებაც კი სწორადაა შესამეცნებელი) და ამავე დროს კოსმიურ გონთან სწორი კავშირი დამყარდეს, დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ადამიანურ ფსიქოლოგიაში. ეთიკის შენარჩუნება და მეცნიერების განვითარება ურთულესი, მაგრამ აუცილებელია. ახლა, როცა გენური ინჟინერია და ხელოვნური კვერცხუჯრე დის გამოყენება დაიწყეს, თანაც სქესის არჩევის უფლებით (ადრე არ იყო დაშვებული). არა მგონია, კოსმიურ გონთან სასარგებლო საურთიერთო მომენტი იყოს. დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცით ბოლომდე როგორ კონტროლდება ადამიანთა სქესთა რაოდენობა, მაგ. დიდი ომების დროს ცნობილია, რომ უფრო ვაჟები იბადებიან, ტყუპების გენეტიკა განმეორებადია მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ თაობებში, არ ვიცით რამდენად ემორჩილება დნმ-ის სტრუქტურა განახლებას და სხვა.

ამ წერილის ვწერდი რუსეთ-უკრაინის ომის დროს. თანამედროვე მსოფლიო კომპიუტერული ტექნოლოგიების და თავისუფალ ინფორმაციულ ეპოქაში თუ ასეთი საშინელი ომის დაწყება ვინმეს შეეძლო, ვერავინ წარმოიდგენდა. ჩემი აზრით, ადამიანთა გარკვეულ სოციუმზე მოქმედებს კოსმიური გონი და მათ უბრუნებს იმ ბოროტ აზრებს, რასაც გასცემენ, ეს მათი ყოველი ნაბიჯის გამოცდაა.

„ომები წარმოშობენ ცივილიზაციას“ ეს ძველი გამოთქმაა, მაგრამ ადამიანთა გონება ასევე განიცდის ტრანსფორმაციას, რადგან სხვა გზა არ აქვს, ან არ ეძლევათ ამის საშუალება. ადამიანთა გონება კონტროლდება, მაგრამ გარკვეულ დონეზე დამოუკიდებელია. კითხვა, „ამერიკაში რატომ დაუშვა ღმერთმა 11 სექტემბერი“ ?, ასეთი კითხვის დასმა შეუსაბამოა, ჩემი აზრით, რადგან ასეთ უბედურებას ადამიანთა გონება უშვებს და არა ღმერთი. ტიბეტელი ბერების ჩანაწერებშია: „ღმერთს ეკუთვნის პირველი და უკანასკნელი სიტყვა“. ტიბეტში, სიმბოლურად, ახალ დაბადებულს პირველ სიტყვას ღმერთის სახელს ასწავლიან და მერე დედამამის სახელის წარმოთქმას. კოსმიურ გონთან (ზეციურ გონთან) ადამიანის გონება „ინფორმაციის მიმღების“ პოზიციაში რომ ყოველთვის მზად იყოს და სუფთად ცხოვრობდეს, ამას ბავშვობიდანვე ასწავლიან. დაახლოებით ასეა საქართველოს მთის კულტურაში, გაუცნობიერებლად. ცხრა თასის (9 ცა) დადგმა სალოცავის სახელზე და ბავშვის მიბარება, დალოცვაც, ადამიანთა კოსმიურ სამსახურისთვის მზად მყოფობას ნიშნავდა ძველიდანვე. ასევე ბორჯღალოს სიმბოლოიანი კვერების გამოყენება „წალწადს“, აშალები (კვერები, აშალები – სარიტუალო, შესაწირი პური) და ა. შ. „ძველად ლოცვა ყველამ არ იცოდის და ბორჯღალოს ამოჭრიდნენ ხეზე ან ქვაზე და ამით ლოცვაც ჰქონდათ ნათქვამი სიმბოლურად“ (გიორგი ლიქოკელი. ხუცესი. 1981 წ.). ასეთივე ინფორმაცია მთის სხვა ღვთისმსახურებისგანაც ჩამიწერია (გადუა არაბული. აყნელი, 2000 წ., გოჩა წოწკოლაური სოფ. მუქო, 2001 წ. ხვთისო პატარაშვილი ცაბაურთა. 2002 წ. ბულაჩაური და სხვა), ადამიანთა გონების და კოსმოგონიურ ძალთან ან ცოდნასთან ურთიერთობის საინტერესო

გამოვლინებაა მსოფლიოს ხალხთა კულტურებში, მაგ. აფრიკის დოგონთა კულტურაში – „ხაგონთა“ კოსმიური ცოდნა. ამ ცოდნის გამო ბევრი კამათია დღემდე მსოფლიოს მკვლევარებში და მეცნიერებში. ამ უბრალო, ბუნებასთან მჭიდრო ჰარმონიაში მცხოვრებმა ხალხმა იცის სირიუსის ვარსკვლავთა განლაგება და რიცხოვნობაც. მეცნიერებს დღემდე ვერ დაუდგენიათ საიდან აქვთ მათ ეს ცოდნა.

ჩემი აზრით, აქ ქართული სიტყვა „განჭვრეტა“-ს მსგავსი მოვლენა უნდა იყოს ადგილობრივებში და გარკვეული ღვთისმსახურებით იგებენ ასეთ ინფორმაციას და ცხოვრებაში გადმოაქვთ სტილიზებულ-შელამაზებულ სიმბოლოებად. ასეთი კვლევის დროს სხვანაირი ვერბალური კვლევაა ჩასატარებელი და სხვანაირი კორექტულობაა დასაცავი. კვლევა არაა სრულყოფილი და ამიტომაც არ არსებობს სათანადო დასკვნა დოგონების „ცოდნის“ შესახებ.

უდიდესმა მეცნიერმა, ნიკოლა ტესლამ, რომელიც ენერგიებზე მუშაობდა, აღმოაჩინა სტრატოსფეროს ენერგიის ძალა. მაგრამ სამწუხაროდ, ამაზე მუშაობის საშუალება არ მიეცა. უფრო სწორად, იმდროინდელმა სამეცნიერო ელიტამ არ დაუშვა. ახლა კაცობრიობა ატომური ენერგიების გამოყენებაზეა გადასული და მსოფლიო გაივსო რეაქტორებით და გამოყენებული ნარჩენებით.

სადამდე მიდის კაცობრიობის მოთხოვნილების მზარდი გრაფიკი? როდის ივლიან მეცნიერება და რწმენა ერთად? როდის გამოჩნდება კაცობრიობის განვითარების მართალი გზა? ეს და სხვა ამგვარი კითხვები ხშირად ისმის დღეს. ადამიანის ცნობიერება, ანალიზის უნარი, შთაგონება და სხვა – ამაზე კვლევები მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ ცნობიერება, როგორც არამიწიერი მოვლენა, თანდათან უფრო ხშირად ისმის მეცნიერებაში. ადამიანის გონების შესაძლებლობა ფიზიკურად იმალება ადამიანის ტვინის შუაში არსებულ ადგილზე, რომელსაც ჰიპოფიზს უწოდებენ და მისი შესაძლებლობა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შეცნობილი. „მესამე თვალი“, როგორც აღმოსავლეთში უწოდებენ. ქართულად „საჭვრეტი“ და სიტყვა „განჭვრეტაც“ (გონებით შორს ჭვრეტა) სწორედ ამ ადგილის ნეირონების

გაძლიერებით ხდებოდა გარკვეულ დროს და გარკვეულ გარემოში. საიდან და როგორ ჩამოყალიბდა ასეთი ადგილი ადამიანის ტვინში, საინტერესოა. ერთადერთი ვერსია – დედამიწისეული „ცნობიერება“ კოსმიური უდიდესი ცნობიერების ანარეკლი ჩანს, ჩემი აზრით. ამრიგად, ადამიანის გონება დღევანდელი სხვადასხვა სპეციალისტთა კვლევების მიხედვით ნამდვილად არ ჩანს ჩვეულებრივი მიწიერი მოვლენა და (ადამიანური ოპტიმიზმიც) ევოლუციის შედეგი თავისი განვითარების პერსპექტივით. მხოლოდ ევოლუციის კანონებით ასეთი საკითხის გადაწყვეტა არაა ბოლომდე დამაჯერებელი. ადამიანის გონების განვითარება, ასეთი მუხტით განვითარებისკენ სწრაფვა, არამიწიერი უფრო ჩანს. კვლევები მომავალშიც გაგრძელდება და უფრო სიღრმისეული დონის დასკვნებიც გაჟღედება.

განსაკუთრებული ნიშანი წერაქვულ დამწერლობაში

საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი სკრიპტოგრამების შესახებ გამოქვეყნებულია რამდენიმე წერილი. კვლევის პირველი ნაბიჯია ეს მონოგრაფია "ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში". სახელდება "ფარული ნიშნები" სკრიპტოგრამების მისამართით პირველად ითქვა ფოტოგამოფენაზე, რომელიც 2007 წლის 10 იანვარს რუსთაველის საზოგადოების დარბაზში გაიმართა. ფარული იგივე დაფარული კავშირშია საკულტო მსახურებასთან და ფართან, რომელიც შექმნილია საკრალური სიმბოლოების მსგავსი დეტალებით (ხევსურული ფარი). ხევსურულ ფარზე შუაგულ ადგილს, ტრადიციული გადმოცემით, „ხატის გუმბათი" ეწოდებოდა. საბრძოლო ფარის სიმბოლოებით გაფორმება ცნობილია უძველესი დროიდან სხვადასხვა კულტურის ხალხში. საქართველოში ფარული ნიშნების კვლევის გამოცდილება არ არსებობს. ვხელმძღვანელობთ უცხოელი პალეოგრაფების გამოცდილებიდან და ქართველი მეცნიერების შრომებით, (ი. სურგულაძე, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ტ. ჩუბინიშვილი და სხვა). სამეცნიერო შრომები, რომელიც ორნამენტულ სიმბოლოებს შეეხება საინტერესოა და ბევრი ინფორმაციით საყურადღებო. უძველესი ნიშან-სიმბოლოების შინაარსის გარკვევისას პალეოგრაფები ყოველთვის ძველ გამოცდილებას იყენებენ. ინფორმაციის შემცველი ფარული ნიშნების ჯგუფი, რომელიც გაუშიფრავია და ორენოვანი (ბილინგვა) ნაწერი არ მოიძებნება რთულია. სირთულე უფრო მეტია, როდესაც საქმე შეეხება საკულტო მსახურების ნიშან-სიმბოლოებს. პირველ რიგში დასადგენია ნიშნები იდეოგრამულია, ლოგოგრამულია თუ მარცვლოვანი. "განმეორებადი ნიშნები შეიძლება გასაღები აღმოჩნდეს დადუმებული საიდუმლოს ამოსახსნელად"- ასეთი აზრი გამოთქვა რამდენიმე

სპეციალისტმა. ჩემი აზრით, ნიშნების განმეორება დამატებით სირთულეს შეიცავს, პირველი, ხელწერის სხვადასხვაობა, მეორე ნიშნების რამდენიმე შესაძლო შინაარსი. მაგ. შუამდინარული (შუმერული) იდეოგრამები, რომლებიც გარეგნულად ფარულ ნიშნებთან მსგავსია, ხშირად ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით იყო გამოყენებული. შეიძლება პირიქით, ერთ ნიშანს ზოგჯერ რამდენიმე სახელი ჰქონდა, მაგ. შუმერული იდეოგრამა ისარი „სიცოცხლე“ და მარცვლოვანი გამოთქმა „ტი“. ეგვიპტური იეროგლიფი წერტილიანი წრე „სინათლე“ და მსგავსი თვალის იეროგლიფით – ღმერთი რა“ გამოისახებოდა. განმეორებადი ნიშნები, რომელიც გვხვდება ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ ძირითადად საკულტო ტაძრებზე და ციხე-კოშკებზეა შემორჩენილი. გეომეტრიული ორნამენტების სახელწოდებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გარეგნული მსგავსება ფარულ ნიშნებთან შესამჩნევია მაგ. „კვერანი“, „ბორჯღალა“, „ვარსკვლავა“ და სხვა. დაფარული შინაარსის ნიშან-სიმბოლოთა გამოყენების ტრადიცია რომ არსებობდა, ამას ადასტურებს „საჭვრეთლები“-ს არსებობა, რომელიც დღეობებში გამოიყენებოდა. „საჭვრეთლებით“ გაფორმებული ქადები ან პურ-საწირები ჯვარ-სალოცავებში ილოცებოდა. ჩანს რომ მხოლოდ გამომსახველობითი ნიშნები არ იყო დაფარული. ხევსურულ ხუცობებში შემორჩენილი ზოგიერთი ტერმინი ან მთელი წინადადებებიც დაფარული ქარიზმული გამოთქმებით არის გაწყობილი მაგ. „მზეი მამარწყვილებულა“, „სახელითა სარხილისითა“, „მზის მყოლი ანგელოზი“, „მწარე ახსნა სულნი ჩვენნი, აუტივნა ტილონი ან ხილო ამ შტოლოებაო სარწმუნოებაო“ და სხვა. (ალ. ოჩიაური. „ქართული დღეობების კალენდარი“). ხუცობის ტექსტების შეფარული ტერმინოლოგია რომელიც „ჯვარის ენის“ ლექსიკონსაც შეიცავს, მსგავსია ფარული ნიშნების საკრალურ ხასიათთან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფარული ნიშნები ქართულ კულტურას რომ მიეკუთნება აშკარაა, რადგან ასეთი იდეოგრამები ქვებზე მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მეტნაკ-

ლები რაოდენობით გვხვდება. ხევსურეთში და თუშეთში შემორჩენილი ფარულ ნიშნების მსგავსი დეკორატიული გეომეტრიული ორნამენტიკა, ასევე ზოგად ქართულია (სახელწოდებებიც ქართულია). პირაქეთ ხევსურეთის სოფელ ბლოს შემორჩენილი კრიპტოგრამებიანი ქვა რამდენიმე ფაქტით იქცევს ყურადღებას. ქვა დიდი ზომისაა და მდებარეობს „მუხის წმინდა გიორგის“ ჯვარსალოცავის დარბაზის კართან. სოფ. ბლო დღესაც საავტომობილო (სამარხილო) გზის გარეშეა და ქვის მიტანა სხვა ადგილიდან გამორიცხულია. ჯვარ-სალოცავი სადაც ქვა ინახება, უხსოვარი დროიდან, ტრადიციული საკულტო ძეგლებით არის ცნობილი. სოფ. ბლოს 1926 წლის აღწერით 111 ადამიანი ცხოვრობდა. გამორიცხულია ძველ ხუცესებს არ სცოდნოდათ კრიპტოგრამების შესახებ. პირაქეთ ხევსურეთის სოფელ ბლოში დაცულ ფარულ ნიშნიან ქვაზე ჩანს ხე და ოთხწერტილიანი ჯვრის გამოსახულება, რომლის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი. გამორჩეული, განსაკუთრებული ნიშანია, წერტილებიანი ჯვარი. ფარული ნიშნების მიმართ კვლევა თუ არ დაიწყო, მათი არსებობა გვერდზე ჩაგვივლის და დაგვეკარგება სამუდამოდ. მსჯელობა რომ პროფესიონალურ დონესთან მიახლოებული იყოს, ჩემი აზრით აუცილებელია სიმბოლოების ისტორიას გავეცნოთ. ამჯერად ინტერესის სფეროა ჯვარი წერტილებით (ოთხწერტილიანი ჯვარი) იდეოგრამა თუ იეროგლიფი მიახლოებით რომ გავიგოთ აუცილებელია საერთო სურათის წარმოდგენა.



რა სახელწოდებით გამოიყენებოდა ლოკალური ნიშანი. საერთო სურათია: შუამდინარეთული, ხმელთაშუა ზღვის აუზის და მცირე-

აზიის უძველესი პიქტოგრამების მიხედვით ოთხკუთხედით (კვადრატით) გამოისახებოდა სახლი ან საცხოვრისი, ან საკულტო ნაგებობა (ოთხკუთხედში დიაგონალზე ჩახატული ჯვარი). წრე ან წრის დახმარებით გამოსახული იდეოგრამა ხშირად თვალის, ცის ან ზეციური სამყაროს აღმნიშვნელი იყო. ერთი და იგივე გრაფიკული ხაზოვანი ნიშანი, სხვადასხვა სახელწოდების ჩანს სხვადასხვა ხალხთა კულტურაში, მაგრამ მისი თავდაპირველი პიქტოგრაფიული (ხატოვანი) სახელი ყველგან ერთნაირია. „ჩვენ ვხედავთ რომ უძველეს ხალხებს ჰქონდათ ერთნაირი ფორმა რაიმეს გამოხატვის“ (იან დევიდსონი. უძველესი პიქტოგრამების მკვლევარი. ნიუ ინგლენდის უნივერსიტეტის პროფესორი). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ ფარულ ნიშნებში განსაკუთრებულ ფიგურად ჯვარია წარმოდგენილი ოთხი წერტილით. ძირითადად სტატიურად მდგარი ჯვარი მხრებს შორის ოთხი წერტილით, ან ორი ან ხუთი ამოკვეთილი წერტილებით. ასომთავრულში დაცული უძველესი მოხაზულობის ასოები, რომელიც არც ბერძნულში და არც არამეულშია ყურადღებას იქცევს ფარულ ნიშნებთან მსგავსებით. ამ შემთხვევაში ასომთავრულის “წ” და “შ”-ს მოხაზულობაა ჩვენთვის საინტერესო. ვერტიკალურ ხაზთან ორი ნახევარწრით შექმნილი ასო აშკარად უძველესი იეროგლიფური (კრიპტოგრამული) ნიშნების გამარტივებულ სახედ შეიძლება ჩაითვალოს.



ოთხწერტილიანი ჯვრის იდეოგრამაც უძველესია. მისი ადრინდელი სიმბოლიკა მკლავებმოხრილი წერტილებიანი ჯვარია. მკლავებმოხრილი ჯვარი (სვასტიკა) საქართველოში მტკვარ-არაქსის პერი-

ოდს (ძვ.წ. III ათასწ) მიეკუთნება. კუთხედებით შექმნილი ასეთივე შუმერული სიმბოლოც ძვ.წ. III- IV ათასწლეულისაა. ანატოლიის ტერიტორიაზე 8000 წლის წინანდელი სვასტიკის მსგავსი გამოსახულებაა ნაპოვნი. ბოლოებმოხრილი ჯვარი წერტილებით გვხვდება ხარაპულ დამწერლობის ნიშნებშიც (მოხენჯოდაროს დამწერლობის ნიშნები გაუშიფრავია). ძვ.წ. II ათასწლეულის პერიოდისაა სვეტამბარული ბოლოებმოხრილი ჯვარი წერტილებით. ჯაინიზმის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლიკა წარმოდგენილია ორი ფიგურის შეერთებით. სვასტიკა ოთხი წერტილით და თავზე შუმერული "ზეციური ნავის" მსგავსი ფიგურა. მათ შორის წერტილებია და წერტილებს თავისი სახელწოდებებიც აქვთ ინდურ ენაზე .მაგ. "სამყოფელი განთავისუფლებული სულის", "მართალი ცოდნა", "არსებული ზეცა", "დადებითი ადამიანური", "არსებული ცხოველური", "არსებული ქვესკნელური". სვასტიკა სანსკრიტულად „კეთილად მყოფადის" მნიშვნელობითაა.

სვასტიკა სხვადასხვა მნიშვნელობით არსებობდა, იმის მიხედვით თუ საითკენ იყო მოხრილი მკლავები. მკლევარების მიერ გამოთქმულია აზრი რომ ხარაპული დამწერლობის ენა, რომელიც დღემდე გაუშიფრავია, შესაძლოა უძველეს ინდოეთის (სინდი) ტერიტორიაზე შემორჩენილი კრიპტოგრამების დედა ენა იყო. წინაინდოევროპული ენის გარკვეული ნაშთები მოიპოვება დღევანდელ დრავიდულ ენაში (სამხრეთ ინდოეთი). ანალოგიურად ეგვიპტის ქუშიტურ, კოპტურ და ბერბერულ ენების, რომელშიც შემორჩენილია "მთელი რიგი ძირი ფენა უძველესი ენისა" (ჰ. შუხარტი). ვერსია რომელსაც სკრიპტოგრაფები გვთავაზობენ შემდეგია: ბოლოებმოხრილი წერტილებიანი ჯვრიდან (სვასტიკა) მიღებულია ჩვეულებრივი ჯვარი წერტილებით. სიმბოლიკიდან წარმოშობილია დამწერლობის ნიშნები. ასეთი აზრი საფუძველმოკლებული არ ჩანს, მაგრამ აქაც ბევრი საკითხია ბურუსით მოცული. ხეთურ-ლუვიურ

დამწერლობის ნიშნებში ჯვარი ოთხი წერტილით იშვიათად გვხვდება და მისი სემანტიკური მნიშვნელობა გაურკვეველია (დეტერმინატივი არ აქვს). ხმელთაშუაზღვის აუზის ტერიტორიაზე უძველესი დროის ასეთი სიმბოლიკა იშვიათად ჩანს. გამონაკლისია ეგვიპტური, კრეტული და ეგეოსური კულტურა (ტროა). ჯვარი მხრებს შორის ოთხი წერტილით ხშირად ფიქსირდება მცირე-აზიის ძველ ტერიტორიაზე. ფრიგიულ კერამიკაზე ძვ.წ. VIII ს. (გ. აკურგალი "ფრიგიული კერამიკა" 1953). საქართველოში, კერძოდ კახეთში აღმოჩენილია, ზომორფული ფიგურა (ძვ. წ. 9-10 ს.). ბრინჯაოს ირემის გვერდებზე გამოსახულია სვასტიკა და სიმბოლო-სკრიპტოგრამა, ანალოგიურია რაც ხევსურეთში და თუშეთშია (ნივთი დაცულია სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). ჯვარი ოთხი წერტილით ხშირია ადრექრისტიანულ ტაძრებზე კაბადოკიაში (დღევანდელი თურქეთი), როგორც დეკორი. ჩანს, რომ სკრიპტოგრამული ნიშანი გადმოსულია ადრე ქრისტიანულ დეკორში და სიმბოლიზირებულ ორნამენტიკაში. საქართველოში ადრე ქრისტიანულ ტაძრებზე არის წერტილებიანი ჯვრები: დმანისის სიონის ლაპიდარულ წარწერაში, სოფ. ხცის ტაძრის წარწერაში, სოფ. წებელდის სამშენებლო წარწერაში და სხვა. ოთხ წერტილიანი ჯვრის პრინციპზეა აგებული რამდენიმე ქართული ადრე ქრისტიანული ტაძრის საფუძველი მაგ. მცხეთის ჯვრის საძირკვლის გეგმარება, ტაო-კლარჯეთში ბანას ტაძრის საძირკვლის გეგმარება და სხვა. ქრისტიანულ წიგნებში მაცხოვრის სიმბოლოა ოთხ წერტილიანი ჯვარი.



სამცხე-ჯავახეთში შემორჩენილია ტაძრის ქვებზე ოთხწერტილიანი ჯვრის გამოსახულება მაგ. საფარის ტაძარზე. სოფ. რკონის

ქრისტიანული ტაძრის ჯვრის ორნამენტიკა, სიმბოლოებით გამოსახული, შინარსობრივი კომპოზიციაა. ოთხი დეკორატიული ფიგურიდან ორი ერთმანეთის მსგავსია, ხოლო ქვედა ორი ფიგურა სხვადასხვაა. რკონის ქრისტიანული ტაძრზე – ჯვარი ოთხი ფიგურით, შესაძლოა უძველესი სემანტიკის ტრადიციულ გამოძახილს წარმოადგენდეს. საყურადღებოა სოფ. წილკნის IV საუკუნის ტაძარის სიმბოლო-ორნამენტები. და სოფ. ბავრის (ახალქალაქი) მართლმადიდებლური ტაძრის სიმბოლოები. ამ უკანასკნელში საკურთხეველში აფსიდის ქვაზე შემორჩენილია სვასტიკის ტიპის ნიშანი. კვადრატში ჩასმული ოთხწრიანი ჯვრის პრინციპზე ჩანს ქართული ასომთავრულის კანონზომიერების მხატვრული საფუძველიც. მკვლევარები ე.წ. „კვადრატის პრინციპებს“ უწოდებენ. სკრის ხეობაში სოფ. კოშკების „ღვთისმშობლის“ ეკლესიის გეომეტრიულ ორნამენტებში (ჯვართან) ჩართულია ასტრალური სიმბოლო-კრიპტოგრამები. სავარაუდოდ ადრექრისტიანული ტაძრები შენდებოდა წინაქრისტიანული სალოცავების ადგილზე და უძველესი სიმბოლოები გადმოსულია ქრისტიანული ძეგლების გაფორმებაში, ასეთია სპეციალისტების აზრი. წერტილოვანი ჯვარიც ერთ-ერთი მათგანია. ჯვრის წერტილები რომ სხვადასხვა შინარსობრივ დატვირთვას შეიცავდა, ამას ადასტურებს ძველი ინდური სვეტამბარის ოთხწერტილიანი მკლავებმოხრილი ჯვრი. ორნამენტის სიმბოლოების კვლევის ქართველი სპეციალისტები ოთხწერტილიან ჯვარს მიაკუთნებენ, მზის ოთხ მდგომარეობას ან ქვეყნის ოთხ მხარეს (ი. სურგულაძე). ფარულ ნიშნებში ოთხწერტილიანი ჯვარი გამოსახულია სხვადასხვა ასტრალური მნათობების გვერდით, რომელიც ზოგჯერ წრეებით იცვლება და მისი მზის სიმბოლოდ გაგება გაჭირდება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება რომ ჯვარი ოთხი წერტილით არც მზეს, არც დედამიწას, არც მატერიალურ სამყაროს არ ასახავს, იგი უფრო მნიშვნელოვანი შინარსის მატარებელია. ჩემი აზრით ადრექრისტიანულ წიგნებში და ლაპიდარულ წარწერებში მაცხოვრის ერთ-ერთი სიმბოლიკა ოთხწერტილიანი ჯვარი გადმოსულია წინაქრისტიანული ღვთისმსახურების (ჯვართმსახურების) სკრიპ-

ტოგრამებიდან. ადრეული შუასაუკუნეების მღვდელთმსახურებმა შესაძლოა იცოდნენ მიახლოებით მაინც ამ სიმბოლოს უძველესი სახელწოდება. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ მიიჩნიეს რომ წერტილოვანი ჯვარი მიესადაგებოდა მაცხოვრის სახელსაც. წარმოიშობა პრინციპული კითხვა, რას ნიშნავდა ქართულ სამყაროში ქრისტიანობამდელი ფარული ნიშანი: წერტილოვანი ჯვარი? იდეოგრამის შინაარსი მიახლოებით რომ ამოვიცნოთ, სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ხელწერის ანალოგიური ნიშან-სიმბოლოები უნდა ინახოს. სხვადასხვა ხელწერა ზოგჯერ ხსნის დაფარულ შინარსს. სხვადასხვაგან განმეორებული იდეოგრამა შეიძლება ისეთ დამატებით ფორმებს გამოსახავდეს, რომლის პირდაპირი ხასიათი გამოჩნდეს. უძველეს შუმერულ თიხის ფირფიტებზე და ცილინდრებზე გვხვდება ოთხწერტილიანი ჯვარი რომელიც ასევე გაუშიფრავ ტექსტებს შეიცავს. ქართული ენისა და უძველეს შუმერულ ენაში მსგავსი სიტყვების შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩანს რომ მხოლოდ არა მარტო ენაა მსგავსებაში არამედ ფარული ნიშნებიც ურთიერთმსგავსნია. ამიტომ შუმერულ ტექსტებში მოხსენიებული ასტრალური სიმბოლოების და ღვთაებების სახელებში შეიძლება „გასაღები“ აღმოჩნდეს. ასტრალურ-კოსმოგონიური სიმბოლოები ფარულ ნიშნებში წამყვანია. ასტრალური სიმბოლოები ყველა მოძრაობას ასახავს: წრიული, სპირალური, გვერდითი და სხვა გასხივებული დისკები. ქართული დედაბოძის დეკორატიულ გამომსახველობაში „ღვთაებრივი“ ნიშნები სწორედ ასტრალურ სიმბოლოებს ეწოდებოდა. ასტრალური ყველა სიმბოლო რადგან მოძრაობის ამსახველია, მაშინ წერტილოვანი ჯვარიც უძრავ მდგომარეობის მნიშვნელობას ნამდვილად არ ასახავს. მაშინ რის მოძრაობას ასახავს? ხევსურულ საბეჭდავებში, რომლებიც იმეორებენ ფარული ნიშნების ფორმებს, გვხვდება კიდევ ერთი სიმბოლო, ჯვარი ოთხი წერტილით, რომელიც განსხვავდება იმით რომ წერტილებს „კუდები“ აქვთ და ბოლოები მიმართულია ნაპირებისკენ (მოძრაობენ შუაგულისკენ). საბეჭდავები ადრე ბევრი იყო და სამწუხაროდ დაიკარგა და განადგურდა უმეტესობა

(კომუნისტური პერიოდი). მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა მუზეუმებში და ეთნოგრაფიულ სამხარეო მუზეუმში სწორედ ასეთი ორნამენტიანი საჭვრეთელია (საბეჭდავი).

ხის საჭვრეთლები ტრადიციის მიხედვით მოდიოდა. მასზე გამოსახული სიმბოლოები ჩანს რომ უფრო უძველეს ფორმებს ინახავდა და ქვის ფარულ ნიშნებთან შედარებით გამარტივება, დახვეწას ნაკლებად ექვემდებარებოდა. ოთხ წერტილიანი ჯვრის მსგავსია ასევე უძველეს შუმერული ერთ-ერთი სიმბოლიკაც, რომელიც შემდეგნაირია: ჯვარი (წრეებით) მრავალწერტილებით. ჯვრის მხრებს შორის არა ოთხი წერტილია, არამედ თორმეტი. თითოეულ მხარეს 3-3 წერტილია მწკრივზე განლაგებულნი. შუაგულიდან ნაპირებისკენ მიემართებიან წერტილები, ისეთნაირად რომ თითქოს მოძრაობის მაჩვენებელია. ანალოგიური ნიშანი ჩანს ტროას გვიანდელ არქეოლოგიურ ნივთზეც. თუშეთის ფარულ ნიშნებში ჩანს სხვა ხელწერის ტირეებიანი ჯვარი. ყველა ეს ნიშნები ვიზუალურად მოძრაობის ამსახველია. მოძრაობა არა გვერდულად, არამედ შუგულისკენ, პირდაპირ სიღრმისკენ. ხევსურეთის სოფ. ზენკისტანის ქვაზე ოთხკუთხედში დიაგონალებზე ჩახატული ჯვრის თავზე ფიქსირდება სწორი ჯვარი წერტილებით. ზედა ჯვარი უმთავრესია (ზეციურია) ამ შემთხვევაში. ფარულ ნიშნებში ჩანს რვატოტიანი ვარსკვლავა წერტილებით და წრეებითაც. ხევსურეთის სოფ. ბისოს სალოცავის კარის გვერდით ქვის ნიშანი, რომელიც ნახევარწრეებით განკერძოებულია და ცალკე საკვლევი თემაა. თუშეთის სოფ. ჰელოს ქვაზე წერტილოვანი ჯვარი წრით ფიქსირდება.



იბერიულ დამწერლობაში (ძვ.წ. 5 ს) სადაც ორი წერტილი რამდენიმეგან ჩანს, ფარულ ნიშნებთან ბევრი მსგავსებაა. საინტერესოა რომ „კო“ მარცვალი ორ წერტილიანი ჯვარია. „კო“ მარცვლად იკითხება მეორენაირი ნიშანიც: ორი სამკუთხედი. წვეროებით მიერთებული. იბერიული დამწერლობის წარმომავლობა ბოლომდე გარკვეული არაა და მისი გაშიფრაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. იბერიული ტექსტები წაიკითხეს მ. გ. მორენომ და პ. ვილაგრესმა „კო“ მარცვლის გარდა საინტერესოა სხვა ნიშნებიც, სადაც ქართულ ორნამენტის ფორმებსა და დასახელებებს შორის ჩანს მსგავსებები მაგ. „ბორჯღალა“ და „ბო“, „დედამიწა“ და „დე“, „კვერანი“ და „კუ“, „შატა“ (ჯვარი) და „ტა“ და სხვა. სამკუთხედი წვეროებით ერთმანეთთან დაკავშირებული, უძველეს შუმერულ იდეოგრამებში „კავშირის“ სახელითაა. ასევე რვატოტიანი ვარსკვლავა „ღმერთის“ სახელით. უძველეს შუმერულ ტექსტებში გვხვდება საინტერესო სახელწოდება „ღმერთის კარი“, „ცის კარები“ (ქა-დინგირ-რა). აშკარაა რომ რომელიმე ასტრალური სიმბოლიკა სწორედ „ცის კარები“-ს აღმნიშვნელია...







საქართველოში, კერძოდ ხევსურეთში ღვთისმსახურების უძველესი ტექსტებია დღემდე მოქმედი. გვხვდება „ღვთის კარის“ და „ცის კარის“ ურთიერთმონაცვლეობის ფაქტები. მაგ. „ჩემ სიტყვა ღვთის კარზე (მეორეგან ცის კარზე) აიტანეთ, მადლი მამითხოვეთ“.... „სადიდებლები“ (ხ. მამისიმედაშვილი). „ღვთის კარი“ იგივე „ცის კარია“ იგივე „წმიდა კარი“ და საერთოდ სიტყვა „წმიდა“ გამავალ „კარსაც“ აღნიშნავდა, ჩემი აზრით. კარი ანუ გასასვლელი სხვა სამყაროში, სხვა სიღრმეში. ქართულ ენაში ბევრი სიტყვა თუ ტერმინი საკრალური, უძველესი მნიშვნელობის ნაკვალევს ატარებს. სიტყვა „ცისკარი“ დღეს განთიადს ჰქვია, შესაძლოა ადრე „ჯვარის ენიდან“ იყო და „ცის კარებს“ აღნიშნავდა. ამ დროს „წმიდა“ ღვთისმსახურების ტერმინია და მეორენაირად მცირე (უწვრილეს) მოცულობის ხაზსაც აღნიშნავს (წვრილი იგივე წმიდა. ს. საბა). ჩემი აზრით, „ცისკარი“ გასასვლელია სხვა განზომილებაში და მითოლოგიურ გადმოცემებში „წმიდა კარი“ იგივე „ღვთის კარია“. ხევსურულ ლექსიკონში წმიდა წვრილის აღმნიშვნელია (წმიდა თმა). სიმბოლიზირება ტექსტების ან ტექსტების ნაკვალევი ფარულ ნიშნებში, ჩემი აზრით გამორიცხული არ არის. „სამყაროს შორის არსებული, საზღვრის სიმბოლიზმი ემყარება კოსმოგონიურ სისტემას, მომდინარეობს მისგან და ქმნის სამყაროს ხატს ტაძრებისას“. „ამგვარად ტაძარი სამყაროს ხატია, ხოლო ტაძარი და მისი კარი, ფუნქციებიდან გამომდინარე, ერთმანეთის იდენტურია, რამდენადაც ორივე, კოსმოგონიური სიბრძნის გამტარად ითვლება“. (ნ. აბაკელია). ანუ ეს ის ადგილია, რომელიც შეესაბამება თაღის „თვალს“, ხოლო, ეს უკანასკნელი კი მიიჩნევა „სამყაროს ღერძის ზედა ბოლოდ – „კარად“, რომლის მეშვეობით ხორციელდება გასვლა კოსმოსში“. „ღვთის კარზე ამოსული მირონმდინარე ხის ხატება სამოთხის ხატების მიმანიშნებელია. ადგილობრივი სიმბოლიზმის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი იეროფანით მიღებული „ღვთის კარის“ სიმბოლიკის მატარებელი ობიექტები თავიანთი ფუნქციებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს სხვა

სამყაროში „გარღვევის“ ადგილებად, რომელთა მეშვეობით ხდება გადასვლა ჟამიდან უჟამობაში“ (ვ. ბარდაველიძე). ზემოთ აღნიშნული დმანისის სიონის ლაპიდარულ წარწერაში მაცხოვრის სიმბოლო ოთხწერტილიანი ჯვარი შეიძლება „სიღრმეში“ გასვლის (წმიდა კარი) უძველესი სახელწოდებიდან მომდინარეობდეს, „მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“. იოანეს სახარება. X თავი. „ღვთის კარი“, „წმიდა კარი“, „ცის კარი“, „წმიდა“ შეიძლება სწორედ ასეთი შინაარსი ჰქონდა უძველეს ქართულ სამყაროში ფარულ ნიშანს, რომელიც ოთხწერტილიანი ჯვრის სახით მოვიდა დღევანდლამდე. ორი წერტილით გამოსახულია ხმალი რომელიც ანთროპომორფულ ფიგურას უკეთია. იხ. “ფარული ნიშნები”. სალოცავის და ციხე-კოშკების კარების თავებზე ან გვერდით გამოსახული წერტილებიანი ჯვარი განსაკუთრებულია. კონკრეტულად, ხევსურეთის სოფ. ბლოს სალოცავის კართან აღსანიშნავია ქვის ნიშნები. პირაქეთ ხევსურეთის სოფ. ბლოს სკრიპტოგრამიანი ქვა დაცულია ჯვარ-სალოცავის დარბაზის კართან. ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა და მასთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა: „გიგაი და ანთა (თავისი მოძმე) როცა მოსულან ბლოს საცხოვრებლად, ანთანი ქვევით წყლის პირზე დასახლებულან, სადაც ახლა ჯვართ დარბაზნია. გიგა ზემოთ დასახლებულა სადაც ახლა გიგაურთ სახლებია. „სალოცავი ჭიშელით მისულა. დარბაზი ადრე აქეთ იყვ, გზისკე. ეგ ქვა ადრეაც კართან, სკამად იდვავ. წინავ ძალიან წმიდად უცხოვრავ ჯვარის მსახურთ და ყოფილ ერთი წმიდა მედროშაე ანთაური მგელა. მამკვდარ ეს კაცი და მაგ ქვაზე ყოფილ დაუსვენებულ სამ დღე, გაცოცხლებულ იქავ. მაგ ქვაზე რადაღ იყვ დასვენებულ აღარავის ახსონს. ძალია ძველ ამბავი.“ სალოცავის დარბაზი გვიან გადატანილი დღევანდელ ადგილზე.



„ეგ ქვაიც ეტყობა ომიკათ გიგიაის გადატანილი და იმაად დაწერ თავის სახელი. ჯვართან სკამად დადებულ ქვაზე რო ნიშნებიი, არავის ახსონს, რა როდინდელი. ყურადღება არავის მიუქცევავ.“ (ინფორმაცია მოგვაწოდა ადგილობრივმა მცხოვრებმა, 75 წლის ჩაჩაურ გიგაურმა). ქვაზე 5-მდე იდეოგრამაა გამოსახული. ხუთი ნიშნიდან ერთი აღარ შეიცნობა (წაშლილია). ნიშნები ქვის გვერდზეა ამოკვეთილი და საკმაოდ ძველია. ჯვარი ორი წერტილით, ტირეთი, ელიფსები, ტოტებგაშლილი ხე, ჯვარი ოთხწერტილით და ვერტიკალურ ხაზზე ჰორიზონტალურად გადამკვეთი ორი ხაზი. ფარულ ნიშნებს მიმატებული აქვს გვიანდელი წარწერა “გიგია” “1934”. სალოცავის სახელია “მუხის წმიდა გიორგი”, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებობს და კონკრეტული საგვარეულოს ძირძველი წმიდა ადგილია. სალოცავში დაცულია მკვრივი და დიდი მუხის ხეები. ქვის ფარული ნიშნები თუკი შეესაბამება სალოცავის სახელწოდებას, მაშინ ეს საკითხი სიღრმისეულად გამოსაკვლევია. მარცხნიდან პირველი და მეორე იდეოგრამის შესახებ არანაირი ვერსია არ გვაქვს, ხოლო მომდევნო ფარულ ნიშნებში ხის სიმბოლო ძალიან ჰგავს „მუხის“ გამოსახულებას, მის გვერდით ოთხწერტილიანი ჯვარია. რაც შეეხება „წმ. გიორგის“ გამოსასახავად „საქართველოში, თითქმის ყველა წმიდა ხე ან ტყე წმ. გიორგის სახელს უკავშირდება“. „წმ. გიორგის სახელწოდება ენობრივი თვალსაზრისით განხილული აქვს ნ. მარს და სახელდობრ მუხასთან აკავშირებს“ (ვ. ლომაია, ვ. ბარდაველიძე).

ვერტიკალურ ხაზზე გადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზი ძალიან ჰგავს მითოლოგიურ ალვის ხეს, რომელიც წმ. გიორგის სახელს შეიძლება აღნიშნავდეს. „მუხის“ ხესთან შედარებით ეს ხე გაცილებით სტილიზირებულად (გარკვევით) არის გამოსახული. (ანალოგიური სიცოცხლის ხის სიმბოლიკა „თურ“ გამოისახებოდა შუმერულ იდეოგრამებში). ანალოგიური „სიცოცხლის ხის“ იმიტირებული ნივთია ხევსურული „მაშხალა“, რომელსაც ქორწილებში იყენებდნენ და დღესაც ზოგან შემონახულია ტრადიცია. მსგავსი ნიშანი ძველ დამწერლობაშიც ფიქსირდება მაგ. ხეთურ-ლუვიურ, ფინიკიური, კრეტული, ეტრუსკული, იბერიული ლოგოგრამები. მარცვლოვანი გამოთქმით. მათი სახელებია: „ღვთაება“, „სამეხ“, „ზე“, „ზ“, „ო“. სოფ. ბლოს კიდევ ორი სალოცავია: „მიქაელ-მთავარანგელოსი“, თავისი ციხე-გორით და „გიორგი მგზავრის ანგელოზი“. ოთხწერტილიანი ჯვარი ხის სიმბოლოს გვერდით სხვაგან ჯერ-ჯერობით არ შეგვხვედრია. ჯვარ-სალოცავების მიმართ მორიდების გამო ფარულ ნიშნიანი ქვები, რომელიც სავარაუდოდ შიდა კედლებშია, დაუფიქსირებელი რჩება. ასეთია ხევსურეთში, სოფ. უკანხადუს „საჯანგე“ და კისტანის სალოცავის შენობა. აღნიშნული ფარული ნიშნები ანალოგიურია ხევსურეთის და თუშეთის ქვის ნიშან-სიმბოლოებისა. სოფ. ბლოს ფარულ ნიშნებში გამოყენებული წერტილოვანი ჯვარი „წმიდა“-ს მნიშვნელობით შეიძლება ამ შემთხვევაში იგულისხმება, ხოლო სხვაგან სხვა მნიშვნელობით. უდავოა ერთი, აღნიშნული ნიშანი ე.წ. „ღვთაებრივი“ ასტრალური სიმბოლოების ჯგუფიდანაა და საკულტო ტრადიციულ მსახურებაში უძველესი დროიდან ფიქსირდება. წერტილოვანი ჯვარი „წმიდა“-ს და „კარი“-ს რომ მიუთითებდა „კარატის ჯვარი“-ს ფარული ნიშნებიც ადასტურებს, რომელიც ჯვარ-სალოცავშია, საბეროს კედელში, კარის გვერდზე. ჩემი აზრით, ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის სალოცავი „კარატის ჯვარი“ უძველესია და „კარის ხატის“ თავდაპირველად შერქმეულ სახელს ამართლებს. სხვა აზრი ამ სალოცავის სახელთან დაკავშირებით არ შემორჩენილა. ამ რეგიონში ქრისტია-

ნობის შემოსვლის დროს დაახლ. V—VI საუკუნეში მოხდა (სინკრეტიზაცია) შერთება ადგილობრივ სარწმუნოებასთან. სარწმუნოებას, რომელსაც ჯვართმსახურებით ვიცნობთ, ქრისტიანობის უძველეს მსახურებასთან კავშირში იყო. თუ რა კავშირია, ეს საკითხი ღრმად საკვლევია პროფესიულ დონეზე. ფარული ნიშნების ცოდნა გადმოსული ჩანს ადრეულ შუასაუკუნეებში და შესაძლოა უფრო გვიანდელ პერიოდშიც გამოიყენებოდა მათი სემანტიკა. ეზოთერული ცოდნა რომელიც უძველეს ქურუმებს და საკულტო მსახურებს ჰქონდათ, ყურადღებას იქცევს დღევანდელი კოსმოსური აღმოჩენების ფონზე. უძველესი ხალხის რჩეულების, ცოდნის მიმართ წარმოდგენაც რადიკალურად იცვლება, როცა „ღვთაებრივ“ სიმბოლოების მსგავსება მოეპოვებათ კოსმოსურ ფორმებთან: გალაქტიკებთან, მეტაგალაქტიკებთან, პლანეტსახის ნისლეულებთან, შავ ხვრელებთან, თეთრ ხვრელებთან და პლანეტარულ მოძრაობებთან. (ვებ-გვერდი. Astronomy Picture of the Day) IC 418. M101. N GC918. NGC 3370. M 81. M83. N GC 4258 და კოსმოსის სხვა ბევრი მსგავსი ფორმები. ფარული ნიშნების ჯგუფში ჯვრის გამოსახულება ხშირადაა და სხვადასხვა ხერხით არის მოცემული. ოთხწერტილიანი ჯვარი ქართულ სამყაროში ერთ-ერთი მთავარი ნიშან-სიმბოლოა. ქრისტიანულში სამსჭვალების მიმანიშნებლად გვიანდელი ჩანს. უძველესი შინაარსი მისადაგებულია მაცხოვრის „წმიდა“ სახელს, როგორც მისი ღვთაებრივი მისტერიის გამომხატველი. ჩემი აზრით, უძველეს დროს მისი სახელწოდება ასტრალურ სამყაროს მთავარ ადგილს აღნიშნავდა.



მისი შემცვლელი ჩანს ჯვარი ოთხი წრით, ვარსკვლავი ოთხი წერ-

ტილით და ერთმანეთში ჩასმული წრეები. ნიშნიანი ქვა-სკამები, რომელიც შემორჩენილია სალოცავებში: ხევსურეთის სოფ. გუდანის ზენა სამღვთო ჯვარში, სოფ. უკანხადუს და სოფ. ბლოში წარმოშობს აზრს რომ ესენი ხუცესების ქვა-სკამებია. ნიშნიანი ქვები, როგორც ნალოცი ქვებია და ასეთი ქვებით გამოვლენილი „ძალა“ თუშეთშიც ფიქსირდება. კონკრეტულ ფარულ ნიშან-სიმბოლოზე გამოთქმული ვერსია წარმოადგენს რამდენიმე წლის დაკვირვების შედეგს და გათვალისწინებულია ჯვარ-სალოცავის გარემო-თავისებურება. მიუხედავად ამისა მიმაჩნია, რომ სხვა მოსაზრებებიც აუცილებლად გასათვალიწინებელია და მთავარი სიტყვა პალეოგრაფ-სკრიპტოგრაფებს ეკუთვნით.

ბიბლიოგრაფია:

1. ვ. ბარდაველიძე. ხის კულტისთვის საქართველოში". საქართველოს მუზეუმის მოამბე. თბილისი. 1926.
2. ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრად. საზოგ.-საკულტო ძეგლები. ტ 1 (ფშავი) თბილისი. 1974.
3. ქ. ელაშვილი ხეთა სიმბოლიკა ძველ ქართულ პროზაში V- XII სს-ის ძეგლების მიხ. ავტორეფერატი. თბილისი 1998.
4. ი. სურგულაძე. ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა. თბილისი 1986
5. ზ. კიკნაძე შუამდინარეთული მითოლოგია. თბილისი 1979
6. ნ. აბაკელია მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში. განც. საქართველოს ეთნოგრაფია. 2007 .
7. ალ. ჭინჭარაული ხევსურული ლექსიკონი. თბილისი 2006
8. ს. მაკალათია „ხევსურეთი" თბილისი. 1984.
9. ნ. ხაზარაძე ლუვიური იეროგლიფების სამყაროში. თბილისი. 2006
10. ხ. მამისიმედაშვილი. სადიდებლები. თბილისი. 1985
11. გ. გიგაური. ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ. 2010
12. Rodrigyez Ramos. Jesus La eskriptura iberica meridional. Zephyrus 55.pp 231-245.2002
13. Correa, Jose Antonio(2002) Los semisilabarios ibericos: algunas cuestiones. ELEA 4.pp 75-98
14. R. Borger. Assyrisch-Babylonische Zeichenliste, 2 nd ed. Neukirchen-Vluyn(1981)
15. A. Falkenstein. Archaische Texte aus Uruk. Berlin-Leipzig (1936)
16. Jain Bhagchandra 1972. Jainism in Buddhist Literature N.
17. А.В. Таруниню Сокралный символ история свастики. м.1970.
18. Д. Дирингер. Алфавит м.1963.
19. Р. Генон. Очерки о Традиции и Метафизике. Сант-Петербург. 2000.

მადლობას ვუხდით ღვაწლმოსილ მეცნიერებს: რამაზ პატარიძეს, მიშა ქურდიანს, ნანა ხაზარაძეს, გიორგი ოთხმეზურს, ავთანდილ არაბულს, ბეჟან აბაშიძეს.

„ჩვენი ვალია ეს ფენომენი მეცნიერულ დონეზე შევისწავლოთ და შევუდაროთ ყველა იმ ნიშნებს და ენებს რაც კავკასიის ტერიტორიაზეა, შემდეგ საერთაშორისო დონეზე შესწავლილ იქნას. ერთი დიდი ნაწილი ქურუმთა ცოდნას უკავშირდება და ეს კი ნამდვილად სერიოზულად მისახედია“ – პროფესორი ქ-ნი ნანა ხაზარაძე, ხეთოლოგი.

„ჩემი აზრით, აუცილებელია საქართველოს მთიანეთში და სამხრეთ საქართველოში მატერიალური კულტურის ძეგლებზე და ენაში შემორჩენილი კოსმოლოგიური ნიშნები და სახელწოდებები , კვლევა უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს. მთელი საქართველოს მასშტაბით დაფიქსირდეს ანალოგიური ნიშნები“ – ისტ. მეცნ.დოქტორი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური 2009 წ.

„საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი პიქტოგრაფიული – ხაზოვანი დამწერლობის ნიშნები და კოსმოლოგიური ტერმინოლოგია ღრმად შესასწავლია. ამ ისტორიული არტეფაქტების გვერდით ენაში დაფიქსირებული მსგავსი ხასიათის სახელწოდებები აშკარად კავშირურთიერთობაშია. მომავალში ახალი მეცნიერების სფერო უნდა გაჩნდეს ქართული ეთნოასტრონომია, პირობითად სახელწოდება ქართული ეთნოასტრონომია ცალკე ფენომენია და ღრმა წარსულიდან მოდის – ენათმეცნიერი, პროფესორი მიხეილ ქურდიანი. 2004 წ. რუსთაველის საზოგადოების დარბაზი, ფოტო გამოფენა „წერაქვული დამწერლობა“

ტაბულა 1



ტაბულა 1





ფოტო 1 კოსმოსური სამყაროს ამსახველი კოსმოგონიური სიმოლოები
ფოტო 2. სვანური კიდობნის გვერდი კოსმოლოგიური ორამენტებით

ტაბულა 2





ფოტო 3. სვანური კიდობანი

ფოტო 4. კოსმოსური სამყაროს ამსახველი კოსმოგონიური სიმოლოები

ტაბულა 3



გრაფიკული ჩანახატი

ფოტო 1. თრუსოს ხეობა. სოფელი აბანო. ციხის კედელში დაცული ნიშნიანი ქვები. ზომა 75X25 სმ

ფოტო 2.

ტაბულა 3



ფოტო 3.

ფოტო 4.

ტაბულა 4

სოფ. ბლოს ტერიტორია, „ქალქვისთავი“... უძველესი მზის ბუდე. ქვაზე ამოჭრილი ადგილები დღის სხვადასხვა დროს, დღემეტობას და ასევე სეზონის სხვადასხვა მდგომარეობასაც აღნიშნავდა. ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა სიმაღლე 190 ს. – სიგანე. 160 სმ. იგი მდენარეობს 2100 მ. ზღ. დონიდან. ამავე ადგილასაა დღემეტობის გამოსათვლელი ქვა – კლდე„ქალიოქროს“ კლდე.

ტაბულა 4



სოფ. სნო. „მთავარანგელოზის ნიში“ 3000 მ. ზღ. დ.

სოფელ სნოში „მთავარანგელოზის“ ნიშის მდებარეობა საგანგებოდაა შერჩეული. ყველას შეუძლია იხილოს მზებუდობისას 22-23 ივნისს, ერთმანეთის თავზე, ერთ ხაზზე როგორ ლაგდება ცისკრის ვარსკვლავი, გერგეტის სამება და ნიში. აქ ამოდიოდნენ საბრძოლოდ მიმავალი მეომრები და უფალს შესთხოვდნენ დახმარებას. ასეთი ადგილების ენერგეტიკა მნიშვნელოვანი იყო ძველი დროიდან.

სამცხე – ჯავახეთის მენჰირი.

ნაყოფიერების და ბარაქის მოსალოცი უძველესი ქვა – სვეტები. ასეთ ადგილებში სპეციალური რიტუალები ტარდებოდა და გარკვეული ლოცვები აღევლინებოდა.

კოსმიური ფორმები და ქართული ეთნოასტრონომიული სახელწოდებები





- ნეიტრონული ვარსკვალავი. წარმოუდგენელი სისწრაფით მბრუნავი დიდი გრავიტაციის ვარსკვლავი და ქართული სახელწოდება „ციბრუტი“. „ბრუტი“, „მასკვლავბრუტი“ და სხვა.
- ანდრომედას გალაქტიკა, ანალოგიურია სხვა გამოსახულებებიც და მსგავსი „ბორჯღალოს“ გამოსახულებები.





- ტყუპა ვარსკვლავი, ტიპაჟი. ასეთი ვარსკვავები ბევრია. ქართული სახ. „უღელა“ ტყუპა ვარსკვლავი.
- შავი ხვრელი. გალაქტკის შუაში მყოფი მდგომარეობა, უდიდესი გრავიტაციის მქონე. ქართული „უკუნითი უკუნისამდე“, „ქვესკნელი“, „უჟამო ჟამი“, „ბნელიცისკარი“ და სხვა.



- კოსმიური სქემა. გალაქტიკათა „ცურვა“ დიდი „ატრაქტორისკენ“ („მიმზიდველი“). ქართული „ქვესკნელი“, „გაცილება“, „მცურავი“ „უსკ-ნელი“ (მიუწდო მელი) და სხვა.



- თხუნელას ხვრელი კოსმოსში. ქართული „ცადკარი“ (უამრავი).



- სხვა განზომილება, გასასვლელი. ქართული ცალკე, ცალკეული, ცათ კარნი, ცალი და სხვა.





- ეგზოპლანეტები. ქართული „უცხო“ მიწა.
- ელექტრონული უცნობი ნათებები, რომელიც ჩნდება წამიერად კოს მოსში. ქართული „ცისკართგახმა“ ან „ცისკართგაღმანი“ და სხვა.





- სინგულარულობა, სამყაროს დაბადება. დახურვა, კოლაფსი. ქართული ლექსიკონიდან „ცათ ჩამახურვა„ (დიდი სიკვდილი), „იყო და არა იყო რა„... სამყაროს დაბადება.
- მზის სისტემა. ქართული „ცხრათვალა“ მზე.





- სავსე კოსმოსი. ქართულად „გაცამცმული“ თასი. სავსე თასი. გავსებადი კოსმოსი.
- ვარსკვლავის დასასრული, გარდაქმნა ჯუჯა ვარსკვლავად. ქართული „გარდაცვალება„, „იცვალა„ და სხვა.





- უხილავი მატერია (ბნელი მატერია). ქართული „არაფერი“, „არაისფერი“ და სხვა (რასაც ფერი არ აქვს).
- უხილავი ენერგია 65 პროცენტია კოსმოსში. ქართულად „არაძალი“. „არაის ძალის ტანებამ“ შუფერებელი ძალის წარმოჩენა.



- კოსმოსის მოხეტიალე ვარსკვლევები. ქართული „ცისკარუზა„, „კარუზა„ და სხვა.
- კოსმოსის რუკა. ქართული „ცარვალი„, „ცათკიდე„ და სხვა.





- კოსმოსიდან მომდინარე ტალღები. ქართული „ცაკვალა“, „ცისექო“, „ცახვა“ და სხვა.
- კოსმოსი, სადაც დრო არ არსებობს და ინფორმაცია ინახება შავი ხვრელის გარშემო სახელწოდებით: „ჰორიზონტის სუპერტრანსფორმაცია„ ქართული „საცავი“, „დამცავი“ „დაცული“ (შემნახველი ადგილი).



- ამოუცნობი მფრინავი ობიექტი გადაღებული 2015 წ. ამერიკელი საზღვაო მფრინავის მიერ. ქართული „ზეცრიელნი“, „ღვთის გუშაგნი“ „მობურთვალნი“ და სხვა.
- მზის სისტემის გარე ასტეროიდების ზოლი. ქართული ლექსიკონში „დაქუცმაცებული„, ქუცმაცა, ნაქუცმაცები და სხვა.





- ასტროფიზიკოსთა ვერსიით მეტაკოსმიური გამოსახულება. გარე-კოსმოსი. ქართული „ზესკნელი“, „ბროლის ცა, მეცხე ცა“, „ნათლის ნათელი“, „უნათლესი“, „დასალოცავი“ და სხვა.
- კოსმოსში შავი ხვრელის გარშემო მბრუნავი უამრავი ვარსკვლავი. ქართული ლექსიკონი „ორომტრიალი“, „მასკვლავთსაბუდარა“ და სხვა.



- კომეტა. ქართული „მასკვლავკუდედი“, „კუდიანი ვარსკვლავი“ და სხვა.
- კოსმოსში ვარსკვლავთა მოძრაობები. ქართული „ცეკვა“. „მოცეკვავე“, „ცეკვავენ“ „ცალ – ცალი“ და სხვა.



- კოსმოსში ბევრი უცნაური გალაქტიკა, ვარსკვალი და მოვლენა. ქართული „უცნაური„ „უცხო„ „საუცხოო„ და სხვა.



- კოსმოსი. ჯუჯა ვარსკვლავების ტიპი. ქართული „ციდა“, ციცქნა (ერთი ციდა).
- შავი ხვრელიდან ამოსული შუქი, „კვაზარი“. ქართული „შუკუნი“, „ნათელის ნათელი“. „ნათელის ბნელი“ და სხვა.

- კოლაპსი. ვარსკვლავის გარდაქმნა შავ ხვრელად. ქართული ლექსიკონი ცავარდნა (ჩავარდნა), დაიქცა, ჩაიქცა და სხვა.



- დიდი ვარსკვლავი. ქართული „ვებერთელა“. ობიექტი იბერება ანუ იზრდება ზომაში.



- გალაქტიკა „ხვეულა“ ერედანის თანავარსკვლავედში. ქართული „სიგირგალი“ „გორგალა“ და სხვა.



- Death and Rebirth. My Experience with Ayahuasca — (Part 2). ქართული ლექსიკონი. „ცისთვალა“, „ცადათვალა“ და სხვა.



- სუპერვოიდ. ერედანის თანავარსკვლავედში. ქართული „ცარიელი“, შიგნით უცხო ელვა, რომელიც ყველაფერ მატერიალურს კეცავს. ქართულად „ცელი“, „მოცელვა“ „მოცელილი“ და სხვა.
- მეტეორიტების წვიმა. ქართულად „ცრის“ „იცრება“, „სცრის“ და სხვა.





- შავი ხვრელი, ვარსკვლავს იხვევს, ყლაპავს. ქართულ ლექსიკონში „აცლის“. „ცლის“ „სცვლის“ „დაცალა“, „გამოაცალა“ და სხვა.
- კვაზარის შუქი. წარმოშობს ვარსკვლავებს. უძლიერესი შუქი გამოდის შავი ხვრელიდან და ნისლეულთა გროვაში წარმოშობს ტემპერატურას და დიდ გრავიტაციას, ვარსკვლავთა დაბადების ერთ-ერთი მიზეზი ასეთი ძლიერი შუქია. ქართულად „ცისქვეთის“ შუქი, „ნათელქმნა“ „მარსკვლავთჩენა“ და სხვა.





- ასტეროიდის ან მეტეორიტის ჩავარდნა პლანეტაზე. ქართული ლექ-სიკონი: დაეცა, დაცემა, ჩაეცა, ეცა და სხვა.
- მას მეცნიერებმა უწოდეს „მოტყუებული“ სუპერნოვას ნარჩენი და დაარქვეს J0624-6948, ის, სავარაუდოდ, მდებარეობს მაგელანის დიდ ღრუბელში (LMC) — ირმის ნახტომის თანამგზავრ გალაქტიკაში — და მისი პოზიცია მიუთითებს ადრე დაუკვირვებელ წარმოშობაზე. ქართულ ლექსიკონში „გორგალი„, გურგალი, ცარვალი და სხვა.

- Arp 273 არის გალაქტიკათა ურთიერთმოქმედი წყვილი. UGC1810, მი სი კომპანიონი, UGC1813. ქართულ ლექსიკონში: მოცეკვავე, ცქიოტი, მოცარული და სხვა.



- გალაქტიკა. „პეპლის ნისლეული“. NGG 6302 ქართულ ლექსიკონში: გა-ცალკევება, ცალკე, გამოცალკევდა და სხვა.



- გალაქტიკა NGG 1232 ქართული სიტყვა „ტრიალი“, „სატრიალებელი“ კოსმიური გამოთქმაა.

- “Constellations: The Story of Space Told Through the 88 Known Star Patterns in the Night Sky~
  Author: Govert Schilling
- “The Human Cosmos: A Secret History of the Stars~
  Author: Jo Marchant
- “A Brief History of Time~
  Author: Stephen Hawking
- Stars and Planets: The Most Complete Guide to the Stars, Planets, Galaxies, and Solar System~ – Updated and Expanded Edition
  Authors: Ian Ridpath and Wil Tirion
- “The Astrophotography Manual: A Practical and Scientific Approach to Deep Sky Imaging~
  Author: Chris Woodhouse **Publisher:** Routledge (2017).
- “The Demon-Haunted World: Science as a Candle in the Dark~
  Author: Carl Sagan and Ann Druyan
  Publisher: Ballantine Books/Random House (1995).
- “Hubble Legacy: 30 Years of Discoveries and Images~
  Author: James Bell
  Publisher: Sterling (2020)
- “Black Hole Survival Guide~
  Author: Janna Levin
  Publisher: Knopf (2020).
- Black Holes and Time Warps: Einstein’s Outrageous Legacy~
  Author: Kip Thorne
  Publisher: W. W. Norton (1994)

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
ქართული ცის მზომელობა და თანამედროვე ასტრონომია 6
გეომეტრიული ფორმების წარმოშობა 20
კოსმოგონიური და კოსმოლოგიური სიმბოლო-ნიშნების
წარმოშობა 28
კოსმიური გონი და ზოგიერთი პიქტოგრაფიული ნიშნის
შინაარსი 46
მემარგეთა საქმიანობა მზის ბუდებთან და ქვა-ჭორტებთან 63
რა მოხდა ბრაზილიაში 1977 წელს 75
ხვამლის მთა და ვარსკვლავებზე დაკვირვების ტრადიციები 84
ადამიანი, კოსმიური გონის მოქმედი პროექტი 91
განსაკუთრებული ნიშანი წერაქვულ დამწერლობაში 111
ფოტომასალა 129

გამომცემლობა მერიდიანი

დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com